



საქართველოს
ხალხთა ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132-1307

საბჭოთა საქართველო სტალინიზმი

1981

1




საბჭოთა სელოვნიკა

შინაარსი

საკა და საპარტიოლოს კომუნისტური პარტიის XXVI პროლეტარის შესახებ რად ბნალი წინსვლის საწინდარი	2
კითხვა-პასუხი — პარტიული ხელმძღვანელების მისამართების საერთაშორისო სიმბოლო- ში ინტალიზაცია (ბარ-ლუჩე იტალია 1980 წლის 14-18 ოქ- ტომებში)	8
პარტიული თეატრის დღე	
ირაკლი გოგოლაური — დღევანდელი სახალხო თეატრის 80-100 წლისთავი	21
საკა და საპარტიოლოს კომუნისტური პარტიის XXVI პროლეტარის შესახებ რად — გინო შორაძანიძე, შალვა ბაქრაძე	22
თინა ოჩიაური — გინო ბერიძე — 90	29
თენგიზ მახარაშვილი — ბნალის შესახებ პარტიულ პრინციპებთან ურთიერთობა	34
ელენე მიხაილენკოვა — გინო ბერიძის მისამართების სიმბოლოური რეალის „სიმბოლო“ ორგანიზაციისათვის	38
გურამ თევზაძე — გინო ბერიძე და მისი გინო „ფსუქოლოგი“	46
თამარ ნუცუბიძე — პარტიული მხარდაჭერა	52
გიორგი ხუციშვილი — გინო ბერიძის ავტობიოგრაფიული ხელმოწერა	57
პიტერ ბრუკი — გინო ბერიძის სიმბოლო	64
იოსებ მეგრელიძე — ლაზარე ნაღვიანი სიმბოლო „სიმბოლო“	73
მალხაზ რაქლიანი — გინო ბერიძის სიმბოლო (1849-1912)	76
თამარ წულუკიძე — გინო ბერიძის	81
სოკრატ ხალუჭაძე — პარტიული მხარდაჭერის კომპლექსური ურთიერთობის პარტიული მხარდაჭერის შესახებ	85
ვალერიან კანდელიანი — პარტიული (პეესი)	88
ავთანდილ ჩხიკვიანი — გინო ბერიძის დღევანდელი პარტიული (პეესი)	103
საპარტიოლოს კომუნისტური ცენტრალური კომიტეტისა და საპარტიოლოს სსრ მინისტრთა საბჭოს დღევანდელი	114
კომუნისტური მხარდაჭერის სახელობის კომისიის ურთიერთობები	115
კომუნისტური მხარდაჭერის	115
კომუნისტური	116

საპარტიოლოს სსრ კულტურის სამინისტროს
პროლეტარული ქართული



**თეატრი
მუსიკა
სამხატვრო
კინო
არქიტექტურა
მორეკონსტრუქცია**

მთავარი რედაქტორი
თეატრი მუსიკა
სამხატვრო
კინო
არქიტექტურა
მორეკონსტრუქცია
მთავარი რედაქტორი
თეატრი მუსიკა
სამხატვრო
კინო
არქიტექტურა
მორეკონსტრუქცია
მთავარი რედაქტორი
თეატრი მუსიკა
სამხატვრო
კინო
არქიტექტურა
მორეკონსტრუქცია

XXVI



**ს კ კ კ
ყ რ ი ლ უ ბ ი ს
შ უ ს ა ხ პ მ დ რ ა დ**

ახალი წინსვლის

1980 და 1981 წლები მართლაც რომ ისტორიული და საგანგებოა. ორივე წელი საეტაპო მნიშვნელობისაა საბჭოეთის სინამდვილეში. პირველმა დაამთავრა რიგით მეათე — საიუბილეო ხუთწლედი, მეორე კი იწყებს მომდევნოს — მეუთერთმეტეს. ამდენად, 31 დეკემბერმა უბრალოდ კი არ გასდო ხიდი ორ წელს შორის, არამედ ერთმანეთს დაუკავშირა ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული წინსვლის ორი ეტაპი განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში. ეს კი რიგითი მოვლენა არ არის. ამიტომ ყოველ ხელოვანს მართებს მხარი აუბას ეპოქის მოთხოვნებს; მის სუნთქვას და რიტმს, მოვლენათა მასშტაბურ განვითარებას, აქტიურად ჩაებას სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის ნიადაგ მზარდ პროცესში, მაქსიმალურად გამოამყვანოს საკუთარი ნიჭიერება, შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი პოზიცია,

იდევრი შემართება, ჟანრობრივ-სტილური მრავალფეროვნება და მხატვრული ოსტატობა.

მთლიანად მეათე ხუთწლედი, რომელიც ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედად იყო გამოცხადებული, და განსაკუთრებით მისი დამამთავრებელი ეტაპი, ახალი შრომითი და შემოქმედებითი გამარჯვებით აღინიშნა საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში. ამის დასტურად საქმარისი იქნება ზოგიერთი მთავარი მოვლენის გახსენება.

რესპუბლიკას საერთოდ შეიდეჯერ, ხოლო გასული ხუთწლედის ოთხ წელს ზედიზედ ოთხჯერ გადაეცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მეათე ხუთწლედისა და უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე საქართვე-

ახალი შემთხვევით სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების განვითარებას, ავანგარდული პათიროლი მარკსისტულ-ლენინური მსოფლიოგეგმვის ჩამოყალიბებაში, საგარეო აზროვნების მრავალფეროვან სფეროში მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

სსკპ ცენტრალური კომიტეტის პრინციპული პარტიის XXVI ყრილობის
თისი.

საწინდარი

ლოს ეკონომიკაში დინამიკურად და პროპორციულად განვითარდა სახალხო მეურნეობის ყველა ძირითადი დარგი, ამასთან გაიზარდა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა.

ხუთწლედის მიჯნები პირველგზა სოფლის მეურნეობის მუშაკებმა დალაშქრეს. ჯერ (1979 წელს) მეცხოველეობის ისახელეს თავი, 1980 წელს კი — მეჩაიეობა და მევენახეობა. მალე მათ გვერდით დადგნენ რესპუბლიკის მხენელ-მთხვევლები, მეზოხეობები, მეკარტოფილეობი, მეაბრეშუმეობი, მეჭარხლეობი, მეცხოველეობი და სხვა დარგის მუშაკები. შემდეგ რესპუბლიკის მრეწველობამ განაღდა გვეგებიცა და აღებული სოციალისტური ვალდებულებანიც.

მათე ხუთწლედის მანძილზე დამთავრდა 226 უმნიშვნელოვანესი მშენებლობა. მარტო 1980 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა ენგურჰესის ბოლო — მეხუთე აგრეგატი, რუსთავის ქიმიური ქარხნის

ამიაკის წარმოებისა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ფერომანგანუმის სიმძლავრენი, მსუბუქი და კვების მრეწველობის მსხვილი საწარმოები, მეცხოველეობის კომპლექსები, დიდ ფართობებზე აშენდა სარწყავი და საშრობი სისტემები.

და აი, უკვე ნოემბრის ბოლოს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა ახალი გამარჯვება უპატაკეს სკკპ ცენტრალური კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას — ვადამდე ერთი თვით ადრე შესარულეს მეთე ხუთწლედისათვის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებით გათვალისწინებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საერთო მოცულობის ზრდის ტემპის დავალებანი.

ამ შესანიშნავ შრომით წარმატებებს, ჩვეულებისამებრ, გულთბილად გამოეხმაურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, რომლის მოხალოცი წერილი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, მუშების, კოლმეურნეების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მოსამსახურეების, მეცნიერებისა და სპეციალისტების, ყველა მშრომელისადმი 30 ნომბერს გამოქვეყნდა რესპუბლიკური პრესაში. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის წერილის დასკვნით ნაწილში ნათქვამია, რომ „სკკპ ცენტრალური კომიტეტი... გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკის მშრომელი განამტკიცებენ მიღწეულ შედეგებს და კიდევ უფრო შეუპოვრად იბრძობენ წარმოების ეფექტიანობისა და მთელი მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად, მაღალი შრომითი მაჩვენებლებით შეეგებებიან სკკპ XXVI ყრილობას“.

1 ნომბერს სწორედ ამ სულისკვეთებით გაიმართა თბილისში რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა გრანდიოზული მიტინგი, რომელიც მიქცდნა მეთე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებასა და აზხანავ ლ. ი. ბრეჟნევის მხურვალე მისაღმებას საქართველოს მშრომელებსადმი. მიტინგზე სიტყვით გამოსულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შვედრანაძემ გულთბილად მიულოცა რა დიდი შრომითი გამარჯვება რესპუბლიკის მშრომელეს, ინტელიგენციის მისამართით განაცხადა: „ამ ღირსშესანიშნავ დღეს უდიდეს მთავრობის უპედნით ჩვენი სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მადლობას მოგახსენებთ თქვენ — მეცნიერებო, პედაგოგებო, ექიმებო, ლიტერატურ-

რისა და ხელოვნების მოღვაწეობა. თქვენ არავლბობ რესპუბლიკის ინტელექტუალურ პოტენციალს. ძნელიც კია ჩვეულებრივი საწყაოთი აწყა თქვენი წვლილი მეთაუ ხუთწლედის დიდი გვეგების განხორციელებაში. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს წვლილი ნამდვილად უზარმაზარია!" და იმედი გამოთქვა: „ეჭვი არ გვეპარება, რომ მთელ თქვენს ცოდნას, ძალღონესა და ნიჭს მოახმარო ჩვენი რესპუბლიკის მსწინეობისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას“.

დედაქალაქში დაწყებული ზეიმი გაგრძელდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, საქართველოს ყველა რაიონში, ქალაქში, სოფელსა და თითოეულ შრომით კოლექტივში. ხალხი ზეიმიობდა, მაგრამ არ ივინებდა, რომ ხუთწლედის დარჩენილ დროში უნდა შეექმნა ზეგველთი პროდუქცია და ახალი შრომითი ნობათებით დაემშვენებინა მოახლოებული საახალწლო დღესასწაული.

კოლმურსენ გლეხობის, მუშათა კლასისა და სახალხო ინტელიგენციის ეს გამირული შრომა ელის სათანადო მხატვრულ ასახვას ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ამდენად, ხელოვნათა ვალია, არ ჩამორჩნენ მოვლენებს და თავიანთ ქმნილებებში კაცობრიობას შემოუნახონ მეთაუ ხუთწლედის გამირთა ღირსეული მხატვრული სახეები.

მეთაუ ხუთწლედის მამდილზე საგარძობი წინსვლა ჩანს ქართული ხელოვნების ყველა დარგში. სულ უფრო ფართო ასპარეზს იპყრობს ჩვენში და სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ რესპუბლიკის თეატრალური და კინოხელოვნება, მხატვრობა და მუსიკა, დრამატურგია და საშემსრულებლო ოსტატობა. დამაჯერებელ საბუთად მარტო შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბოლო წლების წარმატებები იკმარებს, რომელიც მოიცავს გამარჯვებებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იუგოსლავიაში, მექსიკაში, ინგლისში; სულ ახლახან რა — მოსკოვრ გასტროლებზე, საბერძნეთის ქალაქ სალონიკში გამართულ ხელოვნების მეთექვსმეტე საერთაშორისო ფესტივალზე „დემეტრია“, ასევე ათენში გამართულ სექტეალებზე და სხვა.

ხელოვნების გამოჩენილ ოსტატებთან შეხვედრები, თეატრის კოლექტივის პირადი კონტაქტები მათთან და აღფრთოვანებული რეცენზიები ერთსალოვნად მიწმობდა რუსთაველის თეატრის დასის ამაღლებას საერთაშორისო მასშტაბით. ამას წინათ, მოსკოვში გამართულ გასტროლებთან დაკავშირებით კი ვახუთი „პრადე“ წერდა: „რუსთაველის სახელობის თეატრის ახალ სექტეალებში (ივლენისხმება უ. შექსპირის „რომინდ მესამე“, ბ. ბრეხტის „კაქასიური ცარცის წრე“ და თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსა-

ხიობი გოგონასათვის“. სამივე სექტეალის რეჟისორია რ. სტურუა) ახლა ხორციელდება აქტიური ხელოვნების ორი სხვადასხვა მიმართულების ქართული თეატრისათვის დიდად მნიშვნელოვანი და სავსებით კონკრეტული სინთეზი. ამავე დროს ეს არის განვითარებული რეჟისორული სისტემის უფრო ფართო და დღევანდელი ევოლუცია, რომლის მსვლელობაში შეიძლება კარგად შეირწყას ძველი, სოფენ მდიდარი და უხვი წლების ძიებანი სასცენო ტენდენციებთან. რა მშვენიერებაა, რომ ცვლილებანი ორ ერთიან პროცესად გვევლინება; რომ ისინი მომდინარეობენ სულიერი სიმნივიდან, გამონატვის მოთხოვნებიდან და არა სასცენო ფორმების გულგრილი მანიშულაციებიდან, რაც მოწმობს, რომ ეს ტენდენციები სერიოზული და ორგანულია, უფლებას გვაძლევს ველოდოთ ფუნდამენტურ მხატვრულ აღმოჩენებს. ჩვეულებრივ, ასეთი აღმოჩენები ვერ ხერხდება, როცა კაცი მონურად ემორჩილება შეცვლილ ესთეტიკურ მიმდინარეობებს, ბრმად გამოედევნება მოდას, ყოველნაირად ცდილობს განახლებას, რადეც უნდა დაუჯდეს ეს“.

შარშან იტალიაში იყო კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი, რომლის მიერ განხორციელებულმა „ოიდიპოს მეფემ“ და „მე ვხდავ მეს“ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იქაურ მაყურებელსა და სექციალისტებზე.

გასულ ხუთწლედში სახელოვანი ფურცელი შემატეს რესპუბლიკის კომკავშირული ცხოვრების მატინანეს საქართველოს ახალგაზრდებმა, რომლის შედეგადაც საქართველოს კომკავშირმა 1979 წელს დამსახურა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

ორი ხუთწლედის მიჯნაზე საგანგებო მოვლენად იქცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმი, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981 წლის სახელმწიფო გეგმა, ფართოვე. სსრ კავშირის 1981 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

პლენუმმა ისევე, როგორც პარტიამ საერთოდ თავისი მუშაობის ცენტრში დააყენა უმნიშვნელოვანესი საკითხი — შრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება, მათი კონსტიტუციური უფლებების უფრო სრულად და ქმედილად განხორციელება, მოქმედება დევიზით — ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი მისი ბედნიერებისათვის. პლენუმზე ვრცელი სიტყვაწარმოთქვა აბს. ლ. ი. ბრეხტემ, რომელმაც ფაქტურად შეაჯავა მეთაუ ხუთწლედის წინასწარი შედეგები, დასახა ახალი ხუთწლედის პირველი წლის

მოსაზრადებელი სამუშაოები და გააანალიზა რა განეული მუშაობა, ოქვა — ჩვენ გულდაჯერებით შევეყურებთ მერმისსო.

საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებსა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“ გამოქვეყნება საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის, რომელიც ერთსულოვნად მოიწონა საბჭოთა ხალხმა. ვინაიდან იგი სახავს ახალ გრანდიოზულ ნაბიჯებს საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში.

11 ნოემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმი, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ოქტომბრის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები მათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისა და ახალ საბურნეო წელს საქართველოს სს რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფის საქმეში აზხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა შესაბამისად. პლენუმმა დააყენა და განიხილა უმნიშვნელოვანესი სადღეისო საკითხები.

აზხანაგმა ლეონიდ ბრეჟნემა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე გულთბილად მოიხსენია ის ადამიანები და კოლექტივები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს პარტიისა და სამშობლოს წინაშე, კერძოდ, მან აღნიშნა: „ყოველ ხუთწლედს თავისი გმირები ჰყავს. გამონაკლისი არც მიმდინარე ხუთწლედია. მალე ჩვენ შევაჯამებთ მის საბოლოო შედეგებს. საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს, ცხადია, სამშობლოს უმაღლესი ჯილდოები მიენიჭებათ. მაგრამ დღეს უკვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ყველა საფუძველი აქვს გულითადი მაღლობა გადაუხადოს ყველა მოწინავე კოლექტივს, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს, რომლებიც ასე გაისარჯენ ჩვენი ქვეყნის აყვავებისათვის“.

ასეთი გმირები ჩვენს რესპუბლიკასაც მრავლად ჰყავს, მათ შორის ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. ახალ წელს სასაიმიფო იქნება იმის გასხენება, რომ მათე ხუთწლედში სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭათ ჩვენი ქვეყნის ღვაწლმოსილ ადამიანებს: სსრ კავშირის სახალ-

ხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ვერიკო ანჯაფარიძეს, აკადემიკოს-მწერლებს გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეებს. სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიეკუთვნათ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეჟისორს რ. სტურუას, ამავე თეატრის მსახიობებს — რ. ჩხიკაძეს, ი. გიგოშვილს, გ. სალარაძეს, ჯ. ღალანძეს, ფ. ლოლაშვილს, მხატვარ გ. მესხიშვილს, პ. ბრეჟტის „კავკასიური ცარცის წრის“ განხორციელებისათვის ამავე თეატრის სცენაზე; ასევე სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები გახდნენ პოპულარული მომღერალი და კინომსახიობი ვ. კიკაბიძე, კომპოზიტორი გ. ყანჩელი, მოქანდაკე მ. ბერძენიშვილი. 1980 წლის სახელმწიფო პრემია ხვედა წილად ქართული ფილმის „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ დამდგმელ ჯგუფს — რეჟისორსა და სცენარის ავტორს ლ. ლოლობერიძეს, სცენარისტებს ზ. არსენიშვილსა და ე. ახვლედიანს, მთავარი როლის შემსრულებელს ს. ჭიაურელს, ოპერატორს ნ. ერქომაიშვილსა და მხატვარ ქ. ლებანიძეს. ამავე წელს საკავშირო კომკავშირის პრემია მიენიჭა ქალაქ ბორის ძნელაძის შემქმნელ კოლექტივს და სხვა.

მართალია, ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდება ცალკეული სტატიები, ნარკვევები, მიმოხილვითი ხასიათის წერილები, მომზადდა ტელე და რადიოგადაცემები, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაწერილა (ყოველ შემთხვევაში წიგნად არ გამოქვეყნებულა) ფუნდამენტური შრომები რუსთაველის თეატრის უკანასკნელი წლების წარმატებებზე, გამოჩენილ ქართველ მსახიობებზე, მხატვრებზე, მომღერლებზე, კინოხელოვნების წამყვან, უდავოდ ღირსულ ოსტატებზე, არადა, ისინი ნამდვილად აიონ ხუთწლედის გმირები და მათზე წერა, მათი ხელოვნების პროფესიულ დონეზე წარმოჩენა საჭიროცა და აუცილებელიც ცხადია, შეიძლება და მთელი ციკლის სერიის ან სოციალური მონოგრაფიის შექმნა და დროულად გამოცემა რუბრიკით „ჩვენი ლაურეატები“ ან სხვა რამ ამგვარი. ვფიქრობთ, სათანადო პროფილის გამოცემლობები სასაიმიფო მოვალეობად მიიჩნევენ ასეთი წიგნების დასტამბვას. ასეთ შემთხვევაში კი მკითხველიც მაღლობით იქნებოდა და ხელოვანიც, როგორც შემოქმედებითი წარმატებითი ფართო აუდიტორიის წინაშე გამოიტანეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმზე ამხ. ე. ა. შვევარდნაძემ ხელოვნებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მეტად საინტერესო საკითხი წამოჭრა, რომელიც სწრაფ და გონივრულ გადაწყვეტას მოითხოვს. საქმე ეხება შინა-ხელოსნობის ფართოდ განვითარებას, მისთვის საჭირო სარეწების, დამხმარე და თანამდევ ნარმოებების შექმნას. „სამწუხაროდ, შინახელოსნობის განვითარების შესაძლებლობანი ჩვენში მთლიანად როდია გამოყენებული. — აღნიშნა ამხ. ე. შვევარდნაძემ, — ცოტა რამ კეთდება ამ თვალსაზრისით ჩვენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა ასეთი ამოცანა დასახა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა, ჩვენმა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, უწინარესად, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა შინახელოსნობა უნდა დააყენონ სერიოზულ, სოლიდურ საფუძველზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემსუბუქებელ განავითარებელ შინახელოსნობა მოსახლეობასთან კოოპერირების ბაზაზე“. და ცოტა ქვემოთ: „საჭიროა, რომ შესაბამისმა ორგანიზაციებმა ხელი მოჰკიდონ ისეთ პატარა, მაგრამ რენტაბელურ საწარმოთა და ნარმოებთა პროექტების სერიის შემუშავების საქმეს, რომლებიც ადგილობრივი ინდუსტრიული იმუშავებენ, და რომელთა გახსნა შეგიძლია მთისა და მთისწინეთის რაიონებში, ანდა სხვა სასოფლო რეგიონებში, სადაც ჭარბად არის შრომითი რესურსები“.

წინასწარ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს საქმე დიდ სარგებლიანობას მოგვიტანს როგორც მორალური, ისე შემოქმედებითი და მატერიალური თვალსაზრისით, თუკი იგი სწორად და საქმის სიყრდელის გარეშე ადგილებზე. ამას კი შედეგად მოყვება ხალხური შემოქმედების აღმავლობა და მივიწყებულ ხელობათა გაცოცხლება-განვითარება. შეიქმნება ხალხის ხალხურობის ბეჭედის მსგავსი ნახელაგი — ათსანაირი სუვენირი, ხის ნაწარმი, თიხის ჭურჭელი, მუსიკალური ინსტრუმენტი, ნაქსოვი და მინიწული ნივთები, ავეჯი, სამშენისი, დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების მრავალგვარი ნიმუში.

კარგი ხელმძღვანელობისა და სათანადო პირობების

შექმნის შემთხვევაში ამ საქმეს ინტერესით მოეკიდებიან ხალხური ოსტატები, რომელთა ნამუშევრების უმეტესობა უკვლოდ იკარგება და მხოლოდ ერთეულები აღწევენ სამუზეუმო ექსპონატებად ქვეყანას.

ამას წინათ თბილისში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და მხატვართა კავშირის ერთობლივი ღონისძიებით მოწყობილმა თუშური ფარდაგების გამოფენამ არა მარტო აღაფრთოვანა დამთვალიერებლები, არამედ იმაშიც დაარწმუნა ფართო საზოგადოებრიობა, რომ არ უნდა მიეცეს დაიწყებას თუში ქალების შესანიშნავი ხელობა, რომელიც ჭკუშარიტი მხატვრულობის დონეზეა. ფართო სარბიელზე გასატანი ქეთო იდოიძის, სოფი გოჩიაიძის, ტასია ქეთილაიძე-უთახასურის, ანა ქეთილაიძე-თელაურის, ნანული თუნაურის, სალომე თავბერიძის, ეთერ ხედეგვარის, სალომე ჩილოელიძის, ელიკო ჯიჯროიძის, მართა წვერიაძის, თამარ მელნიაიძისა და ხალხური ხელოვნების სხვა ჭკუშარიტი ოსტატთა თუ მათ მონაფეთა ხელით ნაქსოვი უმშვენიერესი ფარდაგები, მათი ძვირფასი ნახელაგი ქართული ოჯახების სამკაულად იქცეს.

საგამოფენო დარბაზებში თვალს იტაცებდა ს. ქობულაძის, თ. მირზაშვილის, გ. ყანდარელის კოლექციებიდან თუ კარხილაურების, ჭლოიკაძეების, ხეცაურიძეების, უთურგაიძეების, ბილიძეების ოჯახებიდან მოტანილი საგანძური თუშური ფლასებისა, რომელთა ქონებას დღეს ნებისმიერი ქართული ოჯახი ინატრებდა.

აი კონკრეტული მაგალითი იმისა, თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია შინახელოსნობის განვითარებას საქართველოში. და მერე რამდენი ასეთი მიმზიდველი და საჭირო დარგია ხალხურ ხელოსნობაში!

ასევე ფართო გასაქანი უნდა მიეცეს ხალხური შემოქმედების განვითარებას საერთოდ და თვითნასწავლი მხატვრების ნამუშევართა გამოფენას. კვლავ და კვლავ უნდა გამოვავლინოთ ხალხური ტალანტები, ხელი შევუწყუთ მათი სამუშაო პირობების გაუმჯობესებას, უჭველესი ხალხური სიმღერებისა და მუსიკის აღდგენას, მხოლასა და ფართო გამოყენებას.

დადგა ახალი წელი, გაჩნდა ახალი საზრუნავი, დაიასხა ახალი გეგმები, რომელთა ხორცშესხმას მხოლოდ თავდაუზოგავი შრომით მივაღწევთ. 1981 წელიც ნამდვილად ისტორიული მნიშვნელობისაა, ვი-

ნაიდან იგი იწყებს ახალ ეტაპს ჩვენს სინამდვილეში — კარს უღებს მეთერთმეტე ხუთწლეულს, იგია სკკპ XXVI ყრილობის წელი, რომელიც 23 თებერვალს გაიხსნება და დასახავს მიმდინარე ხუთწლეულსა და უფრო შორეულ პერიოდში გადასაჭრელ პრობლემათა გადაწყვეტის გზებს.

სკკპ XXVI ყრილობას წინ უძღვის საქართველოს კომპარტიის რიგით ასევე XXVI ყრილობა, რომელიც შეიმუშავებს რესპუბლიკის სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკური და კულტურული პროგრესის კომპლექსურ პროგრამას მეთერთმეტე ხუთწლეულისათვის. გარდა ამისა, კიდევ ერთი დიდი დღესასწაული დაამუშვენებს ჩვენს ცხოვრებას — ვიზიტიმბეზ საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის შექმნის სახელოვან მე-50 წლისთავს.

აღნიშნული ყრილობებისათვის მზადების პერიოდში საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, შრომით ვახტუე იდგნენ თავიანთი ნაცადი ავანგარდის — კომუნისტების ხელმძღვანელობით. პარტიასა და ხალხს შორის მონოლითური კავშირი ერთხელ კიდევ დადასტურდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილით რესპუბლიკის ყველა კომუნისტისა და მშრომელისადმი საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობასთან დაკავშირებით. ამ წერილის მეშვეობით პარტია თხოვნით მიმართავდა მშრომელებს — გამოეთქვათ თავიანთი სურვილები, კონკრეტული საქმიანი წინადადებებით გაემდიდრებინათ ერთობლივი მუშაობის პროგრამა, რაც „სწორუპოვარ წვლილს შემატებდა რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმის მუშაობას, გადააქცევდა ჩვენი საერთო საბრძოლო მზადყოფნის დათვალეობებს — საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას ჭეშმარიტად საყოველთაო სახალხო აზრის, მძლავრი კოლექტიური გონებისა და გამოცდილების გამოხატულებად“.

მონოდების პასუხად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო კომუნისტთა და უპარტიოთა მრავალი წერილი, წინადადება, სურვილი, რომელმაც უფრო შინაარსიანი გახადა საყრილობო წინადადებებსა და რეკომენდაციებზე მომუშავე პარტიული, საბჭოთა სამეურნეო მუშაკების, სპეციალისტების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების სპეციალური ჯგუფების საქმიანობა. ამრი-

გად, მომავალი პროგრამის თანავტორად თვით ხალხი იქცა.

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა გასწავს რესპუბლიკის ხელოვნების მუშაკებმა. ყრილობისათვის მისამდევნელად საგანგებოდ მომზადდა სპექტაკლები, დაიდგა კინოფილმები, მოეწყო გამოფენები და კონცერტები, შეიქმნა მრავალი ახალი ნაწარმოები სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში. შემოქმედებით საქმიანობას ახალი სტიმული შემატა ხელოვნების მუშაკთა უშუალო შეხვედრებმა სოფლისა და ქალაქის მშრომელებთან, რაც საინტერესოდ განახორციელა საქართველოს სსრ მხატვართა კავშირმა. ამ წელს გახსნის თავის პირველ სეზონს დედაქალაქის ერთ-ერთი მუშათა რაიონის ახალდაარსებული თეატრი — გლდანის თეატრი, რომელმაც პირველი სპექტაკლისთვის აირჩია მუშათა ცხოვრების ამსახველი პიესა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა ასე დაამთავრა გამოსვლა: „ამხანაგებო! პარტია თავის ყრილობას ეგებება ხალხთან მჭიდრო კავშირით, ეგებება საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროში მოქმედების მკაფიო პროგრამით. ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა, რომ კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი იწონებენ ამ პროგრამას, შეუპოვრად და თანმიმდევრულად განახორციელებენ მას. ეს არის მორიგ ამოცანათა წარმატებული გადაწყვეტის სანინდარი, კომუნისტური მშენებლობის გზით ახალი წინსვლის სანინდარი“.



სიმპოზიუმის აფიშა

ქართული ხელოვნების მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი იტალიაში

(ბარი, ლანე — იბალია) 1980 წლის 14-18
ოქტომბერი


კიტი მაჩაბელი

ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის დახურვაზე, 1977 წლის მაისში, გელათში, იტალიელ მეცნიერთა სახელით გამოსულმა ქ. ბარის უნივერსიტეტის პროფესორმა მარია სტელა კალო მარიანიმ ფულითადი მადლობა გადაუხადა ქართველ მეცნიერებს დიდი სამეცნიერო შეკრების წარმატებით ჩატარებისათვის და სიმპოზიუმის მონაწილეებს აღუთქვა, რომ შემდეგ, მესამე სიმპოზიუმში ჩატარდებოდა იტალიის მიწაზე, მას უმასპინძლებდა ქალაქი ბარი.

გავიდა სამი წელი. ქართული ხელოვნებით დაინტერესებული სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები კვლავ შეიკრიბნენ, რათა ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ გასული წლების მანძილზე ჩატარებული მუშაობის შედეგები, რათა თავისი კოლექციებისთვის გაეცნოთ მოსაზრებანი ქართული ხელოვნების მთელი რიგი პრობლემების ირგვლივ, ემსჯელათ მათთვის საინტერესო საკითხებზე. მეცნიერთა თავშეყრის ადგილი ამჯერად იყო სამხრეთ იტალიის ქალაქები — ბარი და ლეჩე, რომელთა უნივერ-

სიტეტების ბაზაზე 14-18 ოქტომბერს მიმდინარეობდა ქართული ხელოვნების ისტორიის სპეციალისტთა ეს დიდი საერთაშორისო ფორუმი.

ქართველი საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი პირველი ორი სიმპოზიუმის შედეგები. (1974 წელს ბერგამოში და 1977 წელს თბილისსა და გელათში) საქართველოში ჩატარებული მეორე სიმპოზიუმში თავისი მასშტაბითა და წარმომადგენლობით განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო, მაგრამ თუ შევადარებთ ბარისა და ლეჩეში მიმდინარე სიმპოზიუმს, ბერგამოში ჩატარებულ პირველ შეხვედრას, ცხადი ვახდება, თუ როგორ გაიზარდა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიების დიაპაზონი, როგორ გაფართოვდა მისი ჩარჩოები. ამჯერად პროგრამაში ექვს ათეულამდე მოხსენება იყო ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე, გაფართოვდა მონაწილეთა გეოგრაფია. სიმპოზიუმის მუშაობას მნიშვნელობას და ინტერესს მატებდა მასში ქართველ მეცნიერთა დიდი ჯგუფის მონაწილეობა. საქართველოს დღევანდელის ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ გ. ჩუბინაშ-



სან ნიკოლოს ბაზილიკა

ვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები. მათთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს ხელოვნების მუზეუმისა და ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი თანამშრომლები. ჩვენს დღეგაციაში შედიოდნენ აგრეთვე რუსი და სომეხი მეცნიერები.

სიმპოზიუმზე წარმოდგენილი იყო ქართველ მეცნიერთა 17 მოხსენება არქიტექტურის, ფერწერის, ოქრომკედლობის საკითხებზე, უნდა აღინიშნოს, რომ მესამე სიმპოზიუმის თემატიკა ერთგვარად შეზღუდული იყო, იგი შემოიფარგლა X—XIV საუკუნეებით. ვარდა ამისა, ყურადღება გამახვილებული იყო უპირატესად კლდის არქიტექტურაზე და მასთან დაკავშირებულ ხელოვნების ძეგლებზე, ასეთი ინტერესი იმით იყო გაპირობებული, რომ სამხრეთ იტალიის იმ ნაწილში, პულიაში, სადაც მიმდინარეობდა სიმპოზიუმი, კლდის არქიტექტურის განსაკუთრებული მწაშენელების ძეგლები არსებობენ. მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ვერავითარ-მა ჩარჩოებმა, ვერც ქრონოლოგიურმა და ვერც თემა-

ტიკურმა ვერ შეზღუდა ის ინტერესი, რომელიც არსებობს ამაჟამად ქართული ხელოვნებისა და კულტურის მიმართ და სიმპოზიუმის თემატიკა შორს გასცდა წინასწარ დასახულ პრობლემებს, თვით სახვითი ხელოვნების სფეროსაც და ქართული კულტურის ისტორიის ძალზე ფართო საკითხებს შეეხო.

14 ოქტომბერს დილით ბარის უნივერსიტეტის საქტო დარბაზში სახვიმო ვითარებაში დაიწყო მუშაობა ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი III საერთაშორისო სიმპოზიუმმა. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა ლუიჯი ამბროზომ. მისალმებებით გამოვიდნენ ბარის პროვინციის ადმინისტრაციის თავმჯდომარე ჯანეიტო მასტროლეო, ქ. ბარის მერის მოადგილე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოთა დღეგაციის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ვახტანგ ზერიძე, სომხეთის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი რუბენ ზარანი, ბარის უნივერსიტეტის ხელო-



ენების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი მარია სტელა კალი მარიანი. წყიკითხეს მისასაღმებელი დღეებში სიმპოზიუმის მისამართით, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო ცნობილი იტალიელი მხატვრის, იტალია-საპკოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარის რენატო ვუტუსოს მისაღმება.

შუენარული სხდომა აღიწყო ბერგამოს უნივერსიტეტის სლოუსტიკისა და დომოსველი ევროპის ისტორიის ინსტიტუტის პროფესორის ნინო ყუხჩიშვილის მოხსენებით „ძველი ხალხური ელემენტები აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამყაროს ავანგარდისტულ ფერწერაში“. მოხსენებელმა ფართო მასალა გამოყენებით (გრებელის, პეტროე-ვოდინის, კანდინსკის, მალევიჩის, გოგენის, ფიროსმანის, მოლილიანის, ველიაშვილის, მატისის ნაწარმოებები) აჩვენა ახალი დროისა და თანამედროვე მხატვართა შემოქმედებაში ხალხური შემოქმედებიდან აღებული ძველი სიმბოლოების ორიგინალური გამოყენება, შეეცადა გავხა კავშირი ახალ ხელოვნებასა და ძველ ხალხურ შემოქმედებას შორის. ქართველ მხატვართა ტილოების განხილვა ასეთ ფართო ფონზე მათი ახლებურად, ახალი კუთხით დანახვის შესაძლებლობას იძლეოდა.

ავად ვახტანგ ბერიძის მოხსენება მიეძღვნა XIII—XIV საუკუნეების ქართული არქიტექტურის ძეგლებს. ამ ეპოქის ძეგლთა მავალითზე ნათლად იყო ნაჩვენებები ქართული არქიტექტურის თავისთავადობა, მისი განვითარების ორიგინალური გზა, ქართული ხელოთმოდირებული ძეგლების მხატვრულ-სტატისტიკური თავისებურებანი, გროველი ხსიათი. შესანიშნავად ილუსტრირებული მოხსენება დიდი ინტერესით იყო მოსმენილი. სიმპოზიუმის მონაწილეებს თვალწინ ვადეშალათ ქართული ხელოთმოდირების თვითმყოფადი სამყარო.

სიმპოზიუმის მასშტაბებზე წარმოდგენას იძლევა თუნდაც მხოლოდ სექციების დასახელება. მუშაობა მიმდინარეობდა 5 სექციაში: ქართული კულტურა და დასავლეთის სამყარო, შუა საუკუნეების არქიტექტურა, გამოკვებული ძეგლები, ფერწერა და ქანდაკება, მცირე ხელოვნება. კლდის არქიტექტურისა და მასთან დაკავშირებული ხელოვნების ძეგლებისადმი ინტერესი გაპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ სამხრეთ იტალიის იმ ოლქში — პულიაში, სადაც მიმდინარეობდა სიმპოზიუმის მუშაობა, დიდი რაოდენობით არის შემონახული კლდეში ნაკვეთი არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც ამჟამად მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ.

შუა საუკუნეების არქიტექტურა

არქიტექტურის სექციის მუშაობაში, ისევე როგორც ბერ სხვა დარგში, წამყვანი იყო ქართველ მეცნიერთა მოხსენებები. ამ სექციის მუშაობა უაღრესად ინტენსიური და შინაარსიანი იყო. მოხსენებები ეხებოდა ქარ-

თული ხელოთმოდირების მნიშვნელოვან სერიებს, განხილული იყო ცალკეული ძეგლები, მსგავსად ნაღვ ნაღვ იქცა მთელი რიგი პრობლემებისა, რომელიც უკავშირდებოდა ქართული არქიტექტურის ურთიერთობის დასავლეთის სამყაროსთან და აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნების არქიტექტურასთან.

არქიტექტურის სექციაში პირველ დღეს მოხმენილი იქნა მ. ფალა-კასტელფრანკის (რომი) მოხსენება, რომელიც ეხებოდა IX—XI საუკუნეების ქართული ხელოთმოდირების ძეგლებს. მომხსენებელი ამ ძეგლებს განიხილავდა ბიზანტიისა და დასავლეთ ევროპის არქიტექტურის ძეგლებთან ურთიერთობაში, მათთან შებრისპირებით.

თ. სანიკიძის მოხსენებაში „სევეტიცხოვლის ტაძრის არქიტექტურა“ განხილული იყო შუა საუკუნეების ან დიდებული ქართული კათედრალის მხატვრულ-ისტორიული თავისებურებანი.

უნგრული მეცნიერის ე. ტომპოშის მოხსენება მიეძღვნა ტეტრაკონქის ტიპის ქართულ ძეგლებს. ნაჩვენებ იყო მათი მხატვრული და კონსტრუქციული თავისებურებები.

ლ. რჩელოშვილის მოხსენებაში „გუმბათიანი ტაძრების ჩვენე საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს VIII—X საუკუნეებში“ განხილული იყო მთელ აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში დიდად ვაგრელებული და პოპულარული ტიპის გუმბათიანი ტაძრების ჩვენე (ზხბო, ანაკოფია, ლონგე, მოქეი). ამ ძეგლების მავალითზე ნაჩვენებები იყო ამ ტიპის ტაძართა განვითარების ორგანული გზა საქართველოში, VII საუკუნიდან მოყოლებული. ამ ძეგლების ვარდა მომხსენებელმა განიხილა მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი „სამკვლესიანი“ ბაზილიკები, რომლებიც ამავე პერიოდში მიეკუთვნებიან.

იტალიელი მეცნიერის გვიდო იენის (მილანი) მოხსენება აღეთმო შუა საუკუნეების არქიტექტურაში ფასადების ვაფორმების საინტერესო პრობლემას — „თაღების პრობლემა მონუმენტურ არქიტექტურაში: ურთიერთობანი აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის“. ქართული, სომხური და ბიზანტიური ძეგლების შედარების საფუძველზე ნათელი გახდა ქართული ტაძრების ფასადების დეკორატიული ვადეშელები ორიგინალური ხასიათი, მათი სპეციფიკური გამომსახველობა.

ქართული სამრეკლოების ისტორიას, მათ ტოპოლოგიურ კლასიფიკაციას დაეთმო თავისი გამოხსენა ე. ანდრეოლაქემ. მან განიხილა სამრეკლოთა რამდენიმე ნიმუში: გუდარეხის, გელათის, აგარის, საფარის, ზარზმის სამრეკლოები. მოხსენებაში დასახული იყო ევოლუციის ხაზი კვიანდელ სამრეკლოებამდე (ნიროშინიდა, ახალი შუამთა, გრემი, ანჩისხატე, ანანური).

ი. გომელაურის მოხსენება მიეძღვნა შუა საუკუნეების ქართული ხელოთმოდირების თავისებურსა და მეტად საინტერესო ძეგლს — XIII საუკუნის მღვიმეის ეკლესიას. ძეგლის ანალიზი და ისტორიული ცნობების ვათავისუფლებს საშუალებას აძლევს მკვლევარს ზუსტად განსაზღვროს მისი აგების თარიღი — XIII საუკუნის მეორე ნახევარი. მოხსენებაში ნაჩვენებები იყო ამ

ძეგლის ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიაში.

პ. კუნეომ (რომი) თავისი მოხსენება დაუთმო თბილისის ურბანისტულ ისტორიას. ძველი გეგმების განხილვის საფუძველზე მიმოხილულ იქნა ქალაქის განვითარების მისი ზრდის ზოგიერთი საკითხი.

ქართველ მეფეთა რეზიდენცია გეგუთში განიხილა თავის მოხსენებაში ვ. ცინცაემ („ქართველ მეფეთა ციხე-დარბაზი. გეგუთი“). ძეგლის რესტავრაციასთან დაკავშირებული გათხრა-გაწმენდით მოპოვებული მასალის შესწავლამ საშუალება მისცა მკვლევარს გამოეცნა რამდენიმე სამშენებლო ფენა (VII—IX საუკუნეების, Xსაუკუნის ბოლოსი, XII—XIII საუკუნეთა მიჯნის) და დაედგინა გეგუთის ციხე-დარბაზის ძირითადი ნაწილის ზუსტი თარიღი — X საუკუნის მეორე ნახევარი.

პ. ფენზენის (ბერლინი) მოხსენებაში განხილული იყო საქართველოსა და რუსეთის შუა საუკუნეების ეკლესიების ზოგიერთი ნაწილის კონსტრუქციული და მხატვრული თავისებურებები.

რ. მეფისაშვილის მოხსენება — „XI საუკუნის ქართული ჭერულ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრული ძეგლები ზოგიერთი თავისებურებანი“ დაეთმო შუა საუკუნეების ქართული ტაძრების მეტად დამახასიათებელ ჭეფსს. საქართველოს, ბიზანტიისა და სომხეთის გუმბათიანი ეკლესიების გეგმების, ხუროთმოძღვრული ფორმებისა და შიდა სივრცის გადაწყვეტის ანალიზის შედეგად ავტორმა გამოავლინა ქართული ძეგლების მკაცრი ტექტონიკურობა, თვალნათლივ დაგვიანხვია, რომ ქართულ ჭერულ-გუმბათოვან ძეგლებში საზგასმელია ლოგიკური ტექტონიკურობა. ნაგებობათა მხატვრული მთლიანობა ასახულია გარეგანი ფორმების აგებულებაში და ფსაადების დეკორატიულ გადაწყვეტაში.


საქართველოს კლდის არქიტექტურის საკითხებს შეეხო თავის გამოსვლაში გ. ვაფიანაშვილი. მან მიმოიხილა კლდში ნაკვეთი ძეგლების ჭეფი, რომელიც მოიცავდა როგორც საეკლესიო, ისე საერო დანიშნულების ნაგებობებს.

ა. ზარანის (ერევანი) მოხსენება დაეთმო სომხეთის კლდის არქიტექტურის ძეგლების მიმოხილვას.

მხატვრობა და მანდაკაბა

სექციის მუშაობამ გამოავლინა უდიდესი ინტერესი შუა საუკუნეების ქართული ფრესკული მხატვრობისადმი. თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იკონოგრაფიის საკითხს.

ვანის ქვაბის მონასტერი.
გეგუთი, ციხე-დარბაზი.
სამთავისი.





ხვს და, რაც მთავარია, ძველი ქართული მხატვრობის ურთიერთობას დასავლეთ ევროპასა და ბიზანტიის შუა საუკუნეების მონუმენტურ ფერწერასთან.

სვანეთის მონუმენტური მხატვრობის ერთ-ერთ სანტიტრესო პრაბლემას — ხალხობრბას მიეძღვნა ნ. ალადაშვილის მოხსენება საკანთის ფერწერული სკოლის ხალხური ნაკადი (თანლილოს ეკლესიის მოხატულობა). მეკლევარმა უჩვენა ხალხური ხასიათის მხატვრობის მეტად საინტერესო მავალია — თანლილის მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობა, რომელიც პირველად ვახდა მეცნიერული კვლევის საგანი. მოხსენებაში განსაზღვრული იყო მხატვრობის შესრულების დრო (XII—XIII სს.), გამოყოფილი იყო ორი ისტატის ხელი. მოხატულობის დამახასიათებელი ნიშნები — ინტენსიური ფერადონება, გამარტივებული ნახატი და წერის მანერა, ტიპური ხალხური ხელოვნების ტრადიციის კვლს ატარებს.

ი. ლობიჭიანიძის მოხსენება „წალენჯიხის მოხატულობის ზოგი იკონოგრაფიული თავისებურება“ ეხება სამეგრელოს მთავრის ვამეყ დადიანის (1384 — 1396 წწ.) მოწვეული კონსტანტინეპოლელი მხატვრის ხელით შესრულებულ წალენჯიხის მხატვრობას, რომელიც ბიზანტიის ხელოვნების მეკლევარმა დიდ ინტერესს იწვევს. მოხსენებაში განხილული იყო სატრიუმფო თაღის შუბლზე მოთავსებული წარწერა, რომელსაც არ მოეპოვება ანალოგიები არც ქართულ და არც ბიზანტიურ მხატვრობაში და რომელიც უკავშირდება ვითაღის სტილიმეტრის ქართულ თარგმანს. წარწერამ საშუალება მისცა მოხსენებელს გამოეთქვა გარაუდო მხატვრობის შესრულებაში ქართველთა მონაწილეობის შესახებ. მოხსენების მეორე ნაწილი მიეძღვნა კვირის დღეთა გამოსახულებებს — ბიზანტიური ხელოვნებისათვის უადრესად იშვიათ დეტალს. მოხაზული იქნა ამ თემის ევოლუციის გზა და აღინიშნა ამ მედალიონთა განსაკუთრებული როლი ეკლესიის შიდა სივრცის ორგანიზაციაში.

ე. პრივილოვის გამოსვლა მიეძღვნა ბეთანიის ეკლესიის კედლის მხატვრობას. ამ მოხატულობის ვაწმინდის შედგენად გამოკლენილ ნაწილებზე დაკვირვებამ, მოხატულობის სტილისა და მისი იკონოგრაფიული მხარის, ისტორიულ პირობა პორტრეტების შესწავლამ საშუალება მისცა მეკლევარს დაეზუსტებინა მოხატულობის თარიღი. მოხსენებელმა ხაზი გაუსვა ბეთანიის მოხატულობის მხატვრულ-ისტორიულ ღირსებებს.

ფრანგი მეკლევარის ტ. ველმანის მოხსენება მიეძღვნა ერთ კონკრეტულ საკითხს — იერუსალიმში შესვლის“ სცენის იკონოგრაფიული თავისებურებებს სვანეთის ეკლესიებში. მოხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამ სცენის საზეიმო-სიმბოლიკურ ხასიათსა და აზრობრივ მნიშვნელობას უნდა მიეწეროს მისი მოთავსება სვანეთის ეკლესიებში დასავლეთის კედლებზე, საკუროთხველის პირდაპირ.

ქართული ხატწერის იშვიათი ნიმუში — „40 წამებულის“ ხატი იყო განხილული გ. ალიბაგაშვილის მოხსენებაში „ქართული ხატწერის „ახლადამოწიენილი ძეგლი“. 1979 წელს რესტავრატორებმა ა. ოგინიკოვი, თ. ქეიშივილი და მ. ბუჩუქურაძე ვაწმინდეს ხატი, რომელიც

მეკლევრის ყურადღება მიიპყრო თავისი განსაკუთრებული ხასიათით, მკაფიოდ გამოსახული ემოციონალიზმით, გამომსახველობით. ხატის სტილისტური ნიშნების გათვალისწინებამ, მისმა თავისებურმა ხასიათმა, რაც გამოვლინდა ბიზანტიური ხატების ანალოგიურ კომპოზიციონთან შეკრებით, საშუალება მისცა მეკლევარს დაეკავშირებინა ეს ხატი XII საუკუნის დასაწყისის ქართული ფერწერის ნიმუშებთან.

წ. მავროიშვიამ (მოფია) თავის მოხსენებაში განიხილა შუა საუკუნეების ქართული და ბულგარული კედლის ეკლესიების დეკორატიული სისტემა.

ა. ვოლკიანის მოხსენება მიეძღვნა დავით-გარეჯის ახლადამოწიენილი მონასტრის — საბერეების—მოხატულობას. მოხსენებელმა გამოავლინა IX—X საუკუნეებში შესრულებული თხიბი მოხატულობის მხატვრულ-სტილისტური და იკონოგრაფიული თავისებურებანი, ხაზი გაუსვა ერთის მხრივ მათ მნიშვნელობას ქართული მონუმენტური ფერწერის ზოგადი განვითარებისათვის ადრეულ ეტაპზე, მეორე მხრივ კი — მათ მნიშვნელობას გარეჯის სიმონისტრო ფერწერული სკოლის ფორმირებისათვის. მოხსენებაში ნაჩვენებია იყო, როგორ შექმნეს საბერეების მხატვრებმა გარკვეული იკონოგრაფიული და მხატვრული ტრადიცია.

ბელგელმა მეცნიერმა ე. ლაფონტენ-დოზონმა (ლუვენი) თავის მოხსენებაში დიდი ყურადღება დაუთმო წმ. სიმონ სტილისტის (უმკობისის) კულტ ქართულ ხელოვნებაში. მან ხაზი გაუსვა ამ წმინდანის გამოსახულების სიმრავლეს შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში (ფერწერა, პლასტიკა, ოქრომჭედლობა). მოხსენებელმა შეეცადა უჩვენებინა ის იკონოგრაფიული თავისებურებები, რომელიც ახასიათებს სიმონ სტილისტის გამოსახულებებს ქართულ ძეგლებში.

ო. პილიგინოვიამ (მოსკოვი) ილაპარაკა XI—XIII საუკუნეების ქართული ხელოვნური წიგნის დეკორის ძირითად ელემენტებზე, კონკრეტული ნიმუშებით აჩვენა ამ ეპოქის ქართული მინიატურის დამახასიათებელი ნიმუშები.

ბ. შოლცმა (მარბურგი) წარმოადგინა მოხსენება „ზემო სვანეთის ეკლესიებში ინტერიერის ესთეტიკური ორგანიზაციის ზოგიერთი სემიოტიკური ასპექტები“.

მცირე ხალხობრბა

მცირე ხელოვნებათა სექცია ძირითადად მოიცავდა ოქრომჭედლობის პრობლემებს. მოხსენებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველ მეცნიერთა მიერ იყო წარმოდგენილი. განხილვის საგანი იყო როგორც საეკლესიო, ასევე საერო ოქრომჭედლობის ძეგლები. რ. ყენისის მოხსენებაში — „მთავარანგელოზთა გამოსახულებები სენურ ჭედურ ხატებში“ — განხილული იყო ქართული ჭედური ძეგლების მეტად მნიშვნელოვანი ჯგუფი — ორიგინალური სვანური საოქრომჭედლო სკოლის ნაწარმოებები, სვანური ხატები, რომლებიც განსაკუთრებული ხასიათითა და სტილისტური ნიშნებით გამოირჩე-

ვიან. სეან ოქრომჭედელთა მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებში ნაჩვენებია იყო ის მთავარი, დამახასიათებელი, რაც განასხვავებს საქართველოს ამ კუთხის ნაწარმოებებს ქართული ჰედურობის სხვა ნიმუშებისაგან. მომხსენებელმა უჩვენა ის იკონოგრაფიული თავისებურებები, რომლებიც შეიმჩნევა მთავარანგელოზთა სვანურ გამოსახულებებში.

კ. მიახბელმა თავისი მოხსენება მიუძღვნა ვანის ქვაბების კლდის მონასტრის გათხრისას აღმოჩენილ ჰედურობის ნაწარმოებთა ერთ ჯგუფს — ორიგინალური ორნამენტული დეკორით შეიკვალ ვერცხლის თასებს, რომელთა თავისებური ფორმა, შემკულობაში გამოყენებული სევადიანი ორნამენტის ხასიათი ამ ნაწარმოებებს აკავშირებს XII-XIII საუკუნეთა მიჯნის ქართული ოქრომჭედლობის ცნობილ ნიმუშებთან.

თ. საყვარლოძემ თავის მოხსენებაში „ანჩისხატის მოქედლობის XIV საუკუნისეული ფენა“ ყურადღება გაამახვილა ანჩისხატის კარედის შიდა მოქედლობაზე, რომელიც წარწერების წყალობით ზუსტად თარიღდება და წარმოადგენს უმთავრეს მასალას XIV საუკუნის ქედური ხელოვნების ისტორიაში ყველაზე მწირი ეპოქის, — ქართული ჰედურობის წარმოსაჩენად. მოხსენებაში განხილული იყო მოქედლობის იკონოგრაფიული და სტილისტური საკითხები; ნაჩვენები იყო ის ძირითადი პრინციპები, რომელიც ამ ეპოქის ქართული ოქრომჭედლობისთვისაა დამახასიათებელი.

სხვა მომხსენებელთაგან აღსანიშნავია მ. კ. კრისტია-ნის ტეტისტი (მიხა) მოხსენება ვიკო პოხანოს ჯვარს — ენკოლონიის შესახებ. სევადიანი გამოსახულებებით შემკული ეს გულსაკიდი ჯვარი, რომელზეც სახარების სცე-

ნები გამოსახული, დიდი ხანია, რაც იპყრობს მეცნიერებათა ყურადღებას თავისებური იკონოგრაფიული მხარეებით. ჯვარის ყველა დეტალის გულმოდგინე განხილვის საფუძველზე მომხსენებელმა გაიზიარა იმ მკვლევართა აზრი, რომლებიც ამ ჯვარს აღმოსავლურ-ქრისტიანულ სამყაროს უკავშირებენ.

ძარბაზის კულტურა და დასავლეთის სამყარო

ამ სექციაში, რომელიც განხილავდა ქართული კულტურისა და დასავლეთის სამყაროს ურთიერთობის საკითხებს, განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო. უნდა ითქვას, რომ აქ წარმოდგენილი მოხსენებები შორს გასცდა ხელოვნების ისტორიის ფარგლებს. თემატიკა უაღრესად ფართო და მრავალფეროვანი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო ერთადერთი სექცია, სადაც არ მონაწილეობდნენ ქართველი ხელოვნების ისტორიკოსები; საქართველოს წარგზავნილებმა ზუსტად დაიცვეს სიმპოზიუმის რეგლამენტი და შემოიფარგლნენ წინასწარ დასახული პროგრამით. მაგრამ ამ სექციის გაჩენა ქართულ სიმპოზიუმზე ძალზე სიმბტომატურია. აქ კარგად გამოჩნდა, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერნი ქართულ კულტურას, რა ფართოდ ესაზებათ სეციალისტებს ქართული კულტურის ურთიერთობანი დასავლეთის სამყაროსთან, რა დიდი ინტერესი საქართველოს ძველი ისტორიისა, თუ თანამედროვეობის სხვადასხვა მხარისადმი, სავესებით ბუნებრი-

მარცხ დადიანის პორტრეტი. წალენჯიხის მხატვრობა



ანჩისხატა





მთავარანგელოზების ხატი
წვირის მცხოვრის ეკლესიიდან (ზემო სვანეთი).



თანდლის ეკლესიის მხატვრობა
ზემო სვანეთი.

ვია, რომ სიმპოზიუმის ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს ეს უდიდესი ინტერესი საქართველოსადმი და არ გამოიჩინეს „სიკაცყო“ თემების შერჩევის დროს. როგორც სექციის მუშაობამ გვიჩვენა, ეს საეცებით გამართებული აღმოჩნდა, რადგან სხვადასხვა დარგის ხელოვნებასთან დაკავშირებულ ვიწრო, სპეციალურ საკითხებთან ერთად, გამოჩნდა უფრო ფართო, ზოგადი პრობლემების დიდი რაოდენობა, რომელთა განხილვა სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერებისათვის აქტუალურ საქმედ იქცა.

ყოველი მოხსენება, რომელიც მოისმინეს ამ სექციანზე, გამოირჩეოდა თემატიკის ორიგინალობით, მასალის ახლებური მოწოდებით და, რაც მთავარია, უდიდესი სიყვარულითა და ინტერესით საკვლევი საგნისადმი. იმისათვის, რათა ცხადი გახდეს, რა მრავალფეროვანი იყო აქ წარმოდგენილი მოხსენებები, შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

დიდი ინტერესი გამოიწვია დ. ბარეტის (ოქსფორდი) მოხსენებამ — „ქართული კულტურა და დასავლეთის სამყარო: სერ ოლივერ უორდროპის (1864-1948 წწ). მოღვაწეობა“, მასში ნაჩვენები იყო ის წვლილი, რომელიც შეიტანა ამ ცნობილმა მოღვაწემ ქართული კულტურის მიღწევების დასავლეთ სამყაროსათვის გაცნობის საქმეში.

ლ. პავანის (ბერგამო) მოხსენება „საქართველო პუბლიცისტების გეოგრაფიაში“ ძველი საქართველოს ტერიტორიის საკითხებს ეხებოდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა იტალიელი მკვლევარის პატრიცია ლიჩინის (მილანო) მოხსენება „ქ. კასტელის მიმოწერა და ხელნაწერები თეატრალთა არქივებში იტალიაში“. მოხსენებელმა საზოგადოებას გააცნო თავისი დაკვირვებები კასტელის იმ ჩანახატების შესახებ, რომლებიც საქართველოსთანაა დაკავშირებული.

ლი. როგორც ირკვევა, კასტელის ჩვენთვის ცნობილი ნამუშევრები საქართველოში არ არის შესრულებული. ორიგინალური ნახატები ზღვაში დაიღუპა იტალიაში დაბრუნებისას. გადარჩა მხოლოდ ის ნახატები, რომელსაც იგი აგზავნიდა იტალიაში თავის ჩამოსვლამდე. ამგვარად, ნახატების უმეტესობა შესრულებულია იტალიაში, აღდგენილია მესხეთში.

კასტელის ეხებოდა კიდევ ერთი მოხსენება. ბერნადეტა მაიორანა (მილანო) შეეხო პალერმოში დატულ კასტელის არქივს. მან გამოაღვინა ახალი მნიშვნელოვანი მასალები, რომლებიც ავსებენ ჩვენს ცოდნას ამ მოგზაურის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის შესახებ. ეს მოხსენებაც კარგად იყო ილუსტრირებული ჩანახატებით, რომელთა ნაწილი საქართველოსთანაა დაკავშირებული.

ამ ორმა მოხსენებამ აზრთა ცხოველი გაზიარება გამოიწვია. ნაწი ყუხჩიშვილმა და აღრიანო ალაკო ნოველომ ხაზი გაუსვეს ამ გამოკვლევათა დიდ მნიშვნელობას. მათი აზრით, საქართველოსთან, მის ისტორიასთან და კულტურასთან დაკავშირებული ყოველი ფაქტის კვლევა დიდ სარგებლობას მოუტანს დასავლეთთან ურთიერთობის სრული სურათის დადგენას.

ქართული კულტურის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს ეხებოდა ფრანგი მკვლევარის ბ. მარტენის მოხსენება „ქართული ბერის ილარიონის დასავლეთში მოგზაურობა IX საუკუნეში“. მდიდარი საარქივო მასალის შესწავლის საფუძველზე გარკვეული იყო ცნობილი ქართული მოღვაწის ილარიონ ქართველის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები, მისი მოგზაურობა ბიზანტიაში და ამ მოგზაურობასთან დაკავშირებული ამბები. ინგლისელი მკვლევარის კ. ვიციანის მოხსენების თემა იყო „ეგვიპტისყოასანი: დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურის ელემენტები“.

ამგვარად, სიმპოზიუმზე განხილული საკითხები სკოლდებოდა საკუთრივ ხელოვნების ისტორიის სფეროს და მოიცავდა კულტურის ისტორიის მოვალეობიან პრაქტიკებს. თუ ვთავაზობთ წინააღმდეგ, რომ აქ ვაღიაროთ ანონს პოეზიის შესახებაც იყო საუბარი (ლ. მაკარტო (პაღუა) — იტალიელი მხატვრები ვალატიონ ტაბიძის პოეტურ ქრონიკაში), ადელი წარმოსადგინა, რა დიდი ინტერესია მსოფლიოს მეცნიერთა შორის ქართული კულტურის მიმართ, მისი სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს მიმართ.

როგორც აღნიშნული, სიმპოზიუმის შემთხვევაში ორ ქალაქში მიმდინარეობდა: მისი სახეობი გახსნა და პირველი ნახეობი — ქ. ბარში, დასკვნითი ნაწილი და დახურვა — ქ. ლეჩეში.

18 ოქტომბერს სიმპოზიუმის მონაწილეები ქ. ლეჩეს უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეიკრიბნენ. დამსწრეთ სიტყვით მიმართა ლეჩეს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მარია მარტიმ. სიმპოზიუმის შედეგები შეაჯამა და შეცნობა ამ დიდი ფორუმის მნიშვნელობაზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორმა ადრიანო ალბაგო ნოველომ.

ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხთა კვლევის საერთაშორისო ასპარეზის გაფართოებამ, მეცნიერთა დიდმა დაინტერესებამ შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების უმთავრესი პრობლემებით უფრო მეტი კონტაქტების აუცილებლობა წარმოშვა. პროფესორმა ნინო ყუბანიშვილმა (იტალია), ამ საქმის დიდმა მწიფისა, სიმპოზიუმის მონაწილეებს შესთავაზა მიეღო რთვი კონსტრუქციული წინადადებები ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხთა კვლევის უკეთესი კოორდინაციისათვის.

აქ. ვახტანგ ბერიძემ დასკვნით სიტყვაში აღნიშნა ქართული ხელოვნებისადმი ინტერესის გაღრმავება მეცნიერთა ფართო წრეებში; ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს ფაქტორად უპირატესად ყოვლისა, უნდა მიეწიროს თვით ქართული ხელოვნების სიმდიდრეს, თავისებურებას, მის მნიშვნელობას ევროპისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხელოვნების ზოგადი პრობლემების თვალსაზრისით. მან მალაო შევადგინა მისიც მეცნიერთა ამ შეკრებამ არა მხოლოდ ქართული ხელოვნების შესწავლის საქმის ფართო ვარსიანობის, არამედ დიდი მასშტაბის სამეცნიერო კონტაქტების დამყარებისათვის, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა ურთიერთგაგებისათვის. ვ. ბერიძემ საბჭოთა დელეგაციის სახელით უღრმესი მადლობა გადაუხადა სიმპოზიუმის მომწიფობით, ამ საქმის მესსეურთ, ბარისა და ლეჩეს პროვინციების მოთავრობას, იტალიელ კოლეგებს, რომელთაც მეორედ იტალიის ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მოწყობა.

ნაშუადღეს სიმპოზიუმის მონაწილეები მიიწვიეს ოფიციალურ მიღებაზე „პალაცო დელა პროვინციაში“, სადაც მათ მიესალმა ლეჩეს პროვინციის ადმინისტრაციის პრეზიდენტი მარია ფერანტი.

ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმის პროგრამა ბარისა და ლეჩეში ჩატარებული სტუმრების გარდა მოიცავდა აგრეთვე

მოგზაურობას იტალიის ხელოვნების ძეგლების განსწავლვად. იტალიელმა მასპინძლებმა ისე დაგეგმეს მოგზაურობა, რომ საშუალება მოეცა მოგზაურთათვის სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა დარგის ძეგლებს. ამ მოგზაურობის პროგრამა, თავისი მრავალფეროვნების მიუხედავად, ისახავდა მეტად კონკრეტულ მიზანს — გვეჩვენა შუა საუკუნეების იტალიური ხელოვნების ძეგლები, ბიზანტიური ეპოქის ძეგლები, რომლებიც თავისი ხასიათით, თავისი პრინციპებით უკავშირდებოდნენ იმ მხატვრულ-ქრონოლოგიურ წრებს, რომელთაც ვარკვეულ მიზნით ვეზენ ქართული ხელოვნების ის ძეგლები, სიმპოზიუმზე რომ იქნებოდა საუბარი (მოგზაურობა წინ უძღოდა სიმპოზიუმის შემთხვევას). საინტერესო უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესი შუა საუკუნეების ქართული ხელოვნებისადმი ერთგვარად შედეგია იმ განსაკუთრებული ყურადღებისა, რომელიც არსებობს ამაჟამად იტალიელ მეცნიერთა შორის იტალიის შუა საუკუნეების მიმართ, იტალიის ბიზანტიური ძეგლების მიმართ. ამიტომ იყო, რომ მოგზაურობა, რომელიც, რა თქმა უნდა, ვგვრდს ვერ აუღოდა იტალიური ანტიკურობის ცნობილ ძეგლებს და სხვა ეპოქის საყოველთაოდ სახელგანთქმულ ხელოვნების ნიმუშებს, განსაკუთრებული ხაზგასმით მოიცავდა სწორედ შუა საუკუნეების ძეგლთა წრეს.

ანტიკურობიდან მოყოლებული — ვიდრე ბაროკოს ეპოქამდე, ასეთი იყო ჩვენ მიერ ნახები ძეგლების ქრონოლოგიური დიაპაზონი. და თუმცა ძირითადი აქცენტი ბიზანტიური და რომანული ეპოქის ძეგლებზე იყო გადატანილი, შეუძლებელი არ ვახსენებთ ის, რაც წინაზე და მომდევნო ხანას განეკუთვნება. რადგან მხოლოდ ასე, ისტორიულ ასპექტში შეიძლება სწორად აღიქვა იტალიის მიწებზე სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი მხატვრული საგანძურის მთელი მნიშვნელობა. და, უნდა ითქვას, რომ თუ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ანტიკური რომისა და რენესანსული იტალიის ხელოვნება, საქართა მეტი ყურადღება დაეთმოს ნაკლებად ცნობილსა და ნაკლებად პოპულარულ იტალიურ შუა საუკუნეების ხელოვნებას. სწორად ამ პერიოდის დიდი მნიშვნელობა იტალიური ხელოვნების ისტორიაში შევივრებით ჩვენი მოგზაურობის დროს.

საკმარისია გავისხენით თუნდაც რომში გატარებული ორი დღის შთაბეჭდილებები: ქრისტიანობის პირველი საუკუნეების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, დიდებული ტაძარი სან პაოლო ფორი ლე მურა (წმ. პავლე კედლებს მიღმა), მარმარილოს სვეტების მძლავრი რიტმიტი გრანდიოზულ ინტერიერი. აქ გადაწყდა ვიგაგებთ შიდა სივრცის პრიზმა, რომელსაც ჯერ არ იცნობდნენ წინაზე ეპოქები. 1823 წელს ხანძრისაგან განადგურებული აღრეული ტაძარი აღადგინეს და მისი საკურთხელოს კონქს დღესაც ამშვენებს V საუკუნეების ბრყინვადი მოზაიკა. მონასტრის ეზოში შუა საუკუნეების რელიეფების შესანიშნავი კოლექცია ინახება.

რომის პანთეონი, 120-125 წლებში ხუროთმოძღვარ აპოლოდორის აგებული მსოფლიო სამშენებლო ხელოვნების უნიკალური ძეგლი, მკაფიო არქიტექტურული აზრის განსახიერება, გუმბათიანი არქიტექტურის იშვიათი ნიმუში, რომელსაც ცოტა რამ თუ შედრება არქი-

ტექტურის ისტორიაში, გივანტური შიდა სივრცე განსაკვიფრებელი მთლიანობით და ჰარმონიულობით გამოირჩევა, რაც პროპორციების დახვეწილ და ზუსტად გააზრებულ შეფარდებას ემყარება, და, ამასთან ერთად, მისაღის, მოყავისფრო-ოქროსფერი, რუხი მარმარილოს თავისებურ ფერადოვნებას. პანთეონში კარგად გრძობობ, საიდან მომდინარეობს იტალიური რენესანსის არქიტექტურის განსაკუთრებული დიდებულება, ლოგოკურობა და მასშტაბურობა, კარგად გრძობობ, რა მტკიცეა კავშირი ეპოქებს შორის — რომის არქიტექტურული ძეგლები ბრწყინვალე ილუსტრაციას წარმოადგენს იმ ურთიერთკავშირებისა, იმ შემკვიდრებობისა, რომელიც „მარადიულ ქალაქში“ განსაკუთრებული ძალით შეიგრძობა.

იქვე, პანთეონის მახლობლად, აღმართულია იტალიური გოტიკის შესანიშნავი ნიმუში, — სანტა მარია სოპრა მინერვა, რომელშიც მიქელანჯელოს მარმარილოს ქრისტეს ქანდაკება მოთავსებულია.

რომის ყოველ ქუჩაზე, ყოველ შესახვევში არქიტექტურის უნიკალური ძეგლია. ყოველ ნაბიჯზე უდიდეს ხუროთმოძღვრებასა სახელობა — ბრამანტე, ბერნინი, ბორომინი, დელა მორტა... ჩვენ თვალწინ ჩაიარა იტალიური ხუროთმოძღვრების აყვავების სხვადასხვა ეტაპი: ბრამანტეს გენიის უკვდავი ქმნილება — წმ. პეტრეს ტაძარი, „არქიტექტურის აპოგეა“, როგორც მას უწოდა ხელოვნების ცნობილმა მკვლევარმა მ. დეორეაკმა, და „ილ ჩეზუს“ ბაროკული ფასადის დამაბული ექსპრესია.

„ფორუმ რომანუმ“ — ანტიკური რომის გული, სადაც ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთთან მუდმივ მეტოქეობაში შენდებოდა და ინგრეოდა რომის იმპერიის

მედიდურ მბრძანებელთა დიდებული ნაგებობები. ყოველმა ეპოქამ დააჩინა აქ თავისი კვალი. აქვეა აღმართული საიმპერატორო თაღები — იმპერიის დიდებისა და ტრიუმფების მომსწრენი, ძველი ნატარალები; პალატინის ბორცვზე — იმპერატორთა სასახლეების დიდებული ნაშთები.

ფორუმზე ანტიკური ძეგლების გვერდით დგას სანტა მარია ანტიკვას უძველესი ქრისტიანული ტაძარი (VII-VIII სს.), უაღრესად საინტერესო ფრესკული მხატვრობით, სახელგანთქმული „ჯვარცმის“ კომპოზიციით (705-708 წწ), მოზაიკური იატაკით. ეკლესიის მოხატულობაში, მისი სიუფეტების თავისებურად დაწყვეტაში აღმოსავლური და ბიზანტიური ხელოვნების კვალი შეიმჩნევა.

ფორუმის მახლობლადაა აგრეთვე VI საუკუნის ტაძარი წმ. კოზმა და დამიანესი, საკურთხევის ბრწყინვალე მონაქით.

რომიდან ჩვენი გზა სამხრეთისკენ მიემართებოდა, ტრენის ზღვის სანაპიროთი გავემგზავრეთ ნეაპოლისკენ. ნეაპოლიდან პირდაპირ პომპეიში. ვეზუვის ამოფრქვევის დროს, 79 წელს, დაღუპული ქალაქი აღდა ფერფლიდან და დღეს იგი გადამლილია მნახველთა წინაშე თავისი საცხოვრებელი სახლებითა და ტაძრებით, მოედნებითა და ქუჩებით, სახელოსნოებითა და თერმებით. ბევრი სახლი დღეს მთლიანადაა შემორჩენილი; შემონახულია პომპეის ვილებს მთლიანი არქიტექტურული ანსამბლები და ახლა შეგვიძლია შევიხედოთ ძველ რომელთა სახლებში, გავეცნოთ მათ ყოფა-ცხოვრებას.

ატრიუმი — პომპეის ვილის პარადული ნაწილი, მა



საფარის მონასტერი

საბურევი. გამოქვაბული ეკლესიის მხატვრობა

რმარლოს აუზით, დეკორატიული სამკაულით; ღი-
 ეხო-პერისტოლი, შადრევნით, მარმარილოს ნიშე-
 ბით, რომლებშიც შვენიერი ქანდაკებები იდგა. დარ-
 ბაზებსა და თთახებში — მოზაიკური იატაკი, ფრესკე-
 ბით დაფარული კედლები. უნებურად გაგონდება ძვე-
 ლი რომაული მწერლის სიტყვები: აყველაფერი, რაც
 კი აღამაზნს თვალწინ ვადავსუბობდა რომაულ სახლში,
 კედლის მობარჯებიდან მოყოლებული, ცივად სამ-
 ხარეთლოს ნიუთებამდე, მაღალი მხატვრული გემოვნე-
 ბით იყო აღბეჭდილი“. ტყუილად კი არ ამბობდა პლი-
 ნიუსი, რომ აქ ფეფუნება ყოველგვარ ზღვარს იყო
 გადასული“.

პომპეი — რომაული ფერწერის ჯეშმარიტი საგან-
 ტურია. შესანიშნავად შემონახული ფრესკული მოხა-
 ტულობა კვლავ ფერთა პირვანდელი ელვარებით გაო-
 ცხობს. მსოფლიოს ფერწერის ისტორიაში ცოტა რამ
 შეედრება ვეტიების სახლის პატარა ნატურმორტებს
 ან იდილიურ პეიზაჟებს. ოცი საუკუნის წინათ შეს-
 რულებული ფერწერა აღტაცებას იწვევს შესრულების
 ისტატობით, ფერწერული ტექნიკის ვირტუოზულობით,
 დახვეწილი კოლორიტით.

მისტერების ვილის მხატვრობა განსაკუთრებული
 ძალით მოქმედებს მაყურებელზე. ინტენსიურ წითელ
 ფონზე ფრაზულად გამოილი კომპოზიცია, ნატურალუ-
 რი ზომის ფიგურებით, გაცივებთ იმითი ბლასტიუ-
 რობით, სილუეტის ხაზების მუსიკალური ელერადო-
 ბით. კომპოზიციურ ისტატობას თან ახლავს ფერის გა-
 ნსაკუთრებული დახვეწილობა, ფერადოვანი ლაქების
 დეკორატიული მეტყველება.

პომპეის ფერწერის მრავალფეროვანი კოლექცია,
 მიმოფანტული მრავალრიცხოვან ვილებში, საკუთარი

მაღალი მხატვრული ღირსებების გარდა, იმითაც არის
 მნიშვნელოვანი, რომ მხატვრობის ნაწილ წარმადე-
 ლებს კლასიკური ბერძნული ფერწერის ნიმუშებს. მხატ-
 ვის. მდიდარ რომაულ მოქალაქეებს ღირსების საქმედ
 მიანხნათ ჰქონოდათ საკუთარ სახლებში ძველ ბერძენ
 ოსტატთა ფერწერული ნამუშევრები, ან მათი ასლები.
 სწორედ რომაელთა ამ გაცატეებამ შემოგვიწინა ანტიკუ-
 რი ფერწერის არაერთი ნიმუში.

ჩვენი მოგზაურობის შემდეგი პუნქტი იყო სალერ-
 ნო, სალერნოს უტრეში განლაგებული სამხრეთის ცხო-
 ველებათული ქალაქი, ტერასებად შეფენილი მთის ფერ-
 დობზე, პატარა, მაგრამ დიდი და საინტერესო ისტო-
 რიით. ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნეში აქ უყვე
 რომაული დასახლება არსებობდა. შემდეგში — სალერ-
 ნო ლანგობარდიის დედაქალაქი და ნორმანების სამეფოს
 ცენტრია.

სალერნოს კათედრალი — შუა საუკუნეების რომა-
 ნული არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშია. ყურადღე-
 ბას იპყრობს მისი საკუთიხველის მოზაიკური კომპო-
 ზიცია და შუა საუკუნეების ფერწერის იშვიათი ნიმუშე-
 ბი. კათედრალის ეზო — ანტიკური და შუა საუკუნე-
 ების სარკოფაგების ნამდვილი მუზეუმი.

სალერნოდან აღმოსავლეთით, ბატიალიასა და ებო-
 ლის ველების გვერდით — პესტუმში, ძველ პოსიდი-
 ნია, აქვევლითა დაარსებულ ძე. წ. VII საუკუნეში. ეს
 არის დორიკის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი, კლასიკუ-
 რი ბერძნული არქიტექტურის უნიკალური ანსამბლი.
 პესტუმში ძე. წ. „დიდი საბერძნეთის“ („მანია გრეჩა“, რო-
 გორც მას იტალიელები უწოდებენ) უდიდესი ცენტრი
 იყო. აქ, იტალიის მიწაზე ჩვენ მივლი სისასისთ შევი-
 ტმენით კლასიკური ბერძნული ხელოვნების ძალა და
 დიდებულება.

ბერძნული დორიული ტაძრის — პერიპტერის —
 კლასიკური მავალითა პერას ტაძარი (ძე. წ. V საუკუ-
 ნის მეორე მეოთხედი). იგი უდიდეს ზემოქმედებას ახ-
 დენს მკაცრი ლოგიკურობით, ზუსტად გაზარებული
 პროპორციებით, კონსტრუქციის ლაკონიურობით. გეგმის
 სიმარტივე, მასშტაბის გასაოცარი გრძობა — ეს ის
 თვისებებია, რომელთა საშუალებითაც ბერძენმა ხუროთ-
 მოძღვრებმა შექმნეს ანტიკურ იდეალთა ადეკვატური
 ხუროთმოძღვრული ძეგლები. ადამიანის აზრის დიდე-
 ბულებს, მისი უსასრულო შესაძლებლობების განსახი-
 ვრება პესტუმის ტაძრების ეს ანსამბლი. ლაღად გაშ-
 ლილი ფართო ველზე, რომელსაც შორეული მიების
 ტალოვანი სილუეტი განსაკუთრებულ ცხოველბატულ
 ჩარჩოს უქმნიან, იგი სრულად გამოსახავს ელენური
 ხელოვნების სულს.

პესტუმში მხოლოდ სამი დიდი ტაძარი რჩება. უძ-
 ველესი ვალავნით შემოზღუდულ მის ტერიტორიაზე
 მიმოფანტულია პატარა ტაძრები, საკურთხეველები, აქვეა
 დიდი წყრობოლი, რომლის მასალები თავმოყრილია
 პესტუმის მუზეუმში. ეს პატარა მუზეუმი მსოფლიო
 მნიშვნელობის ძეგლებს შეიცავს: არქაული ქანდაკების
 ნიმუშებს, ტაძრების მეტაბებისა და ფონტონების ქა-
 ნდაკებებს. მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა
 მუზეუმის ის განყოფილება, სადაც დაცულია ანტიკური
 ბერძნული მხატვრობის ნიმუშები — სამარხების მოხა-



ტულობანი, უძველესი ბერძნული ფერწერის უნიკალური ნიმუშები, რომელთა შორის განსაკუთრებული ოსტატობით, ფერის იშვიათი გრძობით, კომპოზიციური სრულყოფით გამოირჩევა 1968 წელს აღმოჩენილი ე. წ. „მოცურავის სამარხის“ მოხატულობა, ბევრი ჩვენგანისათვის ეს იყო პირველი შეხვედრა ორიგინალურ ბერძნულ ფერწერასთან, რომლის ნიმუშები თითქმის სრულიად უცნობია.

კიდევ ერთი შეხვედრა ბერძნულ ანტიკურობასთან სამხრეთ იტალიის მიწაზე: მეტაპონტო, „დიდი საბერძნეთის“ კიდევ ერთი ცენტრი დორიული ტაძრების ანსამბლით. აპოლონისა („აპოლო ლიჩიოს“) და პერას ტაძრების გრანდიოზული სანახაობა. ტაძრები საგრძობლად დაზიანებულია, მაგრამ ეს სრულიად არ ანელებს მათი დახვეწილი, სრულყოფილი არქიტექტურის ზემოქმედების ძალას. ცადატორცინი მძლავრი დორიული სვეტების პლასტიკურად გამოძერწილი ფორმები, კარგად საგრძობი ენტაზისით, კანელურების მწყობრივი ევრტიკალებით. ეს იყო კიდევ ერთი უშუალო გაცნა ელლის ზელოვნების უშრეტო ძალისა, მისი მარადიული ღირებულებისა.

იქვეა „ანტიკვარიუმი დი მეტაპონტო“, არქეოლოგიური მუზეუმი, მსოფლიო მნიშვნელობის ექსპონატებით: არქაული ტერაკოტის ქანდაკებები, ბიონჯაოს მცირე პლასტიკის ძეგლები, ანტიკური ვერამიკა.


სიმპოზიუმისათვის მზადების პერიოდში ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ სამხრეთ იტალიის არჩევა მის ჩასატარებ-

ლად შემთხვევითი არ იყო, რომ ეს განპირობებული იყო შუა საუკუნეების ძეგლების განსაკუთრებული ჯგუფის არსებობით იტალიის ამ ნაწილში, პულის ოლქში. ეს არის კლდის ქალაქი მატერაში.

ფანტასტიკურია გამოქვაბული ქალაქის ფართო პანორამა, რომელიც მატერას ხეობიდან იშლება. იარუსებად განლაგებული კლდეში ნაკვეთი შენობები უსასრულო ფრიზებადაა გამოილი რამდენიმე კოლომეტრის მანძილზე. ხრიკი და უდაბურია პეიზაჟი, მხოლოდ ქვა და ხეილი ბალახი, რაც განსაკუთრებულ, ასკეტურ ხასიათს ანიჭებს ამ უჩვეულო სანახაობას. ქრონოლოგიური ფენები იშლება ქვემოდან ზემოთ: ქვემოთ — ნეოლითის ეპოქის დასახლება, სულ ზედა რეგისტრში — ახალი ქალაქი. მათ შორის შუა საუკუნეების სხვადასხვა პერიოდის კომპლექსებია განლაგებული.

ქალაქის ამ ნაწილში, რომელსაც სასის უწოდებენ (იტალიურად ქვას ნიშნავს), ადამიანი უხსოვარი დროიდან ცხოვრობდა. შუა საუკუნეებში აქ დიდი მონასტერი იყო, რომელმაც ადრებიზანტიური ხანიდან XVI-XVII საუკუნეებამდე იარსება. კლდის ქალაქში ცხოვრების ნიშნები დღესაც ჩანს.

შენლია გზის ვაგნება სასის ეკლესია-მონასტრების რთულ ლაბირინთებში. კლდეშია გამოკვეთილი აბსიდები, მონოლითური სვეტები და თალები. ამ ქალაქში ასზე მეტი კრიბტაა მიმოფანტული. უაღრესად საინტერესოა კლდის ეკლესიების მოხატულობანი. სანტა მარია დელა ვირტუ, სან ნიკოლა დეი გრეჩა და სხვა ეკლესიათა კედ-



პისკოპოსის კათედრა სან ნიკოლოს ბაზილიკაში (ქ. ბარი)

ლის მხატვრობა, რომელთა ნახვა უძარცვად მნიშვნელოვანი იყო ძველი ქართული ფერწერის სპეციალისტებისათვის, ყურადღებას იპყრობს მოხატულობის სქემების თავისებურებით, იკონოგრაფიის სპეციფიკით, ადგილობრივი ხელოვნების ტრადიციისათვის დამახასიათებელი ნიშნებით. ფერწერა სხვადასხვა ეპოქის მიეკუთვნება. საუკუნეების მანძილზე ამკობდნენ ძველი იტალიელი ოსტატები კლდეში ნაკვეთი ეკლესიების კედლებს. შუა საუკუნეების ფერწერის ისტორიისათვის მოხატულობის ამ ჯგუფს დიდი მხატვრულ-ისტორიული ღირებულება აქვს.

მატერაში, სემინარიუმის ძველ შენობაში გაშლილი იყო სარესტავრაციო სახელოსნოს დიდი გამოფენა, სადაც რესტავრატორთა ბოლო წლის მუშაობის შედეგები იყო წარმოდგენილი: დაზგური და მონუმენტური ფერწერის ნიმუშები, შუა საუკუნეების ხის ქანდაკება, საინტერესოდ იყო ნაჩვენები სარესტავრაციო სამუშაოთა სხვადასხვა სტადია. ქართველ სპეციალისტებს საშუალება მიეცათ უშუალოდ სახელოსნოში გაცნობოდნენ იტალიელი კოლეგების მუშაობას. მათ ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება.

ძველ ქალაქ — ალტამერაში დიდი რომანული ტაძარია (1232 წელს აგებული), რომლის ფასადებზე შემორჩენილია შუა საუკუნეების ქანდაკების მნიშვნელოვანი ნიმუშები, პალსტიკური კომპოზიციები სახარების სცენებით ტაძრის პორტალზე.

სამხრეთ იტალიის შუა საუკუნეების ხელოვნების ძეგლთა გაცნობის საშუალება მოგვცა ბარიდან ლეჩეში გამგზავრების დროსაც. ლეჩესკენ მიმავალი გზა ადრიატიკის სანაპიროს მიყვება. ზღის ორივე მხარეს განუმეორებელი სანახაობა — ძველი საცხოვრებელი სახლები — „სტულო“, თეთრი ფერის „შენობები, კონუსური რუხი სახურავებით. ზღვისპირა საკურორტო ზონაში ახალი მშენებლობა ამ უძველესი ხალხური საცხოვრებლის თემას დიდი ისტატობით იყენებს. ეს გარემოება ამ პროვინციის არქიტექტურას ფეთქოვად, ორიგინალურ სახეს ანიჭებს.

სამხრეთ იტალიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რომანული ძეგლია სანტა მარია დე ჩერატე ეკლესია (XII საუკუნის დასაწყისი). მისი დასავლეთის ფასადი XIII საუკუნის პირველი ნახევრის ნაწარმოებია. პორტალის ოთხში განლაგებულია სულტურული კომპოზიციები ქრისტეს ცხოვრების სცენებით (ხარება, მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა, შობა, მოგვთა თაყვანისცემა და სხვა) და ჩრდილოეთის ლოჯიის ფიგურული კაპიტელები საფრანგეთის რომანულ ხელოვნებასთან ძლიერ სიახლოვეს ავლენენ. ტაძრის მოხატულობა ნაწილობრივ ჩამოხსნილია კედლებიდან და იქვე, ტაძრის მახლობლად განლაგებულ პატარა მუზეუმშია გამოფენილი. ამავე მუზეუმის ენთოგრაფიულ განყოფილებაში ხალხური ყოფის საინტერესო ნიმუშებია დაკული. წარმოდგენილია ხალხური ხელოვნების ნაწარმოებები — კერამიკა, ხის ქანდაკება, მცირე ხელოვნების სხვადასხვა დარგის ძეგლები.

პატარა ზღვისპირა ქალაქი ოტრანტო, შუა საუკუნეების დამახასიათებელი ვიწრო „მუყაბის“, თავისებური არქიტექტურული ელფერით, შუა საუკუნეების ძეგლთა სი-

TERZO SIMPOSIO INTERNAZIONALE SULL'ARTE GEORGIANA

Venerdi 17 ottobre 1980:
Palazzo Parlangei - ore 9.30

Sedute Scientifiche delle Sezioni:
Inseidamenti rupestri;
Arti Mnori;
Cultura Georgiana e Mondo Occidentale
Pittura e Scultura

Sabato 18 ottobre 1980:
Aula Magna dell'Universita'

Seduta Conclusiva con gli interventi dei prof. V. BERIOZE dell'Accademia delle Scienze della Georgia, A. ALPAGO NOVELLO dell'Universita' di Milano e COSIMO DAMIANO FONSECA, Preside della Facolta' di Lettere e Filosofia dell'Universita' di Lecce.

LA CITTADINANZA E' INVITATA AD INTERVENIRE

R. SETTORE
Prof. Mario Marti

სიმპოზიუმის აფიშა

მრავლით გამოირჩევა: წმ. შერატე პატარა გუმბათიანი ტაძარი (X-XI სს.), კარვად შემონახული ფრესკებით, ნორმანების ეპოქაში, XI საუკუნის დასასრულს აგებული დიდი კათედრალი, განსაცვიფრებელი მოზაიკური იატაკით (1163-66 წწ.), რომელზეც სამყაროს ისტორია, ბიბლიური სუფიერები, მითები, გიგანტურ ფერადოვან კომპოზიციას ქმნიან. მოზაიკა ხალიხასავით არის გაშლილ ტაძრის მეოღ სივრცეზე. კომპოზიციის ღერძს წარმოადგენს სიციცლის ხის მოკერი, რომლის გარშემო განლაგებულია მრავალრიცხოვანი კომპოზიციები. განსაკუთრებით საინტერესოა კალენდრის გამოსახულება. ამ გიგანტურ მოზაიკურ კომპოზიციას კარვად ჩანს რომანული სტილის გარკვეული ურთიერთობა ბიზანტიურთან. მოზაიკის მასალა ადგილობრივი პოლიტიკომიული ქვანასაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ბიზანტიური ხელოვნების ძეგლი, გამოქვაბული არქიტექტურის იშვიათი ნიმუში — წმ. ქრისტინეს კრიბტა X-XI საუკუნეების ფრესკებით, რომლებიც ევსტაციისა და თეოდორატის მერგა ხელმოწერილი.

ბოლოს, არ შეიძლება არ ვახსენოთ ის ქალაქები — ბარი და ლეჩე, სადაც მიმდინარეობდა ჩვენი სიმპოზიუმის მუშაობა. ბარი უპილის ოქვის ცენტრია, დიდი ნავსადგური, საუნერესიტეტი ცენტრი. აქამდ ბარიში ოთხას ათასზე მეტი მოსახლეობდა. ვიქტორ ემანუილის პროსპექტი ქალაქს თითქოს არ წაწლიად ჰყოფს — ძველ ქალაქად („ჩიტა ეკია“) — შუა საუკუნეების ქუჩებით და ეკლესიებით, ძველი არქიტექტურის საინტერესო ძე-



გლებით, პორტის ცხოველხატული უზენაესი, და ახალ ქალაქად („ჩიბა მოდერნა“), რომელსაც საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც 1813 წელს იოაკიმ მიურატმა დასაბამი მისცა „ბორჯო ნუფოს“ ურბანისტულ აღმავლობას.

მისი ქალაქი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. მის ცენტრში აღმართულია სან ნიკოლოს ბაზილიკა, პულის რომანული არქიტექტურის ბრწყინვალე ძეგლი. ტაძარი 1089-1127 წლებშია აგებული. მისი დასავლეთის ფასადი შემგულია სველი პორტალი და ფლანკირებულია ორი კოშკით, რომელიც თაღებითაა დეკორირებული. საყუთრიც ხუროთმოძღვრული ღრსებების გარდა, სან ნიკოლო მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას. მისი იატაკის მოზაიკა (XII ს.), გეომეტრიული სახეებით შემგული, ხალჩისებურად ფარავს მთელ იატაკს. თეთრი მარმარილოს ფონზე წითელი, შავი, ყვითლი კვანძებით შედგენილი ორნამენტული კომპოზიციები არაბული ხელოვნების გავლენას ავლენენ.

ცენტრალურ აბსიდაში, XII საუკუნის კიბორჩხის ქვეშ, ეპისკოპოს ელიას (ბარასა და კანოსას ცნობილი ეპისკოპოსი XI საუკუნის ბოლოს) მარმარილოს კათედრაა, პულის რომანული სკულპტურის იშვიათი ნიმუში. აღვილობრივ ისტატთა მიერ შემქმნილი ეს კათედრა მეტად საინტერესო პლასტიკური კომპოზიციებითაა შემგული. ქვედა რეგისტრში — სიმბოლური სკულპტურული დეკორი, ზედა ნაწილში კლასიციური და ბიზანტიური ქანდაკების გავლენით შემქმნილი ორნამენტული კომპოზიცია.

ბაზილიკის ჩრდილოეთ აბსიდაში ბარტოლომეო ვიკარინის ტილა — „მადონა ძით“ (1476 წ.), რენესანსის ეპოქის მნიშვნელოვანი ნაწარმოებია. გვერდით აბსიდაში ვიკარინა XIV საუკუნის ფრესკა — „ჯერაკმა“, ნაწილი იმ მოხატულობისა, რომელიც ოდესღაც ფარავდა ეკლესიის კედლებს.

ბაზილიკის ქვემოთ XI საუკუნის კროტაა. მას შემდგომი გადაკეთებების შედეგად ერთგვარად ბაროკული ხასიათი აქვს, მაგრამ მასში შენახულია მარმარილოს სვეტები ბიზანტიური და რომანული კაბიტლებით, მცენარეული და ცხოველური მოტივების თავისებური გააზრებით.

წმ. ნიკოლოს ბაზილიკის მახლობლად აღმართულია XII საუკუნის დიდი კათედრალი, აპულის რომანული არქიტექტურის ძეგლი. მისი სამნაწილიანი დასავლეთის ფასადი დიდი ვარდულით არის დამშვენებული, გვერდითი ნაწილი დეკორირებულია ბრწყინვალე ჰეგზაფორებით. აბსიდის დიდი სარკმელი ცხოველების ფიგურებანან ფანტასტიკური დეკორითაა შემგული. კათედრალის არქიტექტურულ ფორმებში საუკუნეთა მანძილზე გადატანილ ცვლილებათა კვალი შემინჩევა. ბოლო წლების სარესტავრაციო სამუშაოებმა აღადგინეს კათედრალის პირვანდელი მხატვრული სახე, მაგრამ ინტერიერი მინც ძლიერად იგრძნობა ბაროკული ელემენტები.

აქვე, წმ. ნიკოლოს მოედანზე განლაგებულია სტრატეგოში ჩატრდა „მრგვალი მევიდა“ თემზე. XIX-XIV საუკუნეების პულის ხელოვნების საკითხები, ამან განსაკუთრებული ელფერი შემატა მუშაობას, რადან შუა საუკუნეების იტალიური ხელოვნების განსაკუთრებული სამყაროში, სტეციფური ვარმოცვაში ვისმენ მოხსენებებს, რომელიც სწორედ ახლადგაცნობილ იტალიურ შუა საუკუნეების ძეგლებს ეხებოდა.

სიმპოზიუმის მეტად დატვირთულია პროგრამამ საშუალება არ მოგვცა კარგად გაცნობილით ლჩეს ხელოვნების ძეგლებს. მაგრამ პირველივე შეხედვით ცხადი იყო, რომ ეს ქალაქი ძველი კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრია. ქალაქის ცენტრში, წმ. ორონცოს მოედანზე, ძველი რომული ამფითეატრია გადაშლილი. იმპერატორ ტრაიანეს დროს აგებული (ახ. წ. II ს. დასაწყისში). ეს ამფითეატრი მრავალგვარი სანახაობისთვის, მათ შორის გლადიატორთა ბრძოლისათვის იყო გამიზნული. თვით ქალაქი — ბაროკოს ეპოქის ნამდვილი მუხუშემა: სანტა კროჩეს ტაძარი ფანტასტიკური ბაროკული ფასადით, ბაროკული სასახლეების ცხოველხატული სილუეტები და პლასტიკური დეკორით ჭარბად შემგული დინამიკური. მოზარე ფასადები; სანტა კიარას, სან ჯოვანი ბატისტას, სან მატეოს ბაროკული ეკლესიები „მრუდი ხაზების ტრუმფით“ ფასადებზე.

დამთავრდა სიმპოზიუმი, თანდათან მიწყნარდა შობებულებები და ახლა, როდესაც ვფიქრობთ ჩატრდულ მუშაობაზე, სულ უფრო ხაზგასმობს ჰეგზაფორები და დღემნიშვნელოვანი ღრისძიების ყველა ღრსება. ცხადი ხდება, თუ როგორ გაზარდა ინტერესი ქართული ხელოვნებისადმი, როგორ განჩადა შეგება მისა, რომ ქართული ხელოვნების საფუძვლიანი ცოდნა აუცილებელია შუა საუკუნეების ხელოვნების ზოგადი საკითხების კვლევისათვის. სიმპოზიუმში კიდევ ერთხელ ცადაყო აყად. გჩუბნისაშვილის მიერ დაფუძნებული ქართული ხელოვნებათმცოდნეობის სკოლის ღრსებები.

დამთავრდა უაღრესად დამაბული მუშაობის დღეები იტალიაში. ქართველი ხელოვნებათმცოდნეები დაბრუნდნენ თავის ჩვეულებრივ საქმიანობას. მაგრამ მესამე სიმპოზიუმის შედეგები, მისი გაკვეთილები, რომლებსაც ჯერ კიდევ ვააზრება, ვაანალიზება სჭირდება, დიდ დახმარებას ვაგვიწყვენ მომავალ მუშაობაში, ბევრი რამის გათვალისწინება იქნება საჭირო, რათა მომავალ, მეოთხე სიმპოზიუმს ქართველი მეცნიერები შეხედნენ ისე ღირსეულად, როგორც ამას მათ წინაშე დასახული რთული და მნიშვნელოვანი ამოცანები მოითხოვენ.

წელს ქართული თეატრის დღე აღინიშნება ქალაქ დუშეთში, რომლის სახალხო თეატრს ახლანახან შეუსრულდა 100 წელი.



დუშეთის სახალხო თეატრის მე-100 წლისთავი

ირაკლი გოგოლაური

დუშეთის სახალხო თეატრი ერთ-ერთი უძველესია საქართველოში მოქმედ სახალხო თეატრებს შორის. მას არსებობის 100 წელი შეუსრულდა, მაგრამ ამ თეატრის ისტორიაზე ძალიან ცოტა იცის მკითხველმა. 1950 წელს გამოქვეყნებულ წიგნში — „ქართული თეატრის აღდგენის 100 წელი“ — დუშეთის თეატრი ნახსენებიც კი არ არის საქართველოში მაშინ მოქმედ თეატრებს შორის...

დუშეთის სახალხო თეატრი გასული საუკუნის 70-იანი წლების დასასრულს დაიბადა ადგილობრივ ქველმოქმედთა ინიციატივით.

პატარა, კეთილმოწყობილი დაბა დუშეთი 1756 წელს ქალაქის რანგამდე აამდილა ერეკლე მეორემ, როცა ვაჟთა არაგვის საერისთავო და ამ მხარის გამგებლად თავისი შვილი ვახტანგი, აღმასხანად წოდებული, განაწესა. მანამდე დუშეთში საერისთავო სასახლე აღუენებია არაგვის უკანასკნელ ერისთავს ჯიმშერ ჩოლოყაშვილს (1735 წელს). 1831 წელს გრიგოლ ორბელიანი დღიურში დუშეთის შესახებ წერს: „არს უფრო სიფელი, ვიდრე ქალაქი“. ჯიმშერ ჩოლოყაშვილის აშენებული სასახლე მეფის ჯარს ჰქონდა დაკავებული. ამჟამად ეს სასახლე დანგრეულია.

XIX საუკუნის 80-იანი წლებისთვის დუშეთი, როგორც სამაზრო ცენტრი, თბილისის

გუბერნიაში შედიოდა და მოიცავდა დღევანდელ დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთის რაიონებსა და სამხრეთ ოსეთის ნაწილს, თუმცა, ფშაგ-ხევსურეთი, რომელიც ამჟამად დუშეთის რაიონში შედის, მაშინ თიანეთის მაზრას ეკუთვნოდა და ისტორიულადაც კახეთის მთიანეთს წარმოადგენდა.

და მაინც, დუშეთს, ამ პატარა, სახელმწიფო ზრუნვას მოკლებულ, პროვინციულ ქალაქს ჰყავდა მცირერიცხოვანი ინტელიგენცია. 80-იანი წლებისათვის იქ შესამჩნევი კულტურული გამოცოცხლება დაიწყო: არსდება სამკითხველო („სახლი კითხვისა“ — 1880 წლის აპრილი), 1874 წელს დაარსდა ქალთა სასწავლებელი, 1880 წელს ვეთა სახელმწიფო სასწავლებელი. იმავე ხანებში აღკვლობრივმა ქველმოქმედმა საზოგადოებამ გიმნაზიის გახსნაც მოინდომა, მაგრამ, როგორც ჩანს, ნებაზე ვერ მიიღო და სურვილი არ განხორციელებულა.

1880 წლის 20 იანვარს დუშეთში ოფიციალურად დაარსდა თეატრი და პირველსავე, თეატრის დამფუძნებელ, წარმოდგენებზე მკყურებელს უჩვენეს ორი სპექტაკლი: ერთი ქართულ, მეორე — რუსულ ენაზე (სამწუხაროდ, სპექტაკლების სახელწოდებანი წყაროში მოცემული არაა!). ამ საქმის წამომწყებნი

საკვ და საპარტიელოს კომპარტიის XXVI ყრილოგების მისახვედრად

გიგო ყორღანია

გრიბოედოვის სახელობის სახელწოდებით
რუსული დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ინმთი ღირსშესანიშნავი მოვლენა, როგორცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა, ემთხვევა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავს. კომუნისტური აღმშენებლობის ახალი მიწები დაიხსენა ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი კულტურული და სულიერი ცხოვრებისათვის. გრიბოედოვის სახელობის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი დიდი ამბავებით ეგებება ამ თარიღს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას გრიბოედოვის სახელობის თეატრი უძღვნივს. ლაგრენიევის მოთხრობის მიხედვით შემწილ სპექტაკლს „რომოდამგერთა“. ბ. ლაგრენიევის ეს კლასიკური ნაწარმოები არაერთხელ დადგმულა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა თეატრის სცენაზე, ამ მოთხრობის მიხედვით გადაღებულია კინოფილმიც. მაგრამ ჩვენი თეატრი სხვა გზით წავადა. ინსცენირებაში, რომელსაც მალე მაყურებელს ვუჩვენებთ, თითქმის მთლიანადაა შენარჩუნებული ავტორისეული ტექსტი.

სპექტაკლს დავსხ ახალგაზრდა რეჟისორი გიგოჩა ჩაკვატაძე, მხატვრულად აფორმებს ლ. მანთიძე, კომპოზიტორია ა. რაქვიანული.

სპექტაკლი ჩაფიქრებულა, როგორც რევოლუციის ეპიკური ტალო, მოთხრობა იმ აღმართებზე, ვინც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში რევოლუციის იდეალზე აყენებდა საყოთარსიკოცხლებსა და პირად სიყვარულზე მალა.

თავისთავად ცხადია, რომ სპექტაკლის მთელი პათოსი მიმართული იქნება თანამედროვეობისადმი. ეპოპეა და იმდროინდელმა სინამდვილემ ბ. ლაგრენიევის შესაძლებლობა მისცა მოთხრობა ეპიკური ტრაგიკულობით განემსჭვალა. ამიტომ თეატრი ეცდება არ დაუკარგოს ავტორის მასშტაბურობა, არაფერი და-

(გაგრძელება 25-ე გვ.)

ყოფილა ღმრული მანდილოსანი თამარ კვალიაშვილი, რომლის ენერგიული მეცადინეობით იმ წელს რამდენიმე სპექტაკლი დადგმულა.

ღმრუთის თეატრის დაარსებას ბიძგი მისცა იმ დიდმა მოძრაობამ, რომელიც 70-იან წლებში გაიშალა ი. ჭავჭავაძის მეთაურობით და დაგვირგვინდა ქართული პროფესიული თეატრის დაარსებით.

ღმრუთში, როგორც ჩანს, თეატრის დაარსებისათვის მზადებას უფრო ადრე შესდგომიან.

საყურადღებოა, რომ ღმრუთის თეატრის დაარსების შემდეგ იწყება თბილისში სახალხო თეატრების ჩამოყალიბება, ასე მაგალითად: ავჭალის თეატრი ოფიციალურად გაიხსნა 1893 წელს, ავლაბრის თეატრი — 1895 წელს, 1911 წელს არსდება ხარაფხის თეატრი, 1917 წელს — ნავთლელის თეატრი და სხვ.

საქართველოში სახალხო თეატრების დაარსებას საფუძვლად დაედო საქველმოქმედო დანიშნულება: მთელი შემოსავალი ხმარდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რაც ხალხის სულიერი მოთხოვნების მიმართ ცარიზმის სრული უყურადღებობით იყო განპირობებული. ხალხი იძულებული იყო თვითონ ეტრუნა ახალგაზრდობის განათლებაზეც კი.

სახალხო თეატრებმა ჩქარა მოიპოვეს დამსახურებული ავტორიტეტი. სცენისმიყვარე ახალგაზრდობა ვასოცარ თავდადებას და სიყვარულს იჩენდა სასცენო ხელოვნებისადმი. ხალხი დიდად აფასებდა თეატრების საქველმოქმედო დანიშნულებას.

ასეთი ვითარება სუფევდა ღმრუთშიც, სადაც თეატრის დამფუძნებელი სპექტაკლების შემოსავალიც კი მთლიანად ღმრუთის ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ გამოიყენეს. გაჭირვებულ სკოლას მართო იმ ერთი წარმოუდგენით 117 მანეთი გადაეცა.

1880 წელს, დაარსებისთანავე, ღმრუთის დრამატული დასი მონღოებში შესდგომია საქმეს. გადაუწყვეტით თვეში თითო სპექტაკლის დადგმა, რაც სინამდვილედ უქცეოთ. იმავე წლის 11 აგვისტოს ღმრუთი სცენისმიყვარეები კვლავ საქველმოქმედოდ დგამენ სპექტაკლს. გაზეთი „დროება“ მკითხველებს აუწყებდა: „ღმრუთში იყო წარმოდგენა სასარგებლოდ ერთი ყმაყვლილი კაცისათვის, რომელსაც დაუსრულებია სწავლა თბილისის კლასიკურს გიმნაზიაში და არა პრეგბია სტაჟენდია უნივერსიტეტში წასავლელად... დამწყობი იმ საქმისა იყო ღმრუთში მცხოვრები ქალთაგანი, სახელოვანი, თამარ კვალიევისა, რომელმაც სთხოვა ქართულის თეატრის აქტრისას ნატალია ვაზუნისას,

მიეღო მონაწილეობა და გაბუნიაძე პატივი ჰკა ამით თხოვნას და მოვიდა ღუშეთში... პატრეცემულმა თამარ კვალციასმა საქმით დაამტკიცა, რომ ჩვენი ქალებიც იღვწიან ქეთილონიკურული ცხოვრებისადმი. არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმიანად. სპექტაკლის ხილვით მაყურებელი მოხბაღულა. კორესპონდენტი შენიშნავს: „განსაკუთრებით სისამაოვნო სურათს წარმოადგენენ ის პირნი, რომელთაც არ უნახიათ თეატრი და წარმოადგენს. იმავე დღეს მზავალი ჰკითხულობდნენ: „როდის იქნება კიდევია?“.

საყურადღებოა, რომ ღუშეთის თეატრის დარსებისთანვე მზარს ედგა გამოჩენილი ქართველი მსახიობი ნატო გაბუნია.

1884 წელს ღუშელმა სცენისმოყვარეებმა დადგეს გ. ერისთავის „გაყარს“ იმ შინონის დარბაზში, რომელშიც ღუშეთში ყოფნის დროს ცხოვრობდა ილია ჭავჭავაძე. ამ სპექტაკლში ნატოს თათლას როლი უთამაშია, ხოლო ანდუქაფაშის როლი შუჰსრულუბის დიმიტრი კვალაშვილს (მაზრის უფროსის თანამშემუქს), რომელიც ქომავობდა ღუშეთის თეატრს.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მაშინდელი ღუშეთის მაზრის მმართველობა თავიდანვე დიანტერესებულა სახალხო თეატრის მუშაობით. უფრო მეტიც: მაზრის უფროსები, თანამშემუქები თავიანთი ოჯახებით მონაწილეობდნენ, როგორც სპექტაკლების დადგმებში, ისე სცენა-დეკორაციების მომზადებაში.

ღუშელს სცენისმოყვარეები თანდათანობით აფართოებდნენ სასცენო რეპერტუარს: სპექტაკლებს ენაცვებოდა ცეკვები, მხატვრული კითხვა, რიმდერები, რაც ჩვეულებრივად სპექტაკლების დასასრულს იმართებოდა, ხოლო „ანტრაქტის დროს უჩრავდა ზურნა“.

1899 წელს ღუშეთის თეატრთან ჩამოყალიბდა მომღერალთა გუნდი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი მომღერალი ალექსანდრე კავსაძე. ერთი კონცერტის შესახებ, რომელიც გაიმართა 1900 წლის დეკემბერში, „ცნობის ფურცელი“ იწუქებოდა: „საზოგადოებას ისე მოეწონა კონცერტი, რომ თითქმის ყველა ნომერი გაიმეორებინეს და ტაშის ცემით დააჯილდოვეს. ბ-ნ კავსაძეს ტკბილი ტენორის ხმა აქვს და, ამა, რალა თქმა უნდა, რომ „გადმიწვი მთაო“ ხალხს აღტაცებაში მოიყვანდა“ (ც. ვ. 1901, № 1347).

1880 წლის 31 იანვრის ნომერში გაზეთი „დროება“ წერდა, რომ ღუშელმა სცენისმოყვარეებმა „20 იანვარს წარმოადგინეს ორი პიესა: ერთი რუსულს და მეორე ქართულს ენებზედ“. სამწუხაროდ, ამ პიესების სახელწოდებანი მოკმული არაა (ი. გ.) ამგვარად, ერთდროულად ღუშეთში არსებობდა დაიწყო რუსულმა და ქართულმა თეატრმა, ხოლო

1898 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ამით ცნობას გვაწვდის: „25 ნოემბერს სცენისმოყვარეებმა სცენისმოყვარეთა ქართულ-რუსული წარმოდგენა გამართეს: ქართულად — ოთხმოქმედებანი კომედია „ხანუმა“, ცაგარელი: რუსულად — „უცხოოდ“ — ერთმოქმედებანი ვოდევილი და „ვეტებ საქმრის“ ერთმოქმედებად. ერთი წლის შემდეგაც ასეთვე ცნობა ქვეყნდება: „პარასკევს, 6 ნოემბერს, ადგილობრივმა სცენისმოყვარეთა ქართულ-რუსული წარმოდგენა გამართეს. ქართულად დაიდა „ციმბრალი“, რუსულად — „უსლუცი“ და „ნეჩაინოვ ოგორჩინი“. 1899 წელს წარმოდგენილი იქნა აგრეთვე ვოდევილი „ნა ხუტორე“ ვ. გუნიას კომედიასთან — „ვასი გავეყარე, ვუსი შევეყარე“ — ერთად, ხოლო 1900 წელს ქართული სპექტაკლი — „ჯერ დაიხიციენ, მერე იქორწინეს“. პარალელურად დაიდა რუსულ ენაზე „ცოლქმარი“ და „უკვამლო ცეცხლი“ და ა. შ.

900-იანი წლებთან თეატრის სცენა კერძო ბინებიდან თანდათანობით ინაცვლებს საზოგადოებრივ-სახელმწიფო კუთვნილების ბინებში. სცენისმოყვარეთა რიგებშიც თანდათან მატულობს ადგილობრივთა რიცხვი. სპექტაკლების დადგმის საქველმოქმედო დანიშნულების ტრადიცია კვლავ გრძელდება. 1814 წელს სცენისმოყვარეთაგან კვლავ არსდება მომღერალ ქალთა გუნდი, გ. კვალაშვილის ხელმძღვანელობით. ამავე წელს არსდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ღუშეთის განყოფილება, რომელიც შეფუბასა და მეურვეობას უწევს თეატრის მუშაობას.

1914 წელს ვადახლისდა ღუშეთის თეატრის დასიც. დასის გამგედ აირჩიეს დ. კობიაშვილი, გ. მაისურაძე და ს. ნამორაძე. ახლად არჩეული გამგეობა ძალიან ენერგიულად შესდგომია მუშაობას. მოკლე ხანში დაუდგამთ ა. წერეთლის „პატარა კახი“, მაღე განახლდა „ხანუმა“ დადგმა და მუშაობა ისე ნაყოფიერად წარიმართა, რომ თვეში ო-ორ სპექტაკლსაც ხელმძღვანელობით არსდება ბავშვთა თეატრი.

1915 წლის 12 აპრილს დაიდა ვ. გუნიას „და-მმა“. ამ სპექტაკლს ესწრებოდა ჩარალიდან თბილისში სამკურნალოდ მიმავალი ვაჟა-ფშაველა.

იმავე წელს ღუშელმა სცენისმოყვარეებმა დარბეული აჰარლების დასახმარებლად წარმატებით დადგეს რამდენიმე სპექტაკლი, მათ შორის დ. ერისთავის „სამშობლო“. ამ სპექტაკლის გამო პრესა აღნიშნავდა, რომ „აჰარმა სცენისმოყვარეებმა შეუძლებელი შესძლეს და მოლოდინს აადაპარბესით“ —

(ეურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1915 წ. № 24).

1915 წლის ზაფხულში, 27 ივლისს დუშეთში სცენისმოყვარეებმა მოაწყვეს საზოგადოების კულტურული დასვენების ღონისძიება — წარმოდგენა დიეტრისმენტით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო გამოჩენილმა მსახიობმა ვასო აბაშიძემ, ხოლო მეორე დღეს 27 ივლისს, მოწიფო საბავშვო სადამო — წარმოდგენა, რომლის გვირგვინს შეადგენდა ვასო“.

დუშეთი სცენისმოყვარეები დიდი პატივისცემით ეკიდებოდნენ ქართველ კლასიკოსებს. 1915 წლის 7 მარტს მათ ჩაატარეს ა. წერეთლის ხსოვნის საღამო და წარმოადგინეს „პატარა კახა“. ასევე 1915 წლის 2 აგვისტოს დასადგმულად დანიშნული სპექტაკლი გადაიტანეს 3 აგვისტოსათვის, ხოლო 2 აგვისტოს დეჟას გარდაცვალების გამო პანაშვილი გადაინახდეს ქ. დუშეთში.

1917-1918 წლების სეზონისათვის ხელახლად გადახალისდა დუშეთის თეატრის დრამატული დასი. მის შემადგენლობაში შევიდნენ: ელისო ნავაძე, სიმონ ნავაძე, გიგუცა ლავგაშვილი, მანია ბახტუაშვილი, ვიქტორ ელიაშვილი, სალომე ბერიძე, ლადო ბერიძე, მარო აბრამიშვილი და სხვები. დრამატულმა დასმა მრავალი სპექტაკლის დადგმა განახორციელა, უნდა ხაზი ვაგსავს იმასაც, რომ რევოლუციამდელ დუშეთის სცენაზე იდგმებოდა თითქმის იგივე სპექტაკლები, რაც თბილისის პროფესიულ და სახალხო თეატრებში.

ამიერად, 1900-1921 წლებში დუშეთის სახალხო თეატრმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა. დახვეწა და გაამდიდრა სასცენო რეპერტუარი, დრამატული დასი დაკომპლექტდა ადგილობრივი ძალებით. ჩამოაყალიბეს მოსწავლეთა დასიც (1915 წელს), ხელმძღვანელი ა. ინაშვილი, შექმნეს მომღერალთა გუნდი. იმ დროისათვის დუშეთს უკვე ჰყავდა სახელმძღვანელო მსახიობები. თეატრის მოელო შემოსავალი კვლავ საქველმოქმედო დანიშნულებით ინარჩუნებოდა. შეიქმნა საკუთარი თეატრალური ტრადიცია, რაც თანდათან უახლოვდებოდა პროფესიული თეატრის დონეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობა ახალი ძალით გაიშალა. დუშეთის თეატრში რეჟისორად მოვლინებული იქნა გამოცდილი მსახიობი ბორია ლითანიშვილი. ხელახლად გადახალისდა დრამატული დასი, რომლის შემადგენლობაში შევიდა 25 სცენისმოყვარე, არჩეული იქნა დასის გამგეობა და სარევიზო კომისია. პარალელურად კვლავ მოქმედებდა ბავშვთა თეატრაც (ხელმძღვანელი ე. მეზერიშვილი).

ბორია ლითანიშვილის რეჟისორობით დასა და დიდ წარმატებებს მიალწია. ეურნალი „თეატრი და ცხოვრება“ 1925 წლის 25 იანვრის ნომერში აღნიშნავდა: „ქ. დუშეთის თეატრის მუშაობა მოიხსენებდა, იყო დრამატიკური, იყვნენ საქმის მოყვარულნი, მუშაობის მსურველნი, მაგრამ მრავალი დაბრკოლება ეღობებოდათ წინ, რაც ჩვეულებრივი მოგონება პროვინციის თეატრებისათვის. არ იყო მტკიცე, მიკონდენ, ენერგიული და საქმისათვის თავადლებული ხელმძღვანელი... ბოლო დროს მოწყვეული იქნა რეჟისორ-ხელმძღვანელად აშხ. ბორია ლითანიშვილი, ჩვენს სახალხო სცენაზე უკვე ცნობილი მსახიობი... დუშეთში მის მიერ შედგენილია დასი, რომელშიც ირიცხება 25 წევრამდელ და სისტემატურად იმართება უკვე წარმოდგენები. სახამთრო სეზონი დაიწყო კვირას, 21 დეკემბერს, მაგალითიშვილის პიესით „რევოლუციის გარეკრახე“. მოთამაშეთა შორის აღსანიშნავნი არიან: ბ. ლითანიშვილი, გ. ლავგაშვილი, მ. აბრამიშვილი, ბეჟანიშვილი, გომიშვილი, მოწაფე როინიშვილი და სხვა. საერთოდ ეტყობათ ყველას მუშაობის ხალისი და სიცოცხლე. ჩანს გამოცდილი ხელმძღვანელის ხელი“.

ბ. ლითანიშვილი შემდეგ თბილისში გადასუყვანათ. შემდგომ პერიოდში დუშეთის თეატრში ერთმანეთს ცვლიდნენ რეჟისორები დ. ჩარკვიანი, ქ. ბახტუაშვილი, ლადო ხანდოელი, საშა მიქელაძე, სოსო ეცივიძე, შალვა მეყვანაძე, სოსო რევაზიშვილი, ნ. წითლიშვილი, ი. მეზერიშვილი...

დუშეთის სახალხო თეატრის მატერიალური ბაზა მინც არახელსაყრელი იყო. ამიტომ დუშეთლებმა გადაწყვიტეს საკუთარი ძალებით შეეგროვებინათ თეატრის შენობის ასაშენებელი თანხები, რისთვისაც 1935 წლიდან დაიწყო სამშენებლო თანხების შეგროვება. გაიშალა ინდივიდუალური სოცეგობრი თანამდებობის პირთა შორის, გაჩაღდა ურთიერთგამოწვევა. რაიონის გავითი „სტალინური გზით“ ასეთი შინაარსის განცხადებებს აქვეყნებდა: „აშხ. ვ. სამსონიძისა და დ. მდივნიშვილის გამოწვევით შემომავს 50 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს...“ (ჩამოთვლილია შვიდი კაცი) გამოწვევამ ქალაქიდან სოფელშიც გადანიაცვლა და საზოგადოებრივი ხასიათი მიიღო.

იმავე გავითში გამოქვეყნებული განცხადების მიხედვით, თეატრის მშენებლობის შესახებ იფულო ბანკში შექმნიდათ ანგარიშზე (№155/24) ჩვენ ამჯერად არ ვიცით, რა ოდენობის თანხა შეგროვდა ინდივიდუალური სოცეგობრების გზით შეტანილი ფულით, მაგრამ ერთი კი ცხადია: დუშეთის თეატრი,

1 სახელები მოთხოვნილი არაა (ბ. გ.).



სსკპ და საპარტიველო
კომპარტიის XXVI
ბრილიანების შისახვედრად

რომლის დადგმა ძველი ტაძრის ნაფუძვარზე იყო გათვალისწინებული, არ აშენებულა (ახლა ამ ადგილას, ქალაქის „ბულვარში“ კართუსელი მოწყობილი). არც მანამდე არსებული საზაფხულო თეატრი შეკეთებულა, რომელსაც არც ჭერი ჰქონია და მხოლოდ ცარიელი თუნუქი ჰხურებია, რის გამოც ზაფხულობით ძალიან ცხელიდა და ღუმელებს მისთვის ხუმრობით „ღუბოვცა“ შეურყმევიათ.

სამაგიეროდ, რაკევეშირის შენობაში მოთავსებული რესტორანი ვრცელი დარბაზით გადაკეთებული იქნა კლუბად. მოეწყო სენა და მყურებელთა დარბაზი, სადაც იღებოდა სპექტაკლები თითქმის ოცი წლის განმავლობაში (სარაიონო კულტურის სახლის გახსნამდე, 1957 წ.) აქამდე იქ მოთავსებულა ხალიჩების საქსოვი ფაბრიკა.

სამამულო ომის წინა ხანებში ღუმეთის თეატრის სცენაზე მრავალი სპექტაკლი დაიდგა, მათ შორის: პ. კაკაბაძის „ვერცხვარე თუთიბერი“, კარლო კალაძის „როგორ“ და „ხატიჯე“, ნ. შიუკაშვილის სამმოქმედებიანი დრამა „მეგობრობა“, მოლიერის „ძალად ექიმი“, შილოვის „ვერაგობა და სიყვარული“, რ. ერისთავის „ჩერ დაიხოდენ და მერე იქორწინეს“ და მრავალი სხვ.

სამამულო ომის წლებში ღუმეთის თეატრი წარმატებით ართმევდა თავს თავის მთავარ ამოცანას: გალევებინა ხალხში მტრისადმი უსაზღვრო სიძულელის სულსკვეთება, აღეგზნო მასები პატრიოტული გრძნობით და თავისუფლებისათვის უსაზღვრო ბრძოლის წყურვილით.

სამამულო ომის წლებში განსაკუთრებული თავდადებით იღვწოდა თეატრში აწ განსვენებული ელისო ნავაძე. მისი რეჟისორობით ღუმელმა სცენისმოყვარეებმა განახორციელეს მრავალი ახალი დადგმა. ამავე ხანებში ღუმეთის თეატრის მუშაობაში ენერგიულად მონაწილეობდა მ. თაბორიძე, როგორც დამდგმელ-რეჟისორი. მარტო 1944 წელს დაიდგა: ა. ცაგარელის „ლეკის ქალი გულჯავარი“, შ. დადიანის „გეგეპუკორი“, ა. ნავროზოვის „ჩემი დედა“, ა. ოსტროვსკის „უდანიშნული დამნაშავენი“, ვ. გუნიას „დამა“, ა. ცაგარელის „ხანუმა“ და სხვა. სპექტაკლებს ესწრებოდნენ დედაქალაქის თეატრების წარმომადგენლები. საყურადღებოა, რომ იმ წელს დასმულა ღუმეთის თეატრის სახელმწიფო თეატრად გადაკეთების საკითხი, მაგრამ დაწყებული საქმე რატომღაც ბოლომდე არ მისულა.

სამამულო ომის შემდგომ წლებში ღუმეთის თეატრი ახალი შენობებით შეუდგა მუშაობას. სცენაზე სახელი მოიხვეჭეს ვ. გოზი-ტაშვილმა, ავთ. ნამორაძემ და სხვა. ვ. გოზი-ტაშვილისა და ავთ. ნამორაძის რეჟისორობით

აკლოს იმ ტრაგიკული გლობალური-ბას. აზის უღანოში რომ შეემთხვა ორ ადამიანს — წითელი არმიის მებრძოლს მარუტკას და თეთრგარბილ ოფიცერს გავიგროვო. ოტროკა.

ეს სპექტაკლი იქნება ადამიანის სულიერი ძლიერების გამომხატველი სცენური ნაწარმოები და, რადგან ნაწარმოებში ძველი ბერძნული ტრაგიკების მოტივები უდრის, თეატრმა გადაწყვიტა სპექტაკლი გუნდი გამოეყენოს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს თეატრი უძღვნის ნ. დუმბაძის ინსცენირებული პიესას „მარადისობის კანონი“. ამ რომანისათვის ნოდარ დუმბაძეს 1979 წელს ლენინური პრემია მიენიჭა. რომანის გასცენურებას ხელი მოჰყვით მე და ჩვენმა ლიტერატურულმა რედაქციამა ჯ. კვიციანიძემ.

ამ სპექტაკლის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებს თეატრის თითქმის მთელი კოლექტივი და დამდგმელ ჯგუფს დაძაბული მუშაობა მოუხდება. თეატრი მიზანდა მიზანს ამ სცენური ნაწარმოებს, რომელიც ეტება თანამედროვე ცხოვრების მტიკუნულ საკითხებს, შექმნილურად შეუნარჩუნოს შემტევი პოეტიკა და ორიგინალის მგზნებარება. ამ სპექტაკლი დასმული პიესალებზე მორს სცენდება ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს და მისი ღირსებაც სწორედ ეს არის. ამ სპექტაკლს შევდგამ და ჩვენს თეატრს იგი ამ სეზონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნია.

შალვა გაწერელია

მოზარდ მყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის მთავარი რეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ჩვენს წლავანდელი თეატრალური სეზონი მიმდინარეობს მთელი რიგი მნიშვნელოვანი მოვლენებით აღსავსე პერიოდში. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს.

(გაგრძელება 26-ე გვ.)

სკკპ და საპარტიოებს კომპარტიის XXVI ყრილობების შესახებ დარღვა

ნოს ისეთი დიდი მოვლენა მთელი ჩვენის ხალხისათვის, როგორცაა პარტიის XXVI ყრილობა. ბუნებრივია, თეატრის აქტიურად უნდა გამოხმაურებოდა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას და ეს ასეც მოხდა. თეატრმა გადაწყვიტა ჩამდინებულ სექტაქალი მიუძღვნას სკკპ და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობებს, პირველი ასეთი სექტაქალი იქნება ფადიშვილის რომანის მოტივების მიხედვით მ. გვიგას მიერ შექმნილი პიესა „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“. ეს პიესა რომანის ინსერირების არ წარმოადგენს, იგი თავისი ფორმის მხრივ ორიგინალურ ნაწარმოებადაც კი შეიძლება ჩაითვალოს. „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“ თავის დროზე დაიდგა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში და დიდი აღიარება პოვა. სექტაქალი კომ. კავშირის სახელობის პრემიითა კი დაჯილდოვდა. ამ სექტაქალს მომავალში ნახავს მაყურებელი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გასული წელიწადი კიდევ იმითაა მნიშვნელოვანი, რომ იგი მთავრად ხუთწლეულის ბოლო წელს აღწადა. ჩვენ შეუძლებს დაგვარად ამ ოარილსა ვეზნაურებში, თეატრმა ხუთწლეულის გეგმა უკვე შეასრულა და შეგვემთხრობა მოგვით, ანუ იმ თანხით, რაც გადაგვარა, ვდგამთ კიდევ ერთ სექტაქალს „წითელქუდას“. სექტაქალს ვუძღვნით იმ სოციალისტურ ვალდებულებებს, რაც ხუთწლეულის დასაწყისში ვიკისრეთ. გეგმა რომ გადაჯარბებით შევასრულოთ, ჩვენ წილს მაყურებელს შეგვემთხრობთ ვუჩვენებთ კიდევ 10-15 სექტაქალს.

ჩვენ კიდევ ერთი სერიოზული სამუშაო გველის წინ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავს ვუძღვნით კონსტანტინე ლორთქიფანიძის ცნობილი რომანის „კოლხეთის ცისკრის“ საფუძველზე შექმნილ დრამატულ ნაწარმოებს. ამ ნაწარმოების სცენაზე წარმოდგენას დღეიდან ნინო იტორია აქვს. საქართველოში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი თეატრი, იგი რომ არ დაეცა — დადგეს რუსთაველისა და მარკანიშვილის სახელობის, ქუთაისის და ქიათურის თეატრებსა და მრავალმა სხვამ. ამიტომ ჩვენ დღეიდან სახუთსმეგობროს ვაწყობთ, ვეძლევათ, ვნერვიულობთ, არ ვიცი, როგორია გა-

(გაგრძელება 27-ე გვ.).

განხორციელდა მრავალი სექტაქალის დადგმა.

ვახტანგ გოზიტაშვილის რეჟისორობით 1945 წელს დაიდგა ა. ყაზბეგის „მოძღვარი“ და ს. შანშიაშვილის „ხევისბერი გოზა“.

რეჟისორობა ცვალებადობა ხშირი იყო. ერთმანეთს ცვლიდნენ ე. ნავაჰე, მ. თაბორიძე, ე. გოზიტაშვილი, ავთ. ნამორაძე, მ. იარალი, ილია ბეჟაური და სხვები, რომელთაც მრავალი მოწიწებული დადგმა განხორციელდა.

ორმოცდაათიანი წლების დადგმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მ. გოგიაშვილის კომედია „გულსუნდა“, რომელიც დაიდგა ავთ. ნამორაძის რეჟისორობით და საერთო მოწიწება დაიმსახურა.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისისათვის რაიონის კულტურისა და დასვენების პარკში აშენდა საზაფხულო ესტრადი, სადაც, კინოსექტაქალის ჩვენებებთან ერთად, ღერეთის თეატრის დადგმებითაც ტკბებოდა მაყურებელი.

დღემდამდე სცენისმოყვარეებმა წარმატებით დადგეს აგრეთვე ა. წერეთლის „პატარა კახი“, ნ. ანანიაშვილის „მეგობრობა და სიყვარული“, გ. ერისთავის კომედია „თქუნა“ და სხვ.

1953 წელს ღერეთის თეატრმა დიდი დანაკლისი განიცადა. ფასანაურში ცეკვის დროს მოულოდნელად გარდაიცვალა მსახიობი და ქორეოგრაფი ილია ბეჟაური. მისი სახით დღემდამდე სცენისმოყვარეებმა დაიკარგა ერთი მასწავლებელი და ხელოვანი, რომლის სახელთან ვარკვეულ წილადა დაკავშირებული იყო ე. წ. „მთიულეთის ცეკვის“ შექმნა და გამრავალფეროვნება.

ღერეთის თეატრის სცენაზე ხშირად დადგინდნენ სექტაქალის საგასტროლოდ ჩამოსული რესპუბლიკის თეატრები: მარკანიშვილის თეატრი, გორის თეატრი, თბილისის სახელმწიფო თეატრი, მუსკომედის თეატრი და სხვა.

1959 წელს ღირსშესანიშნავ სეცტად დავს ღერეთის მშობრელთა კულტურული ცხოვრების მატანეში. ამ წელს ღერეთის თეატრის ოფიციალურად ეწოდა სახალხო თეატრის საპატიო სახელი.

1959 წლის დასაწყისისათვის რეჟისორად მოწვეული იქნა ნიჭიერი მსახიობი შალვა ჩერქეზიშვილი. მისი ხელმძღვანელობით ხელახლა იქნა გადახალისებული დრამატული დასის შემადგენლობა და წარმატებით იქნა განხორციელებული მ. კიკვიძის „ცისკრის ვარსკვლავის“ დადგმა. სექტაქალს მაღალი შეფასება მისცა როგორც რაიონის, ისე თბილისის მაყურებელმა და რესპუბლიკურმა პრესამ.

„ცისკრის ვარსკვლავი“ ღერეთის თეატრის სცენაზე დაიდგა 1959 წლის 30 თებერვლს.

სკკპ და საპარტეზლო
კომპარტიის XXVI
ყრილობავის შესახებ დარღ

როლებს ასრულებდნენ უფროსი და უმცროსი თაობის დღეული მსახიობები: ს. ჭიბარძევილი და ლ. დავითური (ჭაიშვილი დედა), ვ. გოჯბანიშვილი (დიმიტრი), ლ. ოსევენიანი და ვ. ბადავაძე (მზექალი), ვ. გაბიაშვილი (ხუტლუბუღა), ე. ბურდული და ნ. ფოცხვერაშვილი (ჩიქთაბათენი), მ. კარიული (იბრაჰიმი), ბ. ლითანიშვილი (კათალიკოსი), შ. გრიგოლია, შ. ხუციშვილი (ნოინი), ა. ნამორაძე (ბადათერი), ი. კაკალაშვილი (ვიგია), ტ. მოლოდინი (ნამუსა), ირ. წიკლაური (ელეზბარი), ტ. კობახიძე (ნუგზარი), ა. კაკალაშვილი (ხოჯა), ნ. ხეცტურიშვილი (ულთუ).

დადგმა მხატვრულად გააფორმა ტ. ოთარაშვილმა, ხოლო მუსიკალურად ზ. დიაკვინიშვილმა. სპექტაკლის მომზადებაში მონაწილეობდნენ: ლიტბარი ს. იაშვილი, ცეკვებისა და ფარკაობის დამდგმელი შ. გრიგოლია, მხატვარ-გრიმიორი ს. ისახეგოვი...

იმავე წელს დღეულის თეატრმა გასვლითი სპექტაკლები წარმოადგინა ყაზბეგსა და ქ. ორჯონიკიძეში. შერჩეული იქნა ვ. გუნისა „ორი გმირი“. სპექტაკლს მაღალი შეფასება მიეცა.

წარმატებით დიდგა დღეულის თეატრში ი. ჭავჭავაძის პიესები — „გულმართალი დამიანის“ და „ჩრდილი ყვავილებზე“. ეს სპექტაკლები რამდენჯერმე უჩვენეს რაიონის სოფლებშიც.

1962 წლის შემდეგ დღეულის თეატრიდან რეჟისორი შალვა ჩერქეზიშვილის წასვლამ შეაფერხა თეატრის მუშაობა, გაჩნდა ხანგრძლივი „შუქსეცნებები“.

1963 წლისათვის დღეულისა და მცხეთის რაიონები გაერთიანდა. გაერთიანებული რაიონის ახალმა ხელმძღვანელობამ ჯეროვანი ყურადღება ვერ გამოიჩინა რაიონის კულტურული ცხოვრებისადმი, რის გამოც სახალხო თეატრის საქმე ვერ წარიმართა ტრადიციებისა და ახალი მოთხოვნების შესაბამისად. ხშირად იცვლებოდნენ რეჟისორებიც.

მართალია, თეატრი ცდილობდა თავი დაედევნა მძიმე მდგომარეობისგან, ერთხანს რეჟისორი ნ. ჩერქეზიშვილი დაუბრუნდა დღეულის თეატრს, მაგრამ დროებით... სცენიდან თანდათან წვეიდნენ გამოცდილი მსახიობები, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა დღეულის თეატრის დადგმათა ხარისხობრივ მაჩვენებლებზეც. რაიონულ გაზეთში გაჩნდა გულშემატიკივარ სცენისმოყვარეთა წერილებიც, რომლებიც მოითხოვდნენ თეატრისათვის სათანადო ყურადღების მიქცევას ზემდგომი ორგანოების მიერ.

დღეულის სახალხო თეატრის სცენაზე მოვიდნენ ახალგაზრდები, მათ შორის გ. ხუციშვილი, რომელმაც მალე მოიხვეჭა სახელი. სამოცდაათიანი წლებიდან დღეულის სახალხო

მოკვდა სპექტაკლი. მაგრამ მოვარი მაინც ისაა, რომ მიუღლო შემოქმედებითი კოლექტივი დიდი მოწოდებით მუშაობს და ამ სპექტაკლს, აღნაბ, მაყურებელს ყრილობის დღეებში ვეჩვენებთ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავთან დაკავშირებით გვინდა მოვაწყოთ გასტროლები რიგში. ლატვიელ მაყურებელს ვუჩვენებთ ყველა ჩვენს საუკეთესო სპექტაკლს და, მათ შორის, რა თქმა უნდა, ყრილობისადმი და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სპექტაკლებს „ახალგაზრდა გვარდის სახელით“ და „კოლხეთის ცისკარს“, „რდევებს“, „ქაშუშის გაჭირვებას“, „მერი პოპინს“, „სიმონა მარსის სიზმრებს“ და სხვ.

არ შეიძლება ხაზი არ გავუსვა იმ დღი და დღეების მნიშვნელობას, რასაც თეატრი ეწევა ჩვენი რესპუბლიკის რაიონებში, კერძოდ კი მაღალმთიან სოფლებსა და ქალაქებში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ჩვენ დაგვევალა მომსახურება გავყოფოთ მაღალმთიანი რაიონების ადგილობრივ მოსახლეობას და ამ დავალებას პირადად ვასრულებთ. გაზაფხულზე ვიყავით სვანეთში, სადაც შენანიშნავად მიგვიღეს და ჩვენ გულითა და სულით შევეცადეთ სისარული მიგვეჩვენებინა ჩვენი ახალგაზრდა მაყურებლისათვის. უახლოეს ხანში გავემზავრებით ბათუმში და იქარ მაყურებელს ვაჩვენებთ თეატრის საუკეთესო დადგმებს. ეს იქნება სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გასტროლები. ჩვენი სურვილია, რომ ამგვარი ღონისძიებები პერიოდულად კი არ ეწყობოდეს, არამედ ტრადიციულ იქნეს.

ჩვენი თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი დიდი ინთუაზიით ეგებება სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას.

თეატრში ახალგაზრდა რეჟისორმა ფ. ლოთი-კაშვილმა რამდენიმე სპექტაკლი დადგა.

1973-1974 წლებში დღემთის თეატრის უფროსი თაობის წარმომადგენელმა ვახტანგ გუბუჩაშვილმა გაეა-ფშვევლას „სტუმარ-მასპინძელი“ დადგა.

შემდგომ წლებში მუშაობა ერთგვარად შეფერხდა. დრამატული დასი წინათ დადგმული სპექტაკლების გამოკრებიტ კმაყოფილებოდა. შექმნილი მდგომარეობის შესახებ სერიოზულად იმსჯელა რაიონის ახალმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ. 1979 წლისათვის თეატრის რეჟისორად მოიწვიეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი ნუგზარ განაივა, რომლის ხელმძღვანელობით დასმა რამდენიმე სპექტაკლი უჩვეულმა მაყურებელს. მათ შორის გ. ბათიაშვილის „ლალი, სიყვარული და სხეები“, რომელსაც მალაღ შეფასება მიკრა რესპუბლიკურმა პრესამ, კერძოდ, ეურნალ „თეატრალური მოამბის“ 1979 წლის მესამე ნომერში დაბეჭდილ ქეთევან ხუციშვილის წერილში ვკითხულობთ: „რეჟისორმა ნ. განაივამ დახურვის კარს მისიული თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება პირველივე სპექტაკლიტ გარდაქმნა. დღემლები სერიოზული შემოქმედებითი განაცხადით წარსდგნენ თბისესელთა წინაშე... იმავე წერილში, ქებით არიან მოხსენებული როლები საუკეთესო შემსრულებლები: თ. თურქაძე, მ. დათოშვილი, თ. ნარიშხიძე, აქვე მითითებულია მსახიობთა საშემსრულებლო ოსტატობის მაღალ დონეზე.

აგრეთვე კარგი შეფასება დაიმსახურა სპექტაკლმა „შთაომიკელობა“, რომლიტაც აღფრთოვანებული დარჩა დღემული მაყურებელი.

როცა დღემთის სახალხო თეატრის შესახებ ემსჯელობთ და 100 წლის სიმალიდან თვალს ვავლებთ მის განკლილ გზას, ბუნებრივად აღიძვრის ფიქრი მის აწმყოსა და მომავალზე.

როცა სახალხო თეატრების შესახებ ემსჯელობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ სახალხო თეატრის მსახიობთა შემოქმედებითი ზრდა და სცენური ოსტატობის დაბეჭვა მაინც მეტწილად საკუთარ ინიციატივასა და სცენისადმი ტრფილის ემყარება. ისინი სრულიად უსაყიდლოდ ემსახურებიან დიდ სახალხო საქმეს. მალიან ხშირად კოსტუმბსაც კი საკუთარი ხარჯით იკვარებენ. მათი მორალური წახალისება კი მხოლოდ მაყურებელთა ტამით ვანისაზღვრება.

არაა დამკვიდრებული დამსახურების მიხედვით მათთვის შემოქმედებითი საღამოების მოწყობა, წოდებათა მინიჭება ან სხვა რაიმე წამახალისებელ ღონისძიებათა გატარება. ცხადია, ასეთი ვითარება უარყოფითად მოქმედებს დრამატული დასის ხარისხობრივ შე-

მადგენლობაზე. ეს საკითხი ნამდვილად იმსახურებს სერიოზულ ყურადღებას.


ჩვენ ამ საკითხზე საგანგებოდ იმიტომ ვამხვილებთ ყურადღებას, რომ აღუკლებელია საზოგადოებამ და სათანადო ხელმძღვანელმა ორგანოებმა შემდგომში მხედველობაში მიიღონ ამ სფეროში მოღვაწე იმ ადამიანებისადმი მორალური მხარდაჭერის აუცილებლობა, ვინც სრულიად უსასყიდლოდ ემსახურებიან საზოგადოების მორალურ-ეთიკურ გაჯანსაღებას და საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობენ.

მთავარი ისაა, რომ ადამიანი, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად აქტიურადაა ჩაბმული საზოგადოებრივ საქმიანობაში და დღი რუდუნებითა და სიყვარულიტ ასრულებს მას, აუცილებლად უნდა გამოირჩეს დანარჩენებისაგან და საზოგადოებამაც უნდა გამოკვეთილად დაინახოს, რომ სწორედ ასეთი პიროვნებაა სახალხო და სახელმწიფო ყურადღების ღირსი. მამ როგორ აღმოიფხვრას ადამიანებში კერძო მესაკუთრული და მომხვეჭელობითი მიდრეკილებანი, როგორ აღიზარდის ხალხში იმის შეგნება, რომ აუცილებელია საზოგადოებრივი საქმიანობის პირადზე მალა დაყენება?

სახალხო თეატრებს მეტი ყურადღება სჭირდება!

ხოლო დღემთის სახალხო თეატრის შემდგომი წარმატებითი მუშაობისათვის უცილოდ საჭიროა აგრეთვე შესაბამისი მატერიალური ბაზის შექმნა. ახლანდელი ბინა ვიწრო სცენითა და ოთხსაკიკიანი დარბაზით ვვლარ ავმაყოფილებს თეატრის გაზრდილ მოთხოვნებს თანამედროვე ეტაპზე. ამასთან გასაივალისწინებელია, რომ ქალაქის მოსახლეობის რაოდენობა ათი ათასს მიუახლოვდა.

ასევე მტკიენულია სახალხო თეატრების, დრამატული დასების თვისობრივი შემადგენლობის საკითხიც. საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და თეატრალურმა ინსტიტუტმა თავიანთი სიტყვა უნდა თქვან სახალხო თეატრების დრამატული დასების დათანადო განათლების მქონე მსახიობებით დაკომპლექტების თვალსაზრისით. აღბო, საჭირო იქნება სახალხო თეატრის თანდათან გაუტოლდეს პროფესიულ თეატრებს სამემსრულებლო ხელოვნებით, და თუ ეს ასე გვსურს, მაშინ უნდა ვიზრუნოთ სახალხო თეატრების მსახიობთა კადრების მოზრადებისთვისაც. თანამედროვე მაყურებლის გემოვნებას პერიფერიებშიც უნდა გაეწიოს ანგარიში ამ თვალსაზრისით.



გიორგი ჩიტაია

თინა ოჩიაური

ძარტული საბჭოთა ეთნოგრაფიის ფუძემდებელს, აკადემიკოს გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაიას დაბადების 90, ხოლო სამეცნიერო მოღვაწეობის 65 წელი შეუსრულდა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკად. ს. ჩანაშაის სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, აჭარის საკლევ სამეცნიერო ინსტიტუტები, კავკასიის ეთნოგრაფიაში რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მომუშავე ეთნოგრაფები, მთელი ქართველი საზოგადოებრიობა, ვისთვისაც ძვირფასია ეროვნული კულტურის წინსვლა, მაღლობის გრძნობით ხედება ამ თარიღს.

დიდა გ. ჩიტაიას დამსახურება ქართული მეცნიერების წინაშე. მის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენში ეთნოგრაფიული მუშა-

ობის მთლიანი გადახალისება და მისი მეცნიერულ დარგად ჩამოყალიბება, ახალი სამეცნიერო კერების შექმნა, მეცნიერთა კადრების აღზრდა. თავისი დიდი მეცნიერული ერთდროით, ფართო ჰუმანიტარული განათლებით, დაჯილდოებული იშვიათი ორგანიზატორული უნარით, იგი სამართლიანად არის აღიარებული ეთნოგრაფიული ფრონტის ხელმძღვანელად არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიაში, სადაც მის მიერ აღზრდილი მოწაფეები წარმატებით იკვლევენ თავიანთი ხალხის ყოფას და კულტურას.

გიორგი ჩიტაია დაიბადა 1890 წელს ქალაქ ფოთში, სადაც მისი მშობლები ს. ორპირიდან გადასახლდნენ. ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა. 1907 წელს გ. ჩიტაიამ ფოთის საქალაქო სასწავლებელი დაამთავრა. მამის სურ-

ვილი იყო მას რაიმე ხელობა სცოდნოდა. სამსახურისათვის ქალაქის თავს ნიკო ნიკოლაძეს მიმართეს. როდესაც ნიკოლაძემ გიორგის მიერ დაწერილი განცხადება წაიკითხა, მამამისს უთხრა — ვაგარძელეუბნენ სწავლა, რად გინდა ჩინოვნიკი გამოვიდესო და უარით გამოისტუმრია. გიორგის სტამბაში დაწვეუბინეს მუშაობა. ყოველ შაბათს სტამბის პატრონი ვადაჭკორია ორ მანეთს ჩაუღებდა თურმე ხელში და მთელი კვირის უდიდესო შრომით ნაშენი ფული გიორგის სიამაყით მიჰქონდა შინ. — რა ცივი წყალი გადაესხა ჩემ სიამაყეს, როდესაც ვაივებ, რომ ამ ფულს თვითონ მამაჩემი აძლევდა ვადაჭკორიას ჩემთვის გადმოსაცემადო, — ლომილით იგონებს პატივცემული მეცნიერი. სტამბის შემდეგ ხან გემზე მტვირთავად მუშაობდა იგი, ხან რკინიგზაზე, ხან კოოპერატვის მოღარე იყო. და მთელი ამ ხნის მანძილზე, უნეტერესო და უშემოსავლო სამუშაოდან სამუშაოზე გადასვლის ხანაში, გიორგის არასოდეს მიუტოვებია სწავლის გაგრძელებაზე ფიქრი.

იმ დროს ფოთში არდადეგებზე ჩამოსული სტუდენტები მოწვევების მომზადებით ფულს შოულობდნენ. განსაკუთრებით სსეული ჰქონდა გავარდნილი ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტს ბოკურაის. გიორგიმ პ. ინგოროყვასა და ს. ეულთან ერთად სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად მასთან დაიწყო მეცადინეობა.

გამოცდების ბრწყინვალედ ჩაბარების შემდეგ შეიძინა კლასის დამთავრების მოწმობა მისცეს. გიმნაზიის კარი ღია იყო მისთვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საჭირო ასაკს ათი თვით იყო გადაცილებული. დაიწყო ისევ სიარული ერთი გიმნაზიიდან მეორეში, — თბილისში, ქუთაისში, განჯაში, მაგრამ ყველგან უარით ისტუმრებდნენ.

იმჟამად სკოლების მზრუნველი იყო სიმკაცრით ცნობილი რუდიოლფი. გიორგიმ გაბედა და მასთან მივიდა. აქ კი გაუღიმა ბედმა. რუდიოლფი ადვილზე არ აღმოჩნდა. მისმა მოადგილე ლოპატინსკიმ (რედაქტორი კრებულისა: «Материалы для описания племен и местностей Кавказа»). უყოყმანოდ დაადო რუდიოლფი განცხადებას თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში ჩარიცხვის შესახებ.

გიმნაზიის პედაგოგებიდან დიდი პატივისცემით იგონებს გ. ჩიტაია ქართული ენის მასწავლებელს ს. გორგაძეს, რომელმაც ბრწყინვალე სასულიერო კარიერას (ციევის

სასულიერო აკადემია ჰქონდა დამთავრებული) ქართული ენის სწავლება ამკობინა; დადილა გიმნაზიიდან გიმნაზიაში და ქართული ენას ასწავლიდა თითო-ორიოლა მოსწავლეს. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ს. გორგაძემ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხაზით გ. ჩიტაიას სტამბაში მოუხერხა და პეტერბურგისკენ გზა დაულოცა. იგი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე ჩაირიცხა. ამ ფაკულტეტზე, როგორც წესი, თითო კურსზე თითო სტუდენტი იჯდა. იმ დროს ი. ყიფშიძეს უკვე დამთავრებული ჰქონდა უნივერსიტეტი და ასპირანტად ირიცხებოდა, ვეუკოლ ბერაძეს იმ წელს დამთავრებინა, ა. შანიძე მოთხვე კურსზე იყო, მესამე კურსზე — დ. ყიფშიძე, პირველ კურსზე კი ორი სტუდენტი — გ. ჩიტაია და ვესევი მიქელაძე ჩარიცხეს, რომელმაც შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას მოჰკიდა ხელი.

თუ რა სერიოზული პროგრამის დაძლევა უხდებოდათ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტებს და რამდენად ფართო განათლებას იღებდნენ ისინი, ჩანს გ. ჩიტაიას პირად საქმეში დაცული დოკუმენტიდან, სადაც ჩამოთვლილია მის მიერ მოსმენილი საგნები:

«Выдана настоящая справка в том, что Читая Георгий Спиридонович в бытность свою студентом Восточного факультета, Петербургского государственного университета, прослушал сполна восемь семестров и получил зачеты по след. предметам:

1. Логика, 2. Грузинский язык, 3. Армянский язык, 4. Арабский язык, 5. Персидский язык, 6. Абхазский язык, 7. Яфетическое языкознание, 8. Сравнительная грамматика яфетических языков, 9. Яфетические элементы в клинообразных надписях, 10. Немецкий язык, 11. История древней философии, 12. Введение в языкознание, 13. Методология истории, 14. История искусства Востока, 15. «Витязь в барсовой шкуре», 16. Армянские поэты, 17. Историко-географический обзор Ирана, 18. История Византии, 19. Христианская Палестина, 20. Армянские надписи, 21. Древности Ани, 22. Комментарии к Персидским и Грузинским источникам, 23. История Армянской литературы, 24. Памятники средневекового Востока, 25. Греческий архаизм в искусстве Востока, 26. Источники истории Грузинского права, 27. Источники истории Ани, 28. Общий курс географии и

ისტორი გუზინი, 29. Общий курс географии и истории Армении, 30. Иоан Одзунский, 31. Возражения Т. Элуара, 32. Прокл с комментариями Иоана философа, 33. Чтение и изучение Грузинских исторических источников, 34. Евсей Кесарийский, 35. История Востока, 36. Историа Киликийского права.

გ. ჩიტაია იმ ბენდიერ სტუდენტთა რიცხს ეკუთვნის, რომელთაც წილად ხვდათ მოესმინათ ნ. მარცხ, ივ. ჯავახიშვილის, ნ. კრაჩკოვის, ე. ყუქოვსკის, ბ. ტურაევისა და სხვა გამოჩენილ მეცნიერებისათვის. ნ. მარცხი ძველი ქართული ენისა და „ვეფხისტყაოსნის“ კურსს კითხულობდა, ივ. ჯავახიშვილი — საქართველოს ისტორიასა და წყაროთმცოდნეობას ქართულ ენაზე. ცნობილია, თუ რა დიდ მუშაობას ეწეოდა იგი ქართული მეცნიერებისათვის პეტერბურგში. მისი თაოსნობით დაასრულეს ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში შექმნილი ემუშავა პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ყველა ქართველ სტუდენტს. მაშინ გამოღებული მუშაობა მიმდინარეობდა მეცხრამედი საუწყურ ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის შედგენაზე, ამასთან ერთად, კრებდნენ სალექსიკონო მასალას, აღრიცხავდნენ სიძველეებს, სწავლობდნენ ძველ ხელნაწერებს. წრის გამგეობის თავმჯდომარედ მეორე კურსიდან გ. ჩიტაია იქნა არჩეული.

ამ მუშაობასთან ერთად, ივ. ჯავახიშვილისავე თაოსნობით, აღრიცხვაზე პაყავდათ სხვა-დასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ქართველი სტუდენტები. ამან დიდად შეუწყო ხელი ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტისათვის პროფესორ-მასწავლებელთა კადრების შერჩევის საქმეს.

1912 წელს გ. ჩიტაია გერმანიაში გაემგზავრა. კენიგსბერგის უნივერსიტეტში იგი უსმენდა ქრისტიანული არაბული ლიტერატურის ცნობილ სპეციალისტს კ. ბრაუკემანს.

მესამე კურსის სტუდენტი პრაქტიკის მიზნით ანისის გათხრებზე მიავლინეს, რომელსაც აკადემიკოსი ნ. მარცხი ხელმძღვანელობდა. ანისში ყოფნა კარგი სეოლა იყო. გ. ჩიტაიასათვის, არქეოლოგიური გათხრების საქმეს აქ ეზიარა იგი, რაც შემდეგ მუშაობაში გამოადაცა.

ნ. მარცხის შესთავაზა ეპიგრაფიკული ძეგლების შესავარგებლად ორგანიზაცია გაპულოდეს სომხეთის შირაკში. გ. ჩიტაია სიხარულით შეხვდა ამ წინადადებას. აქ მიიღო მან პირველი ნათლობა ეთნოგრაფიაში. მოინახულა სომხეთის სოფლები.

1916 წელს გ. ჩიტაია პეტერბურგიდან და-

ბრუნდა. 1917-1920 წლებში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ფოთის ვაჟთა გიმნაზიაში. 1921 წლიდან 1922 წლამდე ფოთის საბჭოთა პირველი მთლიანი შრომის სკოლის გამგედ ითვლებოდა, ხოლო 1922 წელს დატოვა მშობლიური ქალაქი და თბილისში დადგინდა. ივანე ჯავახიშვილმა მას საქართველოს მუზეუმში მუშაობა შესთავაზა.

რევოლუციის შემდეგ მუზეუმის ნაციონალიზაციამ გამოიწვია მისი ძველი მუშაობის უქმყოფილება და სამსახურიდან წასვლა. არც ერთი ქართველი მანამდე აქ არ მუშაობდა. საქირო იყო ახალი კადრების შერჩევა, ქართველი ინტელიგენციის მიზიდვა.

გ. ჩიტაია მუშაობდა არქეოლოგია-ეთნოგრაფიის განყოფილებაში. მან ს. იორდანიშვილისთან ერთად ორჯერ გაიხარა ზაპეისის მიდამოებსა და წიწმამურში სკიფიური ხანის სამარხები. მაგრამ გული ეთნოგრაფიისაკენ მიუწევდა და როდესაც ივ. ჯავახიშვილმა ერთი დისციპლინის არჩევა შესთავაზა, გ. ჩიტაიმ უყოყმანოდ ეთნოგრაფიის მისცა უპირატესობა.

სათანადო ეთნოგრაფიული მომზადება მას არ ჰქონდა, ამ საგნის კურსი მისთვის არ წაუკითხავთ. რაი გადამწყვეტილება მიიღო და ეთნოგრაფიის მოპყრდა ხელი, საქირო გახდა მუშაობის მეთოდების შემუშავება, საგნის დაზუსტება, მეცნიერულ საფუძველზე მისი დაყენებისთვის აუცილებელი ღონისძიებების შემუშავება. გ. ჩიტაიას იმდროინდელ ნაშრომებში — „სენაური საკურცილი“ და „ქართული ეთნოლოგია“, — უკვე დასმულია ეს საკითხები, აქვე მოცემულია საწყისები ეთნოგრაფიული მასალის შეკრების ახალი მეთოდისა, რომელმაც შემდეგში სრულყოფილი სახე მიიღო და საყოველთაო აღიარება ჰპოვა.

ეს მეთოდი ეთნოსმობს ეთნოგრაფიული მოვლენებისა და ფაქტების კომპლექსურსა და ინტენსიურ შესწავლას, ისტორიულ კრილომ ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ფრთხილთკავშირში განხილვას. ხსენებული მეთოდის სისწორედ და მეცნიერული მნიშვნელობა დაადასტურა გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით შემდეგში ფართოდ გამოვლინა შემკრებლობითა და საკვლევ-ეთნოგრაფიულ-მა მუშაობაში.

გ. ჩიტაია თავიდანვე მიუთითებდა, რომ უცხოელ მეცნიერთა მეთოდები, რომლებიც ისინი პირველყოფილ ხალხებს სწავლობდნენ, სრულიად გამოუსადეგარი იყვნენ მადალი კულტურის მქონე ხალხების შესასწავლად,

როგორც ქართველები და სხვა კავკასიელები არიან და რომ სწორი მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის აუცილებელია ზუსტად და დეტალურად შეკრებილი მასალა. ამ ამოცანის განხორციელებას თავიდანვე შეუდგა ეთნოგრაფთა მეთვრამეტე კონგრესი. გ. ჩიტაიამ, პროფ ვ. ბარდაველიძესთან ერთად, შემკრებლობით მუშაობაში ჩააბა კორესპონდენტებიც, რომლებიც სპეციალური პროგრამა-კითხვარის მიხედვით მუშაობდნენ. მრავალრიცხოვანი ექსპედიციები, საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა მხარეებში რომ ეწყობოდა და ეწყობა, ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება.

დღეისათვის მოპოვებული და ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების სხვადასხვა კერებში დაუნჯებელია დიდძალი, ხშირ შემთხვევაში, სრულიად უნიკალური როგორც სიტყვიერი, ისე ნივთიერი მასალა, რომელთა მეცნიერული მნიშვნელობა განუზომებელია. ამგვარად მოპოვებული მასალის, საქართველოს, კავკასიის, წინა აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ღრმა ცოდნის საფუძველზე გ. ჩიტაია თავის მრავალრიცხოვან გამოკვლევებში, ყოველი კონკრეტული საკითხის შესწავლის წინ სწევს ეთნოკულტურულსა და ეთნოგრაფიკურ პრობლემებს, იკვლევს ამა თუ იმ მოვლენის საწყის ფესვებს, განვითარების პროცესს, თავისებურებასა და ზოგად ნიშნებს.

სხვა მრავალ საკითხს შორის იგი, დიდ ყურადღებას უთმობს ხალხური ხელოვნობებისა და ხელოვნების საკითხების შესწავლას. მის მიერ პროფ. ვ. ბარდაველიძესთან ერთად ორმოციან წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომში: „ქართული ხალხური ორნამენტი (ხევისუფლო)“, რომლის ტექსტი ქართული, რუსული და ფრანგული ენებზეა დაბეჭდილი, მდიდარ საილუსტრაციო მასალასთან ერთად, შესწავლილია ცალკეულ ორნამენტთა სახეები, შესრულების ხერხები, ფუნქცია და თითოეული მათგანის იდეოლოგიური საფუძველი. ხალხური ხელოვნების საკითხებს ეხება იგი ნაშრომებში „სიციცხლის ხის მობიტი ლაზური ორნამენტში“, „ოქრომჭედლობის საკითხისათვის საქართველოში“, „პლატერისა და გუდარეხის საფლავის ქვები“ და სხვა.

გ. ჩიტაია ძირითადად ქართველთა სამეურნეო და მატერიალური ყოფისა და კულტურის სხვადასხვა საკითხს იკვლევს. მრავალი წლის მანძილზე სწავლობდა იგი მიწისმოქმედების სისტემებსა და სახენულ იარაღებს. მან გამო-

ავლინა ქართველთა მიწათმოქმედებაში მრავალსაუფუნოვანი ტრადიციები, ხალხის მყარ ემპირიული ცოდნა, რაც ამ დარგის სიძველისა და თვითყოფადობის მაჩვენებელია. გ. ჩიტაია თავისი გამოკვლევებით ნათელყოფს, რომ „კავკასიისა და საქართველოს მოსახლეობის კულტურა არ არის პერიფერიული კულტურა, რომელიც ითავსებს ცივილიზაციის კერებიდან შემოტანილი კულტურის ელემენტებს“, რომ იგი არც გადამცემი რგოლია. „რომლის მეშვეობით კულტურის ელემენტები გადაეცემოდა ჩრდილოეთიდან სამხრეთით ან დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ან პირუქ“; არამედ ამ ხალხთა მიერ შექმნილია „ორიგინალური, თავისთავადი ნიშნების მატარებელი ცივილიზაცია, რომელიც გამოიყოფა სხვა დიდი თუ მცირე ცივილიზაციებიდან“. ამასთან ერთად, გ. ჩიტაია ნათელყოფს, რომ „ყოფისა და კულტურაში ეთნოგრაფიული მოვლენები (ძველი და ახალი არსებობენ არა დაქუცმაცებულად, არამედ მეტ-ნაკლები სიდიდის მქონე კომპლექსების სახით“. და, რომ „ეთნოგრაფიული კომპლექსები, ჩვეულებრივ, მეტად რთული, მრავალჯგონის გადაჯერადებული კულტურულ-ენიტიკური მოვლენებია, რომელთა შორის ძველი და ახალი ელემენტების ბრძოლა მიმდინარეობს“.

გ. ჩიტაიამ შესწავლა და დაადგინა მთის მოსახლეობის ბაზად დინების ისტორიული პროცესების კანონზომიერება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლისათვის.

მრავალი ნაშრომი უძღვნა მან ქართველი ხალხის ეთნოგენეზისის საკითხებს, კულტურულ ისტორიულ პრობლემებს, ქართული ეთნოგრაფიის ისტორიას, სოციალურ ურთიერთობასა და სულიერ კულტურას.

დიდი დამსახურება მიუძღვნა გ. ჩიტაიას სამეზუფეო საქმიანობის ხაზით. კოლქციები, რომლებიც კამერალური ეთნოგრაფიული კვლევის ძირითად ბაზას წარმოადგენს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გაბნეული იყო თბილისის სხვადასხვა მუზეუმში. გ. ჩიტაიას ინიციატივით და ენერგიული მოქმედებით 1926 წელს მოხდა მათი ცენტრალიზაცია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

გ. ჩიტაიამ თავიდანვე დამოუკიდებელი მუშაობაში ატიკარული მეთოდი და ფონდებისაკენ გზა გაუხსნა ხალხის ყოფისა და კულტურის ამსახველ ექსპონატებს.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა

იგი კოლექციების პუბლიკაციას მეცნიერული ექსპოზიციის გზით, მისი უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო მრავალი ეთნოგრაფიული გამოფენა: ხეცსუბურთისა, სენეთისა, XIX საუკუნის ქართული ჩაქმულობისა, კავკასიური ხალიჩებისა, ხს ჩუქურთმისა, ქართული საბრძოლო იარაღისა, კავკასიის კოსტუმებისა. განსაკუთრებით დიდი და მრავალფეროვანი იყო საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა, სადაც, ძველთან ერთად, აისახა ახალი სოციალისტური ყოფა და კულტურა.

გ. ჩიტაია პირველი ინიციატორი და უშუალო ხელმძღვანელია თბილისში ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ღია ცისქვეშ მუზეუმების დაარსებისა. მან არა მხოლოდ წამოიწყო და მეცნიერულად დაამუშავა მუზეუმის ექსპოზიციის პროექტები, არამედ ექსპონატების შესარჩევად თვითონ ჩადიოდა ადგილებზე, თვითონ ხელმძღვანელობდა მათ ჩამოტანასა და მუზეუმში დამკვიდრებას.

გ. ჩიტაია 30 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ეთნოგრაფიის განყოფილებას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ამ ხნის მანძილზე და შემდეგ წლებშიც მან აღზარდა ეთნოგრაფ სპეციალისტთა მრავალი კადრი. დახმარება უწყვეტად და უწყის კონსულტაციებით და სემინარებით რუსუბოლკაში და მის თარგმლებს გარეთაც სამუზეუმო საქმის მოსაყრს.

გიორგი ჩიტაია პრეზიდენტთა საქართველოს საისტორიო საზოგადოებისა, რომელიც სამეცნიერო სესიებით და გამოკვებით ხელს უწყობს საქართველოში საისტორიო ცოდნის გავრცელებას, იგი არჩეულია ავრთვე ფაზისის სახალხო აკადემიის პრეზიდენტად.

თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის გ. ჩიტაიას ახალგაზრდობის აზრდის საქმეში. მან საფუძველი ჩაუყარა უნივერსიტეტში ეთნოგრაფიის სწავლებას, დააარსა ჯერ ეთნოგრაფიის კაბინეტი, ხოლო შემდეგ კათედრა, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა. მრავალი წლის მანძილზე კითხულობდა საქართველოს, კავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთის, ზოგადი ეთნოგრაფიისა და სპეციალურ კურსებს. სტუდენტობის წლებიდანვე აჩვენდა იგი სამეცნიერო მუშაობას მომავალ ეთნოგრაფებს. ფართოდ აბამდა საველე ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში, თვალყურს ადევნებდა და ხელმძღვანელობდა მათ საქმიანობას. მზრუნველობას დღემდე არ აკლებს არც მოზარდ თაობას. იგი თბილისის ჰიონერთა სასახლის ის-

ტორიკოს-მხარეთმცოდნეთა რესპუბლიკური საზოგადოების „ნორჩი მკვლევარის“ საბარბაოდ თავმჯდომარეა, ყოველი რესპუბლიკური კონფერენციის მონაწილე, ვისაც თბილი სიტყვა და საქმიანი რჩევა მუდამ მოეპოვება პატარებისათვის.

გ. ჩიტაიას დიდი ღვაწლი მიუძღვის კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაძლიერების საქმეში კავკასიის ეთნოგრაფიის პრობლემების მეცნიერული დამუშავების საზიო. მას ეკუთვნის კავკასიის ეთნოგრაფიის საკვანძო პრობლემების კოორდინაციულად დამუშავების ინიციატივა და მეცნიერული ორგანიზაცია, რაც ხორციელდება ერთობლივი სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობით, სამეცნიერო სესიებით. დიდ დახმარებას უწყევს პატივემული მეცნიერი მოძვე რესპუბლიკები: სამეცნიერო დაწესებულებებს კადრების მომზადების მხრივ.

გ. ჩიტაიას მეცნიერული მოღვაწეობა ფართოდ არის ცნობილი როგორც ჩვენში, ისე უცხოეთის სამეცნიერო წრეებში. იგი აღიარებულია საქართველოსა და კავკასიის მიწის-მოქმედების დიდ სპეციალისტად. მისი ნაშრომები დაბეჭდილია საფრანგეთში, ინდოეთში, უნგრეთში, გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ჩინეთში, ვიეტნამში. გიორგი ჩიტაია წევრია აგარაული ეთნოგრაფიის საერთაშორისო კომიტეტისა, მიწვეული იყო ბერლინის, ვილადელფისის, პარიზის საერთაშორისო ეთნოგრაფიულ კონგრესებზე.

დიდსა და მრავალმხრივ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად, გ. ჩიტაიას დიდი სიყვარული და პატივისცემა მოპოვებული აქვს პირადი ადამიანური თვისებებით, თბილი და ხალისიანი დამოკიდებულებით, გულგანთქობით, უღიღესი ტაქტითა და ზომიერებას გრძნობით.

ხანდაზმულობამ ვერ ვატეხა დიდი მეცნიერის ძალა და უნარი. იგი ეთნოგრაფიული დარგის კვლავ ათიარებული ხელმძღვანელია, რომელიც ჩვეული მონღობებით წარმართავს ეთნოგრაფიულ მუშაობას ჩვენში.

სენსიტივიზაცია ქართულ პრეპრეპარატში

შემაჯობებელი

თენგიზ მახარაშვილი

მართლმად არქიტექტურულმა უმაღლესმა სკოლამ მრავალი ხუროთმოძღვარი მოუშადა ჩვენს ქვეყანას. სწორედ მათი აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობით იქმნებოდა და იქმნება შესანიშნავი შენობები და კომპლექსები, რომლებიც განუმეორებელ კოლორიტს ანიჭებენ რესპუბლიკის ქალაქებსა თუ სოფლებს.

ბუნებრივია, ცხოვრების წინსვლასთან ერთად რთულდება არქიტექტურაში წინაშე მდგარი პრობლემები. დღეს მათ უხდებიათ უფრო კომპლექსური და მასშტაბური ამოცანების გადაჭრა, ვიდრე გუშინ. ამიტომ ვასაგებია ის თვისობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები, რომლებიც უკანასკნელ წლებში არქიტექტურაში მომზადების საქმეშიც შეიმჩნევა. კერძოდ, უფრო სრულყოფილი გახდა მათი მომზადების მეთოდოლოგია, გაჩნდა ახალი დარგობრივი სპეციალობები (მოცულობითი არქიტექტურა, ქალაქგეგმარება, ინტერიერი და ა. შ.), ცალკე არქიტექტურული ფაქულტეტები გაიხსნა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და სამხატვრო აკადემიაში, რამაც შესაბამისად გაზარდა ჯგუფების რაოდენობა და სტუდენტთა რიცხვი. თუ 1965-1966 წლებში პოლიტექნიკური ინსტიტუტი ყოველწლიურად ამზადებდა 10-15 არქიტექტორს, დღეს მათი რიცხვი 70-75-ს აღემატება.

უკანასკნელ წლებში გაუმჯობესდა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მუშაობის პირობებიც. ყოველ აკადემიურ

ჯგუფს გამოყოფილი აქვს ცალკე აუდიტორია, ხოლო სტუდენტს — თავისი მაგიდა, სადაც ისინი მეცადინეობენ პირველი კურსიდან დიპლომის მიღებამდე. სწორედ აქ, ამ ნათელ აუდიტორიებში და კაბინეტ-ლაბორატორიებში, მაღალკვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა ხელმძღვანელობით იქმნება ის საინტერესო პროექტები, რომლებმაც უკანასკნელ წლებში აღიარება მოუპოვეს ქართულ არქიტექტურულ სკოლას.

სამოციანი წლებიდან დაწყებული, ქართველ სტუდენტ-არქიტექტორთა ნამუშევრები არაერთხელ აღინიშნა საერთაშორისო თუ საკავშირო პრემიებით.

იმისათვის, რომ საერთაშორისო კონკურსზე გაედიდეს, პროექტმა უნდა „გუძლოს“ აბრობაცის რამდენიმე სხვადასხვა დონეზე, კავშირის მასშტაბით. ასეთ მსოფლიო ფორუმებზე მონაწილეობაც კი საპატიოა, და რაოდენ სასიხარულო და საამაყო ყველა რანგის პრემია, მითუმეტეს, თუ იგი მთავარია.

1967 წელს, პრაღაში, არქიტექტურა IX მსოფლიო კონგრესზე, სტუდენტთა ნამუშევართა კონკურსში მთავარი — „თენის პრემია“ დაიმსახურა ვლადიმერ ცინცაძის საცხოვრებელი მიკრორაიონის პროექტმა (თბილისის სამხატვრო აკადემია, ხელმძღვანელი პროფ. ს. ზაალიშვილი).

ამავე კონგრესზე წამახალისებელი პრემიით აღინიშნა გოგი მურმანიშვილის პროექტი (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხელმძღვანელი პროფ. ი. ციციშვილი).

ქართველმა სტუდენტებმა მომდევნო, X მსოფლიო კონგრესებზე არ დათმეს პოზიცია. შორეულ ბუნენს-აირესში დიდ წარმატებას მიაღწია დემურ ელოშვილმა, რომლის პროექტმა — „საცხოვრებელი რაიონი 1000 ოჯახზე“, მთავარი პრიზი — „დოღლე ლიონის პრემია“ დაიმსახურა (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხელმძღვანელები: პროფ. ი. ციციშვილი, პროფ. რ. ავაბაბიანი, დოც. გ. შევქაძე).

ავტორის წინაშე იდგა რთული არქიტექტურულ-გეგმარებითი პრობლემა. საჭირო იყო შექმნილიყო თანამედროვე, კომფორტული საცხოვრებელი რაიონი განვითარებადი ქვეყნებისათვის. ყოფიეს ორგანიზაციის სწორი გეგმარებითი ხორკვსხმის მეოხებით, დ. ელოშვილმა შეძლო შეექმნა პრინციპულად ახალი და მხატვრულად საინტერესო პროექტი, სადაც ერთმანეთთან ფუნქციურად და კომპოზიციურად კარგად დაკავშირებული და შიდა ეზოების ირგვლივ თავისუფლად განლაგებული საცხოვრებელი ჯგუფები ქმნიან ერთ მთლიან, საინტერესო არქიტექტურულ კომპლექსს, რომელიც ორგანულად ერწყმის რთულ რელიეფს.

ამასთან, ავტორი შემოქმედებითად იყენებს ტრადიციული ქართული საცხოვრებლის პროგრესულ გეგმარებით ფორმებსა და მეთოდებს თანამედროვე არქიტექტურული პრობლემების გადაწყვეტისას.

აღსანიშნავია, რომ ბუნენს-აირესში კიდევ ერთი, წამახალისებელი პრემიით აღინიშნა ქართული არქიტექტურული სკოლა. მისი მფლობელი გახდა თბილისის სამხატვრო აკადემიის წარგზავნილი თენგიზ ჩილინგარაშვილი (ხელმძღვანელი დოც. ო. თუხარელი).

1975 წელს მადრიდში XII მსოფლიო კონგრესზე ორგანიზებულ სტუდენტთა ნამუშევრების კონკურსზე საქათთა კავშირიდან გაიგზავნა გივი ქობულაის „ექსპერიმენტული დაბის“ პროექტი (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხელმძღვანელი დოც. გ. შიშუმლაშვილი), რომელიც მოხდა საუკეთესო ოცეულში. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტმა პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა სტუდენტთა ნამუშევრების 1974 წლის საკავშირო დათვალეირებაზე.

ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობის საერთაშორისო ასპარეზზე დიდ წარმატებებს თან სდევდა გამარჯვებები სადიპლომო პროექტების საკავშირო დათვალეირებებზეც, რომლებიც ყოველწლიურად ეწყობა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში პრემიების გარეშე არ დარჩენილა საკავშირო


კონკურსზე გაგზავნილი არცერთი პროექტი. ამგვარად, ჩვენს არქივში, წლების მანძილზე დარგოვდა მრავალი საინტერესო სადიპლომო თუ საკურსო პროექტი, რომელთა ავტორები დღეს უკვე მოქმედი არქიტექტორები არიან, მაგრამ მათ სტუდენტურ ნამუშევრებს დღესაც აქვთ და, ალბათ, მომავალშიც შენობათ გარკვეული მნიშვნელობა, როგორც ექვთიმელებითი, ასევე სასწავლო თვალსაზრისით. ისინი ხომ ჩვენს არქიტექტურული აზრის განვითარების ისტორიას ერწყმინან და ამ ტრადიციებზე უნდა აღიზარდონ მომავალი თაობები. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძალზე საჭიროდ მიგვაჩნია სტუდენტთა საერთაშორისო და საკავშირო დათვალეირებაზე პრემიების დანიშნვა. აგრეთვე სხვა საინტერესო სადიპლომო თუ საკურსო პროექტების ალბომის გამოცემა, რომელიც შემდგომშიც პერიოდულად უნდა შევისოს ახალ-ახალი ნამუშევრებით. ეს საშუალებას მოგვცემს დროდადრო თვალს ვადავავლოთ ჩვენს მიღწევებს, შევადაროთ წარსულის პროექტები თანამედროვეს და ა. შ.

ამჟერად მოკლედ მიმოვიხილათ უკანასკნელ წლებში საკავშირო დათვალეირებებზე გამარჯვებულ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე შესრულებულ პროექტებს.

ქ. ტალიში 1978 წელს გამართულ სტუდენტთა დიპლომების საკავშირო დათვალეირებაზე პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა შოთა ვანცეცკაძის პროექტმა „ტურისტული კომპლექსი 1000 კაცზე“ (ხელმძღვანელი შ. ყავლაშვილი).

კომპლექსი განლაგებულია თბილისის ისტორიულ რაიონში, მეტეხის პლატოს გავრცელებულზე. იგი არქიტექტურულ-გეგმარებითი და სივრცობრივი თვალსაზრისით რთული სტრუქტურისაა და მასში შედის მთავარი კორპუსი, სააქტო დარბაზი 600 კაცზე, რესტორნები (თითოეული 500 კაცზე), კაფეები, ბარები და კოქტეილ-პოლები, სპორტული ბორთვი, ქართული არქიტექტურისა და ყოფის მუზეუმი. ამავე კომპლექსში შედის, აგრეთვე, მტკვარზე მოწყობილი მწკრივობრივი სპორტული ნავსადგური, აბანოების ჯგუფი და ა. შ. კომპლექსი ტერასებზეა განლაგებული, რომელიც თანდათან ეშვება მტკვრის სანაპიროზე და თავისი არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით კარგად ერწყმის გარემო ლანდშაფტს.

ქ. ტალიშის დათვალეირების ლაურეატი გახდა აგრეთვე დიპლომანტი გიორგი ტყემალაძე (ხელმძღვანელი ვ. ქურთიშვილი). მისი



თბილისის ტურისტულ
კომპლექსი.
ავტ. შ. გვანცელაძე

პროექტი „ტურისტულ-ალბინისტური ბანაკი „აილაში“ 1000 კაცზე“ განსაზღვრულია მთიანი სენათისათვის და შედგება თანამედროვე ალპიური ბანაკისათვის საჭირო ყველა ბლოკისაგან, გათვალისწინებულია ტურისტთა მოსახურება საკმაოდ მაღალ დონეზე.


კომპლექსის კომპაქტური გეგმარებითი გადაწყვეტა, მისი ლაქონური მოცულობები, მკაცრი, მაგრამ მთის არქიტექტურისთვის და მახასიათებელი ფორმებით და ადგილობრივი სამშენებლო მასალების გამოყენებით, ქმნის ერთ მთლიან დასამახსოვრებელ ანსამბლს, რომელიც შესანიშნავად ერწყმის რთულ რელიეფს და კარგად იკითხება ბუმბერაზი მთების ფონზე.


საინტერესო სადილობო პროექტი — „კრემატორიუმის კომპლექსი თბილისში“, შექმნა გიორგი კვიციანიშვილმა (ხელმძღვანელი ნ. ვანშიაშვილი), მისი მშენებლობა განსაზღვრულია ქალაქგარეთ — დიდგორის მიდამოებში და, როგორც ფუნქციურად, ასევე კომპოზიციურად მეტად სადად და ლაკონურად არის გადაწყვეტილი. კომპლექსის კომპოზიციურ ცენტრს შედგურა მოცულობით წარმოადგენს. დანარჩენი მოცულობების კომპოზიციური მხატვრული გადაწყვეტისას გამოყენებულია ძველი ქართული საეკლესიო არქიტექტურის თანამედროვე დადამუშავებული ფორმები, რომელთა მთლიანობა და წინააღმდეგობრიობა ისევე, როგორც სიკაცხისა და სიკვილის არსი, განსაზღვრავს მთელი კომპლექსის არქიტექტურულ-მხატვრულ სახეს.

1979 წელს სადილობო ნამუშევართა დავალიერებაში პირველი ხარისხის დიპლომები დაიმსახურეს ზაქარია ფილიშვილის (საერთაშორისო აეროვაგზალი თბილისში, ხელმძღვანელი ვ. ქურთიშვილი) და ბაკური გედენიძის (ქუთაისის ისტორიული ზონის რეკონსტრუქცია, ხელმძღვანელი ვ. დავითაია) პროექტებმა.

საერთაშორისო აეროვაგზლის გამტარუნარიანობა ათასობით მგზავრია პიკის საათებში. იგი მრავალი ფორმისაა და შედგება ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორიარუსიანი სექციებისაგან, რომლებიც ფუნქციუ-

საერთაშორისო აეროვაგზალი თბილისში
ავტ. ზ. ფილიშვილი.





საკბორებელი რაიონი 1000 ოჯახზე.
ავტ. ლ. ელოშვილი

რად და კომპოზიციურად გაერთიანებულია ცენტრალურ ნაწილში განლაგებული სასტუმროთი, რესტორნითა და სადისპეტჩერო პუნქტით. კომპაქტურობა, თანამედროვე ფორმებისა და მოცულობების გამოყენება დინამიკურსა და მასშტაბურს ხდის მთელ შენობას.

კარგად არის შესრულებული საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის, ქ. ქუთაისის ისტორიული ზონის რეკონსტრუქციის პროექტიც. ამ პროექტით განსაზღვრულია ისტორიული და ბუნების ძეგლთა დაცვის ზონების საზღვრები და ხასიათი. განსაკუთრებით მოხერხებულადაა გადაწყვეტილი სატრანსპორ-

ტო კავშირი, დადგენილია ისტორიული ზონის ცალკეული რაიონის როლი და ფუნქცია ქალაქის სისტემაში, წარმოდგენილია ქალაქის ცენტრის განვითარების პრინციპები და რეკონსტრუქციის პირობები, ახალი მშენებლობის გადაწყვეტის გეგმარებით-სტრუქტურული პრინციპები.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ მოყვანილი პროექტები მხოლოდ ნაწილია დიდი და საინტერესო საპროექტო წინადადებებისა, ისინი მაინც გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან არქიტექტურთა ახალგაზრდა თაობის შემოქმედებითი აზრის განვითარებაზე

ტურისტულ-აღიზნისტრი ბანაკი „ილია“. ავტ. ბ. ტყეშელაშვილი



გია ყანჩელის მესამე სიმფონიის მუსიკალური მასალის „სივრცული“ ორბანიზაციისათვის

ელენა მიხალჩენკოვა

ლიტერატურათმცოდნის ეიხენბაუმის სტატიაში, რომელიც ტინიანოვის შემოქმედებას ეძღვნება, აღნიშნულია ის სირთულე, რომელიც ღვას თანამედროვეთა შემოქმედებით დაინტერესებული მკვლევარის წინაშე: „ნამდვილი პერსპექტივა ჯერ არ ჩანს, შეუძლებელია უკან უფრებად“, რასაც აკეთებს ნებისმიერი ისტორიკოსი“. ეს სიტყვები ეხება იმ მუსიკისმკოდნესაც, რომელიც დაინტერესებულია 20-იანი წლების შემოქმედებით.

ასეთი პრობლემის წინაშე გვაყენებს კომპოზიტორი გია ყანჩელი, რომელიც უკვე ექვსი სიმფონიისა და მრავალი სხვა ნაწარმოების ავტორია. მისმა ტალანტმა და ოსტატობამ მთელი სისავსით თავი იჩინა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. ამ წლებში შეიქმნა მისი ძირითადი ნაწარმოებები — მეორე (1969), მესამე (1973), მეოთხე (1975), რომელიც დაჯილდოვდა სახელმწიფო პრემიით, მეხუთე (1978) და მეექვსე (1980) სიმფონიები. ამ ნაწარმოებებში საესკებოთი ჩამოყალიბდა გ. ყანჩელის ინდივიდუალური შემოქმედებითი სტილი, დაიხვეწა მისი ესთეტიკური კონცეფცია, რომელიც გვაძლევს პარალელ-

ლის გატარების საშუალებას თანამედროვე მუსიკის მთელ რიგ მნიშვნელოვან მოვლენებთან.

გ. ყანჩელის შემოქმედებითი აზროვნების სპეციფიკა მკვეთრად გამოვლინდა მესამე სიმფონიაში, რომელიც აღბეჭდილია მთლიანობით, სიმფონიური პრინციპების დეკლარაციული სიცხადით.

მაინც რაში გამოიხატება მესამე სიმფონიის შემოქმედებითი შთანაფქრის თავისებურებანი, რომელთა საფუძველზე გ. ყანჩელი თვალსაჩინო კომპოზიტორ-სიმფონისტად წარმოვიკვიდვა?

გ. ყანჩელის მუსიკას ასაზრდოვებს ტრადიციები მშობელი ხალხისა, რომლის მსოფლშეგრძნება აღბეჭდილია საკვირველი პარმონიულობით, ტრადიციები იმ ქვეყნისა, რომელიც „რალც საოცარი ძალის შემწეობით თავისი არსებობის მანძილზე არასოდეს შესვენებულა. იგი დღესაც მიწაზე ღვას, არ გადასულა აბსტრაქციის სფეროში“ (პასტერნაკი).

მეორეს მხრივ, მესამე სიმფონიის შთანაფქრში ასახვა ჰპოვეს თანამედროვეობის მოვლენებმა. დღევანდელი დამიანის პოლიფონიურმა აზროვნებამ, რაც სინამდვილის ფაქტად იქცა, მიიპყრო სოციოლოგთა და ნე-

ლოგანთა ყურადღება. თანამედროვე ადამიანის გარშემო მოძიარბს მრავალსახოვანი ელვრადობით სავსე სამყარო, რომელსაც აქვს სხვადასხვა რაკურსი — მათ შორის ყველაზე აქტიური განმავითარებელი ფიგურა (რადიო და ტელევიზია), აგრეთვე ერთმანეთის დაუკავშირებელი ერთობრივად მცლერი ინფორმაციის ისეთი წყაროები, როგორცაა მუსიკა, კინო, თეატრი, მეცნიერება და ა. შ. ა. მოლი თავის სოციოლოგიურ თეორიას აგებს იმ „მოზაიკური კულტურის“ საფუძველზე, რომელშიც უამრავი „ინფორმაციული ერთეული“ არსებობს თავისთავად, არ ქმნის მთლიანობას.

მხატვრები ეძებენ სინამდვილის ასახვის ინდივიდუალურ გზებს. ერთ-ერთი მათგანი უკავშირდება დიდ ღრანგ მწერლის მარსელ პრუსტს, რომელმაც არანაული გაქანებით დავიანტა აწმყო, მომავლისკენაც გაიხედა და თავის წარმოდგენების ორბიტაში მოაქცია ცხოვრებისეული მოვლენების ფორმირების ახალი პროცესი, რითაც აზროვნების თანამედროვე კანონები აღმოაჩინა. შეიძინა რომანსისაგან შემდგარი გიგანტური მრავალპლანიანი ცილი ასახვა დაკარგული დროის აღდგენის ფორმულას და წარმოადგენს თანამედროვე სინამდვილის კოდნის, მის შესახებ არსებული წარმოდგენების განზოგადების ცდასაც.

მუსიკალური ხელოვნების სპეციფიკა იძლევა სინამდვილის ჩამოყალიბების პროცესის გამოხატვის თავის ხეობებს. 50-70-იანი წლების დასავლური ავანგარდის ზოგიერთი წარმომადგენელი როგორც მუსიკალურ ნაწარმოებში, ისე თეორიულ წერილებში ხაზს უსვამდა თანამედროვე მსოფლმხედრობის თავისებურებას განსახეობების სირთულეს და პრობლემატურობას.

გია ყანჩელის შემოქმედებითი ხედვის წინაშე დაახლოებით ამდაგვარივე სურათია ვადაშლილი, თუმცა თავისებურია მისი განზომილებებიცა და შედეგებიც; რეალური სინამდვილის მრავალწახანაგოვნება და მრავალპლანინობა გ. ყანჩელის მუსიკაში ვადაშლილია მათგან რღვეულად გამოვლენილი ფორმით. ცხოველყოფილი დღევანდლობის ასახვა და გარდატეხა ეროვნული ტრადიციების პრიზმაში კომპოზიტორის უკავფავს გზას ქემპირიტებისაკენ. ეროვნული საფუძვლები გ. ყანჩელის საშუალებას აძლევს არა მარტო ურთიერთს დაუბირისპიროს განსხვავებული სურათები კვიზინდენტრეტრემენტული და პარპონული სინამდვილას, არამედ იპოვოს გზები შემთხვევითობის, ერთმანეთისაგან გათიშვის მოვლენების ერთ მთლიანობაში გარდაქმნისა. ამრიგად, ორიგინალური კონცეფტუალური მეთანაფიკრი განუყოფელია ახალი საკომპოზიტორო ოპიკანებისაგან, რომელიცა მინახია ევროკულტურული მოვლენები აიყვანოს მრავალპლანინი სინამდვილის მთლიანობამდე.

ყანჩელის მუსიკაში სინამდვილის აღქმის ოპიკანებმა წარმოადგინა სიმფონიზმის თავისებური ტიპი, რომლის ერთ-ერთ მიზითადა თავისებურებას წარმოადგენს რადიკალურად ახალი გააზრება მუსიკის სივრცობრივი შესაძ-

ლებლობებისა. გ. ყანჩელის ბგერითი სამყარო წარმოადგენს ილუზორულ სტერეოფონურ სივრცეს. მასში მუსიკალური სივრცე ჰვარავს ერთგვაროვნებას, იგი მიმართავს სხვადასხვა „ბგერით გზებზე“ მუსიკის განაწილებას ეფექტს, რაც მუსიკალური სივრცის ახლებური აღქმის, ბგერადობის „არხების“ მიკვლევის საშუალებას იძლევა. განსაკუთრებული მუსიკალურ-სივრცული რეალიფი განსაზღვრავს როგორც მუსიკალური მასალის გამოვლენების დონეს, ისე დრამატურგული გააზრების სპეციფიკას.¹

ვეერდს აუველი მუსიკალური სივრცის ზოგადფილოსოფიურ, მსოფლმხედველობითსა და ფსიქოლოგიურ ასპექტებს და ყურადღებას გაავანახილებ იმ კუთრებულ ანალიტიკურ დაკვირვებებზე, რომელთა საფუძველზე შეიძლება ვიპოვო პასუხი თუ რითი აღწევს გ. ყანჩელი თავის მესამე სიმფონიაში „ობტეკურ მოტეუებას“ სმენადობისას.

მარკოვისოსში არსებული ბგერითი მასალის პირველად დაწყვრებასა და გათიშულობას ამქლავნებს განსაკუთრებული მუსიკალური ორგანიზაცია, რომელიც გაზოხატულებას პოულობს ცალკეული მუსიკალური ფრაგმენტების ურთიერთდაბირისპირებაში. ასე იქსოვება „მუსიკალური მოზაიკის“ მსგავსი არშია, სადაც ცალკეული ელემენტები ეჯახებიან ერთმანეთს.²

მუსიკალური მასალის ფრაგმენტული გადმოცემა ახასიათებს გ. ყანჩელის მუსიკალურ აზროვნებას მთელი მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე და ასახავს პოულობს ჰერ კიდევ ადრინდელ ნაწარმოებებში — „კონცერტი ორკესტრისათვის“, პირველი სიმფონია, მე-სამე სიმფონიაში კი იგი გამდიდრებულია სპეციფიკური სივრცობრივი დახასიათებებით. გადმოცემის თავისებურებები საშუალებას იძლევიან წარმოვადგინოთ მუსიკა-

¹ მუსიკალური სივრცის ფინომენი, მისი მრავალი წახანავით დაინტერესდნენ არიან თანამედროვე მკვლევარები და კომპოზიტორები. უნაისსკელ წლებში ეს პრობლემები გაშუქებულია შემდეგ გამოკვლევებში: ე. ნახაიკისი — „მუსიკალური აღქმის ფსიქოლოგის შესახებ“, მ. დრუსკინი „ი. სტრაჟინსკი“, ი. ბაროვა „მუსიკის სიმფონიები“, ა. შნიტც „საორკესტრო ხმამაყარმოების თავისებურების სტრუქტურის ადრინდელ ქმნილებებში“, კ. მელქ-ფაშკეა „სივრცე და დრო და მათი გარდატეხა ფრანგული მუსიკის ტრადიციებში“.

² „მუსიკალური მოზაიკის“ როგორც მუსიკალური აზრის გამოხატვის განსაკუთრებული ხერხით — საფუძვლობს მე-20 საუკუნის მრავალი კომპოზიტორი. „მოზაიკრობის“ პრინციპი, რომელიც ახალი სიმფონიების გადაწყვიტის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს, სათავეს იღებს არა ავსტრო-გერმანული სიმფონიზმისად, იგი დართლდ არის გამოყენებული ფრანგულ მუსიკაში, კერძოდ, მესიანის, ლიტეტის შემოქმედებებში. მოზაიკრობა არჩეაინიზებს სტრაჟინსკის, პიროფიფიის მუსიკასაც, დღეს ამ ხერხს მიმართავენ ამიერკავკასიის კომპოზიტორებიც — ყანჩელი, ტურტიანი.



ლური სივრცის ყოველი ფრაგმენტი ინდივიდუალზე-ბურად და ვილაპარაკოთ ბგერადობის „არხებზე“.

ზოგადად, „არხი“ ის ტრაქტია, რომელშიც მოქმედებენ ვადამკვიდრნი მიმდებამდე ვაგზანული სივანლები. რამდენად შესაძლებელია და მიზანშეწონილი ამ ტექნიკური მცნებების ვადანა მუსიკალურ ხელფენებაში? პრინციპში, სავსებით შესაძლებელია ყველანაირ მუსიკაში, სადაც ვადამკვიდრნი შემსრულებელი (ორკესტრი, ხოლო მიმღები—მსმენელი. ყანჩელის მუსიკის სტეტიფიკური ორგანიზაციის პირობებში კი მცნება „არხი“ სულ სხვაა, უფრო მეტაფორულ მნიშვნელობას იძენს. „არხი“ ამ შემთხვევაში ილუზორული სტერეოსივრცის ამა თუ იმ მუსიკალური ფრაგმენტის წარმომჩენი საშუალებაა. „არხის“ აღმოჩენა ხდება მუსიკალური ეფერადობით, მისი „გამორთვა“ და „ჩართვა“ ვანაპირობებს ნაწარმოების სივრცული რელიეფის ცვალებადობას. მესამე სიმფონიის ბგერითი ველი, პირობითად რომ ვთქვათ — „მრავალარხიანია“³.

	I	II	III
Fiatti		f(2)	f(3)
Ottavi	f(1)	f(III)	f(II)
Voce solo	a. (P)	e. (P)	e. (III)
Archi	c(2)		

ბგ. № 1

ბგერით სივრცეში ცალკეული ბგერითი ფრაგმენტების ფიქსირების შესაძლებლობა ვანაპირობებულია მათი თემატური სიმძლავრით, რეგისტრულტემბრული ხასიათით, იქმნება შთაბეჭდილება მრავალი „არხისა“, რომლებიც იბადებიან ბგერითი ფრაგმენტების ეფერადობისას. ექსპონირების დასაწყისი წარმოადგენს „პერსონიფიკირებულ“ მუსიკალური ფრაგმენტ-იდეების კალიბრისკენ: ვამბული მელოდია (a) — კლასტერები (b) — ტემპრულ-რიტმული (c) — მოკლე მისამღერები () — ქორალი (e) და ა. შ. ამის ანალოგებს ვაწყდებით ეთერის მოსმენისას, როცა რადიომიმღების ჩართვისას იმერ სხვადასხვა რადიოსადგურის ტალღებს. ასეთნაირი ასოციაცია საშუალებას ვაძლევს ვავივით თუ როგორ აღიქვამს მსმენელი ახალ ინფორმაციულ ხარისხში ავანსოლ არაერთგვაროვან სივრცეს. ბგერით სამყაროში გათვალისწინებული მასალის შევყენის მომენტს. ბგერით ველში „არხების“ დაუკავშირებლობა მკვეთრად შელანდება მათი მაქსიმალური პოლარინზაციით, რაც ქმნის სივრცის ვაფართოების ილუზიას.

ასეთ შემთხვევაში მუსიკალური ენის ყველა ძირითადი კომპონენტის მიმართ ჩნდება ვანსაუთრებელი დამოკიდებულება და მოთხოვნილებები.

ყანჩელის მუსიკაში თემატიკის პრინციპი ცალკეულია — თემატიკში მატარებელი ნაწარმოების წარმომადგენლობა და ვამოიჩვენა თავისებური ხასიათით, თვითმყოფადობით, წამიერი ვათვითცნობიერებით. საქმე ისაა, რომ მუსიკალური ფრაგმენტების ვადამოცემის თემატიკში არ სავირობებს ვანაპირობებს, რადგან იმისათვის, რომ სივრცეში ვამოიკვეთოს „არხი“, სულაც არ არის საჭირო ვამოლი მელოდური ხაზი. თემატური ელემენტი შეიძლება ვადამოიკვეს უთავილოდ, რის ვამოც იგი დუმიტავებელი, დაუსრულებელია. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური ქსოვილი ვამსკველულია მდურადი ინტონაციებით, ვანგრადობა მელოდის, რომელსაც დასაწყისში ხალხური მიქელი ასრულებს (იგი თავის პარტიას ორკესტრის სიღრმიდან მღერის) ნაწარმოების შუაში და ბოლოში აღიქმება როგორც კონტრასტი. ამ შემთხვევაში ქმედითა უმელოდო. თემატიკშიც — მოკლე მისამღერები, აკორდები, ცალკეული ბგერები, ტემპრულ-ბგერითი კომპლექსები, უმელოდო თემატიკის პრინციპი უახლოვდება XX საუკუნის როგორც პირველი, ისე მეორე ნახევრის კომპოზიტორთა შემოქმედებას. ვვასხენდება დებიუსის, სტრავინსკის მთელი რიგი ოპუსებისა, ჩნდება ანალოგია მესიანის მუსიკასთან, სოციალისტური ქვეყნების შედარებით ახალგაზრდა ავტორების — ბურევი, ვიერუ-შემოქმედებასთან. სპეციფიკურ კონტექსტში უმელოდო თემატიკის ორგანულ შეყვანაზე მეტველებს კომპოზიტორის სტილის ველოდის მთელი პირობები — მოძრაობა ბგერადობის სივანდისაკენ, რაც ზოგჯერ ერთგვარი სტილისტური ასექტივის იერს იღებს. ყოველივე ამას ახლავს თანამედროვე საკომპოზიტო ტექნიკისადმი ვამუდმებული ინტერესი.

სივრცული შეგრძნებების წარმოქმნას სტიმულს აძლევს დინამიკური სიმძლავრე. ნაწარმოების დასაწყისში ყოველ მუსიკალურ ფრაგმენტს აქვს თავისი დინამიკური ელფერი. თვითელი ფრაგმენტის ავტომატურობა და „არხის“ წარმოქმნა დამოკიდებულია მათი შეპირისპირებით წარმოებული სიმძლავრის ვარდატებზე. თანდათან იქმნება სიმძლავრის არი დონე: დონე პიანო და დონე ფორტე. მუსიკა იწყებს სივრცობრივ ვანშრეგებას და აღიქმება მცნებით შორიახლო. იქმნება სივრცეში სიმძლავრისელი დონეების მოჩვენებითი ვასხვაობისეების შთაბეჭდილება. სხვადასხვა თემატური ელემენტი თითქოს სხვადასხვა მანძილებით შორდება მსმენელს, რაც, თავის მხრივ, უშუალოდ უკავშირდება „მრავალარხიანობის“ პროცესს.

სივრცობრივი ორგანიზაციის თავისებურებებმა ზემოქმედება მოახდინეს ვანიტიარების ლოგიკაზე. პროცესი, როგორც კანონზომიერი მოვლენა, თანმიმდევრულად ვარდატუნა, ვადასლა ერთი მოვლენიდან, მეორეში, ნაწილობრივ ასუსტებს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შეგრძნებას, რითაც იძენს დისკრეტულობის თვისებებს უპირატესობა ენიჭება იმპრესიულ საწყისს, რომელიც კურტის მიერ ვანსაზღვრულია როგორც „პროცესი“, რომელიც დაახლოვებული აღმასვლის ვართანსა და შეუკვირებელ ვანიტიარებას სცვლის ცალკეულ ერთველებად და ნაწიკრებელი, როგორც თვით აღქმული შთაბეჭდილება-

³ პირველად ტერმინი „მრავალარხიანობა“ მელისთან შეფარდებით შეიქმნა ე. თრეონიკმა სტატიოში „ჩამოყალიბება“ (რადიოლიდა ე. ყანჩელის თემაზე). ეტრნალი „სოვ. მუსიკა“ 1976. № 10.

იმპრესიით. ყანჩელის მუსიკაში ხედედებით მუსიკალური აზრის გადმოცემის ტრადიციული თანმიმდევრობის უარყოფას. პირველი მაგალითის საფუძველზე ჩანს, რომ ჩვეულებრივი ლინეარული განვითარება ადგილს უთმობს მრავალდინარულს. ყოველი პუნქტორი აზრი — ეს არის ბეგრადობაში ერთი მუსიკალური აზრის გავლის გზა. „განსნილი“ აზრი გამუდმებით კი არა ეცვრის, არამედ პერიოდულად „ერთვება“ და „ორთვება“, და ენაცვლება სხვა „არხების“ ბეგრადობას. სქემაზე ეს პროცესი გამოხატულია მუსიკალური ფრაგმენტების a, b, c, d, e, f თანმიმდევრობით. დრე აქვდრებული მუსიკალური მასალის აღორძინების ნომენტრ გაუთვალისწინებელია. ვინაი-

გარდატეხას ჰპოვებს განზოგადებულ სინთეზში, საბოლოოდ გადაწყვეტილია მოტივთა ბედი.

მინც რა კონკრეტული ხერხები განაპრობებენ მასალის მთლიანობას, მის „სტილისტურ სიმყარეს“, რომელიც აუცილებელია ესოდნ თვითმყოფადი სიმფონიური შთანთქმის ხორცშესხმისთვის?


პირველი ძირითადი პირობა, რომელიც საშუალებას იძლევა აიგოს სიმფონიის მხატვრულად მყარი შენიბა, მდგომარეობს ფოლკლორულ საფუძველზე თემატიზმის სტილისტურ გაერთიანებაში. ბეგრიით ეელის ინტონაციური მთლიანობა უზრუნველყოფილია ხალხური ინტონაციების ერთიანობით — ან ფოლკლორულთან ახლო მყოფი თემატიზმის შეყვანით ან უშუალო კავშირით ფოლკლორულ თემატიკასთან. თვალსაჩინოებისათვის ვისარგებლებ მარსელ პრუსტის გამოთქმით: „ხალხური სახე გამჟღავნებულია სხვადასხვა სიბრტყეში განლაგებულ სახეთა წყებით“.

მეორე თავისებურება ენება ბეგრიით სიმადლის ორგანიზაციას, რაც მთელ ნაწარმოებს მსკვალავს ერთიანი ინტერვალური სტრუქტურით, რომელიც აერთიანებს მუსიკალური მასალის პირობონტალურსა და ვერტიკალურ სიბრტყეებს.

ექსპოზიციური გაშლა-განვითარების პროცესში მკვეთრად ვლინდება სიმფონიის დაბადების წყარო — ქემპარიტი ფოლკლორული თემა — ეს გახლავთ ერთხმიანი სამგლოვირო მოთქმა-ტირილი, რომელსაც სვანეთში ასრულებდნ ქალები. სვანურ სიმღერაში ჩასაიდუმლოებულ იღვის განვითარება წარმოქმნის განსაკუთრებულ მრავალხმიანობას. ეს გზა ქართული ხალხური მუსიკის ისტორიის მრავალგზის შემცირებულ პროექციას ჰგავს. როგორც ცნობილია, ჭერ კიდევ უხსოვარ დროს საქართველოში არსებობდა ერთხმიანი სიმღერა, რომელიც ევოლუციური გზით გადაიზარდა უმდიდრეს მრავალხმიან კულტურაში. უბრალო კომპლექსური მრავალხმიანობიდან წარმოიქმნა ბურღილია მრავალხმიანობა. არასწორი იქნებოდა ეს სიმფონია ისტორიულ ქრონიკად მიგვეჩინია. ისტორიაზე შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ გარკვეული სტილისტური საშუალებებისა და მათი თანმიმდევრობის მიხედვით. ასეთ პირობებში უძველესი ტირილი იქნის განსაკუთრებულ აზრობრივ დატვირთვას, — იგია ფესვი, საიდანაც ამოიზრდება ყვება ხე.

ნაწარმოების ძირითადი აზრად არქული ერთხმიანი მელიოდის გამოყენებამ კომპოზიტორს უკარანაბა მისი შემცირება, (დაიყვანა ოთხ ფრაზადე) და მასში კონტრასტული სელის შეყვანაც. ამან თემის მიანიჭა დასრულებულია $(a + a' + a'' + a''')$, რითაც იგი მკვეთრად გამოიყოფა დანარჩენი მასალის დაუსრულებლობისაგან.

სიმფონიის მელისის დამოკიდებულება მთავარ თე-



ვა ყანჩელი

დან ყოველი მუსიკალური აზრი გადმოცემულია თავისებურად, ამიტომ ექსპონირების დროს ასევე თავისებურად ვლინდება თანდათან გაშლილი მასალის ლოკაციური ფუნქციები. იქ, სადაც სმენა ელოდება მუსიკალური იღვის დამთავრებას, ჩნდება მეორე, შემდეგ მესამე, მეოთხე იღვა. ექსპონირებული თემატიზმის ხანგრძლივობა ზოგჯერ აღწევს სიმფონიის შუადად, ამიტომ ყოველი მუსიკალური აზრის განვითარება მოითხოვს დიდ დროს. ორგანიზაცია, რომელშიც ფრაგმენტების სიმცირე მათი მრავალრიცხოვნებითა და დაშრეგებით კომპენსირდება, ესეთიერებად ამართლებს სიმფონიის მასშტაბურ სიმჭიდროვეს.

ნაწარმოების თანდათანობით გაშლა-განვითარებაში მკლავდება აზროვნების სხვა ფენაც — თანმიმდევრული შეკრება დანაწევრებული ელემენტებისა, რის გამოც სიმფონიის დრამატურგიას ამჩნევია ევროპული თეატრის, ევროპული რომანის სიმფონიურობის წევგავლენა. ახალ კონტექსტში ისინი იქნენ თავის უფლებებს და იპყრობენ მსიმენლოთა შეგნებას, იქმნება შერწყმა არატრადიციული აზროვნების ისტორიულად აპრობირებულ პროექტთან: განზენილი მასალა თავს იყრის კანვლქტში, რომელიც ძლიერდება კულმინაციურ წერტილებში და

4 პრიოდ. შ. სალანიშვილი გამოყოფს ქართული ხალხური მრავალხმიანობის ორ ფორმას — კომპლექსურსა და ბურღილულს: კომპლექსური იგი უწოდებს თანხმებრებათა პარალელურ მოძრაობას, ხოლო ბურღილულს — ისეთ მრავალხმიანობას, რომელიც იქმნება ერთი ან ორი ზედა ბეგრიითა და გაბმული ბაზით. იხ. შ. სალანიშვილის „ქართული ხალხური სიმღერის ისტორიის ნარკვევები“. სადოქტორო დისერტაცია. 1954.

მისთან გამოხატება მისგან წარმოქმნილი მოკლე მიწამ-
 ლერებით. ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს ტირილისა-
 გან აღებულ მეორე ფრაზას და გადმოცემულია კომპლექ-
 სური მრავალმნიშვნის პრინციპებით. მისი ელერადო-
 ბა ასეთ პირობებში, პარალელური ნონებისა და გადილე-
 ბული კვარტების შემეფებით, იძენს განსაკუთრებულ სი-
 მამაფხვან, დისინანტურობას და მოგვაგონებს მამაკაცთა
 გუნდს, რომლის ხმოვანება შორიდან გვესმის — თითქოს
 ქარს მოაქვსო. ვხვდებით ტირილის ფრაზების ვარიან-
 ტულ გარდაქმნებსაც.

სულსეკვეთებითა და ინტონაციური აგებულებით მა-
 სვე უახლოვდება ტრიტორდული მიწამლერი და უკანასკ-
 ნელად ექსპონირებული მასალა, რომელიც გამოირჩევა
 ნელი მოპრაობით, ბგერათა რიგის შემცირებული მო-
 ცულობით და ბურღონული ფაქტურის ნიშნებით.



მაგ. № 2

თემატური ამოცანების საშუალებით გაერთიანებულ
 მელოსი, ერთხმანობა ქმნის გენეზისსაც ვერტიკალის
 შენებისათვის.

ჰორიზონტალუბისა და ვერტიკალუბის ერთდროული
 შენებიდან წარმოიქმნება პირველადი ვერტიკალური კო-
 მპლექსები — აკორდები და კლასტერი. ყანჩელის სიმ-
 ფონიაში ვერტიკალისა და ჰორიზონტალის უნიფიკაციის
 იდეა წარმოდგენილია დიატონურ ასექტში, რაც ბაღებს
 ახალ თეითმყოფად ელერადობას, „ახალ სივრცეს“.

აკორდის წარმოქმნა დამოკიდებულია მოკლე მისამ-
 ლერებზე. ვერტიკალში მისი გადასვლის დროს ჩნდება

კვარტეკონტაორდი, გამდიდრებული, როგორც წესისა, მ-
 ქსითი ან „გაუბრალეობული“ ოქტავითა და კვარტით.
 ასე იბადება სიმფონიის ყველაზე კონსონირებული აკორ-
 დი, რომელიც განსაზღვრავს ნაწარმოების ძირითად სტი-
 ლისტურ თვისებას — დიატონიკაზე დაყრდნობას.

ვერტიკალური კომპლექსის მეორე სახეობა — კლას-
 ტერი, რომელიც სიმფონიაში გააზრებულია როგორც
 დიატონური თანხმობება, მკაცრად ფიქსირებული ბე-
 რითი შესვლებით.

მრავალრიცხოვანი კლასტერული წარმონაქმნებისთვის
 გენეზისს ქმნის კინტის მოცულობაში მოქცეული ტირი-
 ლის თემის პირველადი ბგერები.



მაგ. № 3

გადაწყვეტ მომენტს ქმნიან ინტერვალური ჩარჩოები,
 რომლებშიც მოქცეულია კლასტერი, აგრეთვე ბგერათა
 რიგი, რომელიც ავსებს მანძილს უკიდურეს ბგერათა შო-
 რის. დიატონურმა საყრდენმა შეიძლება შეინარჩუნოს
 „სიწმინდე“, იცლება მხოლოდ მოცულობები — პირველ
 შემთხვევაში ეს არის დიდუღეცობა, მეორეში — სამი ოქ-
 ტავის იქით ხმოვანი კვარტა. შესაძლებელია, თეთრკლა-
 ვიშობიან დიატონიაში ქრომატიზმების შეჭრა, რომ-
 ლელები კი არ არღვევენ ნაწარმოების დიატონურ ზედნა-
 შესს, არამედ ამდიდრებენ მას.

დიატონია, რომელიც მესამე სიმფონიაში ასეთ
 მნიშვნელობას იძენს, ეროვნული წარმოშობისაა. კვარ-
 ტეკონტაორდი ქართული ხალხური სიმღერის ყველაზე
 მყარი ჰარმონიული წარმონაქმნია. ასევე ორგანულად
 ჩაწერილი სიმფონიის ეროვნულ კოლორიტში მრავალ-
 რიცხოვანი ბგერათა რიგები, რომლებიც წარმოქმნიან
 ვერტიკალურ კომპლექსებს. უნებურად იბადება პარა-
 ლელები ბელა ბარტოკის შემოქმედებასთან, რომე-
 ლიც ფოლკლორული ზოზიციებიდან მიუღდა ჰო-
 რიზონტალუბისა და ვერტიკალუბის უნიფიკირების იდე-
 ას. ყანჩელმა უარი თქვა მუსიკალური ქსოვილის ტოტა-
 ლურ რევალმენტრებაზე, შესაძლოა, სწორედ ამ ტექნი-
 კის გამო ვერტიკალუბისა და ჰორიზონტალუბის უნიფი-
 კირება „ფოლკლორულ რაუკრსში“, ასრულებს საწ-
 ყისი წერტილის როლს: ერთხმანია მელოდია მხოლოდ
 ორჯერ ემსახურება ვერტიკალური თანხმობების წარ-
 მოქმნას. დანარჩენი სხვადასხვაგვარად ექსპონირებულ
 კომპლექსების საფუძველს კი ქმნის რომელიმე ბგერათა
 რიგი, თავიდანვე გარდატეხილი ვერტიკალში.

სტილისტური არაწინააღმდეგობრიობა ხელს უწყ-
 ყობს ძირითადი დამატარებელი შთანაფიქრის გან-




ხორციელებას — გარდაქმნების იდეას, სივრცეში გაბნეული მუსიკალური „ერთეულების“ სტატეგორიის დაძლევას. დრამატურგის გამოსი პროცესში ყალიბდება ორი საწყისი — ჰერტიტი და აქტიური. მათი კონტრასტული დაპირისპირებები ხელს უწყობენ პირველი „უწესრიგობის დაძლევას და გამოლიანებას, რაშიც გადამწყვეტ როლს თამაშობს აქტიური საწყისის ძალთა მოქმედება, განვითარების გამწვავებას რომ იწვევს ნაწარმოების ბოლოში.

ჰერტიტი საწყისი მოქმედებას იწვევს სიმფონიის შუაში. ბეგარდობა იქნის მკვეთრ საზოგადოებას, იგი ყალიბდება ერთნაირი გამოქმენილობის ხანგრძლივ პლასტებში, რომლებიც პიანოზე სრულდება. მესამე სიმფონიაში ჰერტიტი მუსიკა ანსახიერებს პირველქმნილ მარადიულ იდეებს. ხალხური ხასიათის მელიორიკა მინამდირები, რომლებიც ქლერენ სიხუმეში, უეცრად რომ არღვევს ადამიანის ხმა, იწვევენ მუსიკალურ თხრობას გარდასულ დროზე, ისტორიის წიაღში გართხმულ ფსევებზე. ვაბმულ ბეგრები, შემოსილი სწარუღლი ფერებით, ისევე როგორც თელი ელერადობა, სულიერი სიმშვიდის შეგრძნებას ქმნის.

ლტოლა პირველქმნილისაყენ, მარადიულსაყენ გამოხატულია უძველეს ხალხურ მინამდირთან ინტონაციურად მიმსგავსებული მელისით, რომლის გარშემო ეპიკური სიღრნეით ვითარდება სიმფონიის მოვლენები.

ფორტეს აკორდი — „არხები“, როგორც ხანმოკლე აფეთქებები, ისე ეკვეთებიან ჰერტიტი მუსიკის გაქვევებულ სამყაროს. აკორდის, ცალკეული ბეგრის აფორისტულია წამიერების სიმბოლო იქცევა. სულიერი სიმშვიდის შეგრძნებას, წარამა ალორძინებას რომ განინება, არღვევს მხოლოდ კულმინაციური ზონები. რომლებიც გარდასახევენ „პიანოს მუსიკის“ ნელ მიღინებას. ორი საწყისის ანტონომური დაპირისპირება საშუალებას იძლევა „პიანოს მუსიკაში“ ენერჯის თანდათანობითი დაგრძობისა, ხოლო „ფორტეს მუსიკაში“ კი — ქმედითობის აღზევებისას.

სიმფონიის სამი კულმინაცია, განმსკეაული ქმედითი ძალებით, ჰკავს მასშტაბურ ფორტესურათს, რამდენადაც არსებობს მკვეთრად არის გამოყოფილი მეორეხარისხისოვანსაგან, მკაფიოდ არის დამუშავებული ის უწერლობის დეტალები, რომლებიც ნეგატივზე ძნელად იკითხებიან. მიემართოთ მეორე კულმინაციას.



პიგ. № 4

აქ ჩნდება გაქიმული ბეგრადობის ერთგვაროვანი პლასტები, რომლებმაც შეცვალეს სიმფონიის საწყისი მოკლე მუსიკალური ფრაგმენტები. ურთიერთშენაც-

ვლებული ძირითადი პლასტები და მათი სახეშეცვლილი დებულები — ერთმანეთს არ ეთიშებიან კრისტალური მსგავსად. ისინი გაერთიანებული არიან გამჭოლი აზრით — ტრილის თემის ტემპორული გადწყვეტის „ძიგებითი“. მინამდირის მელოდია ვადლის ერთი ხმინდნ მეორეში — ფლეიტებთან, სიმებიანებთან. ძირითადი თემის გამოვლინება დამუხრუჭებულია „ხელის შეშლელი“ ანტიტური წარმონაქმნებით, რომლებიც მშვიფდება თხალო მუსიკალური იდეატური ხაზი (II-III). იგი იქმნება ბანისკენ მიმართული ფრიგიული ტექტრაქორდისაგან და ბეგრა სოლზე მყოფი მკაფიო რიტმული ნახაზის მქონე ინტონაციისაგან, რომელიც ფორტეში (II) იზრდება ბეთოვენის მეშვიდე სიმფონიის ალგერეტოს თემის ალუზიამდე!

ფორტეს მონოლითური ელერადობის პირობებში გამოიკვეთება „მრავალარხობის“ თავისებური ეფექტი. კულმინაციის კონფლიქტი მდგომარეობს ხალხური და „მეტოვენური“ თემების, ბაროკოსული დაძაბული სკლის ერთდროულ გატარებაში და თავს იჩენს მხოლოდ ორკესტრის სახე ელერადობის დროს. „არხების“ წარმოქმნის შთაბეჭდილება, ყოველი თემატური წარმონაქმნის „ტრანსლირება“ ისე აღიქმება, როგორც თემატური მასალის არაერთდროული შეყვანა. ასეთ შთაბეჭდილებას ქმნის თემატიზმის განაწილება ცალკეულ სარკესტრო ჯგუფებში, „არხების“ პარმონიული შეუთავსებლობა. კულმინაციის აზრი ყალიბდება „კამათში“, რომელიც იმართება „ნეოკლასიკურ“ თემებსა და ტრილიდან მოტანილ ფრაზას შორის. ამრიგად „ფორტეს მუსიკაში“ „არხების“ ერთდროული ელერადობის ეფექტი წარმოქმნილია უეიდურესად დაქიფული, დატვირთული კლშინაკიები, რომლებშიც მოქმედებს აქტიური ძალები.

სიმფონიის დასასრული შეიძლება მივიჩნიოთ მუსიკალურ ეპილოგად, სადაც ურთიერთქმედების ძალები დნება, ილევა მასალა, რომელიც მანადელ ელერად მოკლე მუსიკალური ფრაგმენტების სახით, ეს არის ეპიკური *posf tatum*, რომელშიც მოხსნილია წინააღმდეგობები, მეკიდრდება პარმონია, გაბატონებულია ჰერტიტი ვანწყობილება. ვადახლართვა დროისა — წარსულისა და აწყისა — რომელიც ისახება დრამატურგის ვაშლისას, ნაწარმოების ბოლოში პოლონი ვითიურ აზრს უძველეს ეროვნულ ქემშირბებთან ზიარებაში. შესაძლოა, ამიტომაც არის აგრერივად სიმბოლური და ამიტომევა ასე ბუნებრივი სიმფონიის შემოკალავა უძველესი როფენული მინამდირით.

მესამე სიმფონიის სპეციფიკური მუსიკალური ორგანიზაციის გამოხატვაში მთავარი ადვილი ეთობობა ორკესტრის. ნაწარმოების სარკესტრო ელერდობები ყურადღებას იპყრობენ პირველივე ტაქტებთან. გ. ორგონიკიძე წერს: „ყანჩელი სარკესტრო ოსტატობის ომპონენტებიდან საყოველთაო ალიარებას, პირველ რიგში, მიაღწია ორკესტრობამ... მისი სარკესტრო შეგნება, იმთავითვე, ყანჩელისაგან თავისუფალი აღმოჩნდა“. დიან, ყანჩელი — კომპოზიტორია, რომელიც დაჯილდოებულია სპეციფიკური სარკესტრო აზროვნებით. მისი ყველა ნაწარმოებში ცოცხლობს მხოლოდ პარტიტურაში და მისი მუსიკა უორკესტროდ წარმოუდგენელია.

ყანჩელი სრულიად თავისებურად სწყევტს თანამედ-



როგორ კომპოზიტორთა წინაშე მდგარ ამოცანებს. მუსიკალური ქსოვილის განსაკუთრებული ორგანოზაციის ჩამოყალიბებისასანავე ორკესტრში ისახება მისი სივრცული გააზრების ტენდენცია. ყანჩელის მიერ გამოყენებულ სიორკესტრო აპარატ შედგება მარამიცილო შემადგენლობის დიდი ორკესტრისაგან. მაგრამ განსაკუთრებულია მისი გამოყენების შედეგები: კომპოზიტორი თითქმის დარბაზის სწავლების ვაფრთხობას ახერხებსო. მისი როგორ არწმუნებს მსმენელს ე. ყანჩელი თავისი მანკის სიერტულ ელერადობაში?

გავისენთ ჩვენი დროის კომპოზიტორთა შემოქმედება. მე-20 საუკუნემ ახლებურად აღმოაჩინა მუსიკალური სიერტე. ჩვენ დღითიდღე ვრწმუნდებით, რომ მუსიკალური წარმოდგენები სულ უფრო მეტად იძენენ სიერტულ ხსილსა.—წერს შტოკაუზენი. წინამორბედი ეპოქების მემორბედი (საგურბედი მუსიკა Ars Nova ბაროკოს ინსტრუმენტული მუსიკა). XX საუკუნეში მუსიკალური სიერტის გამოვლენება სხვაგვარ აზრსა და მნიშვნელობს იძენს. იგი უკავრდება კომპენიკაციერ ძიებებს, რომელთა მიზანია მსმენელთან კონტაქტის დამყარების ახალი ფორმების აღმოჩენა.⁵

რეალური სიერტული სტერეოელერადობის მიღწევა შესაძლებელია ორკესტრის ან ანსამბლის განსაკუთრებული განლაგების პირობებში (ასეთ შემთხვევაში ორკესტრის შეიძლება სტერეოორკესტრი ვუწოდოთ) ან ფონოგრაფისა თუ დინამიკების გამოყენების შემთხვევაში. სტერეოეფექტის მიღწევის მრავალნაირი ვარიანტიდან აღსანიშნავია ორი ძირთადი ხერხი: შემსრულებლების განლაგება ერთმანეთისაგან მოშორებულე, განცალკევებულე ჯგუფებით და მუსიკოსთა მოძრაობა შესრულების დროს.

სტერეოგანლაგების პირველი ცდები ეკუთვნის ამერიკელ კომპოზიტორის ჩარლ აივსს („უპასუხოდ დარჩენილი კითხვა“ IV სიმფონია).

აივზის „კითხვას“, დასმულს ჩვენი საუკუნის დასაწყისში, 60-იან წლებში პასუხი გასცა მრავალმა კომპოზიტორმა. ამ წლებში მუსიკაში სიორკესტრო კომპოზიციები არ ახასიათებს სტერეოტიულობა. შემოქმედებითი ფანტაზიით არის განპირობებული როგორც უჩვეულო საშემსრულებლო საშუალებების (შტოკაუზენის „კარე“ ოთხი ორკესტრისა და ოთხი ვუნდისათვის“, ჯგუფები სამი ორკესტრისათვის ზ. ბატუსის (გდრ) ოპერაში „უკანასკნელი გასილა“), იხ ჩვეულებრივი ორკესტრის გამოყენება. ორკესტრანტების სხივთა მავგარი განლაგება ი. ასენაისის „ტერექტორში“).

სტერეოფონურ შესაძლებლობებს სხვადასხვაგვარად იყენებენ როგორც დასავლეთის, ისე საბჭოთა კომპოზიტორები. დასავლეთის მთელ რიგ ავანგარდისტულ ნაწარმოებებში სიერტული შესაძლებლობების რეალიზაცია ხადებს ახალი ფორმის მუსიკალურ ბეგებს. რაც საფუძველს ვეაძლევს ვილაპარაკო სტერეოფონური ბეგირით მატერის ერთგვარ ჰედონიზმზე. საბჭოთა კომპოზიტორებს ნაწარმოებებში სიერტული ეფექტები

ნაკარხხევია როგორც განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ამოცანებით, ისე დრამატურგიული კონსტრუქციის ინდივიდუალური თავისებურებებით. [გავისენთ ორი ვიოლინის გადაახილები. ა. შნიტკის „მოსკოვიჩის სსოვისსადმი მიძღვნილ პრეოდლიაში“; ან ვუნდისა და ორკესტრის სიერტული ეფექტები ა. ტურტერიანის მეორე სიმფონიაში) 70-იან წლებში კომპოზიტორებმა აღმოაჩინეს სტერეოელერადობის ახალი საშუალებები. სტატურული საინჟინერო ფორმები გადიდრებულია ინსტრუმენტული თეატრის პრინციპებით. ნაწარმოებთა დაკერის დროს მუსიკოსთა მოძრაობა მიზნად ისახეს მსმენელთა ჩართვა შესრულების პროცესში და სტერეოეფექტების გაძლიერებასაც (ა. შნიტკის სიმფონია, სლონიმსკის ოპერა „ოსტატი და მარგარიტა“, „ანტიფონები“, ი. ბარდნაშვილის „პოემა-დილოგები“).

იბაღება კითხვა — რატომ არ გამოიყენა თანამედროვე კომპოზიტორთა გამოცდილება ე. ყანჩელი, რომელიც დინტერესებულია ნაწარმოებების ახალი სიერტული ხორციშების ამოცანებით? რა თქმა უნდა, იგი კარგად იცნობდა სტერეოელერადობის სფეროში თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების მიღწევებს, მაგრამ ყანჩელი მიდის თავის გზით. რეალური სტერეოფონური ორგანიზაციიდან წარმოქმნილი შეგარხებით დაგროვდენ მის სმენით ბავაჟში. ამასთან ერთად მან გამოიყენა მსმენელთა სმენითი ასოციაციები. მან ახალი სიერტული შესაძლებლობების ძიების დროს მიაგნო ორიგინალურ სიორკესტრი გადწყვეტას, რომლის წყალობითაც მისი მუსიკა იძენს ილუზორული სტერეოფონური სიერტის თვისებებს. ყანჩელი უჩვეულოდ იყენებს ტრადიციულ (მონოფონური) ორკესტრის შესაძლებლობებს. ესტრადებ, რომელიც ვადანობა მარცხნიდან მარჯვნივ არანაკლებ 20 მეტრით, განლაგებულია დიდი სიმფონიური ორკესტრი, რომლის ბეგებში ვრცელდება ესტრადის სხვადასხვა წერტილიდან — მარცხნიდან, მარჯვნიდან, ცენტრიდან. ასეთ შემთხვევაში მონოფონური ორკესტრის ყველანაირი ელერადობა იძენს მოცულობას, მაგრამ, ორკესტრის კლასიკური გამოყენების დროს, ელერადობა სიერტული თვალსაზრისით ერთგვაროვანია.

XX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში ბაღერის, დებუსის, სტრაინისკის მუსიკაში მიმდინარეობდა მონოფონური ორკესტრის განვითარება, განთავისუფლება. ყანჩელი ავრძილებს ამ ტენდენციას, მაგრამ მონოფონური ორკესტრის კლასიკური გამოყენების ნაცულად, იგი ირჩევს სიორკესტრო ელერადობის სიერტული გააზრების პრინციპებს, რომელიც ემსახურება როგორც ბეგადობის გაყანტვის, გაბნევის იდეას, ასევე აქტიური, ქმედითი ძალების წარმოქმნასაც.

გ. ყანჩელის მუსიკის სიერტული გადწყვეტის, „მრა-

⁵ ამ აზრის დამამტყებელ მრავალ მავალით ვეაძლევს ც. კოგოტეის წიგნი „კომპოზიციის ტექნიკა XX საუკუნის მუსიკაში“, მ. 1976, გვ.227-232.

⁶ უდაღლო არ იქნება მოვიყვანოთ მავალით თანამედროვე მუსიკიდან. ე. ვერტი თავის ნაწარმოებთა სიერტულ „სპიტიურ-სა“ და „გაგროვილი“ კატეგორიებს შემდგენად ხსნის: „ფალი უფრო გამჭვირავია და სწრაფი, ვიდრე უფრო“. ლ. ლეგერი, როდესაც ვეპირობს 60-იანი წლების ზოგირით თავის ნაწარმოებზე, ასევე იმუშავებს სიერტულ ანალოგიებს... თავის „ატმოსფერებს“. იგი პოეტურად აღწერს და მას პაეროვანს უწოდებს.



ვალმინანობის⁴ იდის რეალობზე შეუძლებელია ორკესტრისა თუ ორკესტრანტების სხვადასხვაგვარი განლაგებით. ასეთ შემთხვევაში ვერ გამოვლინდებოდა პერსპექტივის უნატიფისი თამაში, რისკენაც მიილტვის ყანჩელი და რასაც იგი აღწევს ტრადიციული ორკესტრის ხერხებით, ვერ გამოვლენდა ესოდენ მოქნილი „არხების“ ქსელი, რომლის შემწეობითაც ბევრთი მასალა სულ მოძრაობაშია — „არხები“ ხან სივრცის ერთ სიბრტყეში ეფენებიან ერთმანეთს, ხან კი დამოუკიდებლად, სხვა სივრცულ სიბრტყეებში განაგრძობენ არსებობას.

ამრიგად, ყანჩელის მესამე სიმფონიის სივრცული კონცეფცია გამოხატულებას პოვლობს ერთი სიმფონიური ორკესტრის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს მთლიან ორგანო-ხმს.

როგორ უკავშირდება მესამე სიმფონიაში მრავალ-არხიანობის პრინციპი ორკესტრს?

ყანჩელი — კომპოზიტორია, რომელიც აზროვნებს ბევრითი ფრაგმენტებით, რომელთა ერთ-ერთი ძირითად თვისებას წარმოადგენს ტემპრი. მისთვის ტემპრი — ბგერის სიმძლავრის, სიმაღლის, თემატისმის, რიტმის, მეტრის ტოლფასოვანი კომპონენტია. ტემპრის გამოყენების თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს საორკესტრო გჯუფების ტექნიკა.

ორკესტრის გჯუფების (ხის, ლითონის, სიმებიანების) ეფერადობა მაქსიმალურად განცალკევებულია და პოლაროპოზიტიული. რეალური სტერეოფონიის დროს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, სივრცე სხვადასხვა წერტილებიდან ერთდროულად იმსკვავება „ბგერითი სხივებით“ თუ არაერთდროულად. ილუზორული სტერეოფონიის შემთხვევაში რამდენიმე გჯუფის ერთდროულ ჩართვას შეუძლია წაშლის ილუზორული სტერეოეფექტი. საორკესტრო გჯუფების რეგულირებით ჩართვა კი, რაც სულ ერთთავად ანახლებს სიმეზობლის სივრცულ შთაბეჭდილებებს, ყოველი გჯუფი შეუწყვეტლივ იძენს დამოუკიდებელ თვითგამოხატვის უფლებებს. გჯუფების ცვლა, როგორც წესი, შეესაბამება „არხების“ ცვლას. ინსტრუმენტული „თამაში“ ერთმანეთისაგან დამოკიდებული ხის და ლითონის სასულე ჩენტრუმენტებს შორის რომ მიმდინარეობს, ტემპროდინამიკური და რეგისტრული საშუალებებით, ამცლავებს სიმფონიური განვითარების მრავალპლანინანობას და ხელს უწყობს სიმფონიური ქმედების უფრო ვადართავს სხვადასხვა სიბრტყეში. მესამე სიმფონიაში გჯუფების პლანობრივად ემხარება ხშირად გამოყენებული ეფექტი ექოსი, რომელსაც უჩვეულო ელფერი აქვს. მისი ხელმოტრე ჩართვა „არხის“ ელფერადობაში თითქოს ამკირებს სიმძლავრეს.

ტემპრების თავისებური გამოყენება, მათი გადაადგილებით მიმდებელი მოზაიკური აბრევეს ოდითგან დადგენილ ტემპრულ იერარქიას. საყრდენ როლს, რომელსაც ჩვეულებრივ ასრულებს ხოლმე სიმებიანთა გჯუფები, ამჯერად თამაშობენ ლითონისა და ხის სასულე საკრავები. სიმებიანებს თითქმის არა აქვთ კანტილენა, ისინი გამოყენებულნი არიან როგორც რიტმულ-დასარტყავი საშუალებები, უმეტესად, ისეთ საშუალებასთან ერთად, როგორცია Percussioni. წინაუკუმიწინაურ ზონებში სიმებიანები ასრულებენ სწრაფ ტოკატურ პა-

საცს — მოძრაობებს, რომლითაც თითქოს იკრიბება პიანოს „ვაშლილი, წელი ბგერადობა. მელილოდურ ტრანსციურობის“ გამოვლინების ამოცანა მთლიანად აკისრინათ სასულე ინსტრუმენტებს.

გ. ყანჩელის მესამე სიმფონიის საორკესტრო ხელწერა ნაწილობრივ ეყრდნობა პუნტილიზმის ტექნიკას, რომლის მიზნაა პაუზების ჩართვა დროის ორგანიზაციაში.⁵ პუნტილიზმის ელემენტები ბუნებრივი მოვლენა მრავალარხიანობის პირობებში თუ თემატური „არხის“ წარმოდგენილია უნისონით, ცალკეული აკორდით, კლასტერით, რომელიც ხმოვანებს ნახევარს, ერთ ან ორი ტაქტის მანძილზე, მისი ელფერადობა წერტილოვნებას განაპირობებს. პაუზები, სხვადასხვა რეგისტრში მდებარი საორკესტრო გჯუფების ჩართვებს შორის, ასევე იძლევა საჭირო სივრცულ ეფექტს.⁶

ექტორი ძალების მოქმედებას აწესრიგებს ერთდროულად ხმოვანი ტემპრული კომპინაციები. ასეთ სიმეზვევაში ცალკეული „არხების“ დამოუკიდებელი სივრცული ილუზია, სხვადასხვა წერტილოდან მათი „ტრანსლაციის“ შთაბეჭდილება იქმნება მუსიკალური მასალის ტემპრული განაწილებით. მეორე კულმინაციის დროს ტირილის თემა ელფის ხის სასულე საკრავთა და საყვირის პარტიაში, „გუთპოვენურის“ თემა — ილუზია კი ლითონის საკრავებში, პასაჟი-მოძრაობები სიმებიანებთან და ა. შ.

„არხების“ დამოუკიდებლობას ხელს უწყობენ პოლიდინამიკის ეფექტები, როცა საორკესტრო გჯუფები ერთდროულად ასრულებენ ფორტესა და პიანოს სხვადასხვა თემატურ მასალას. სიმფონიის დასაწყისში სიმეზვევა ბუქსალისა (თელი სიმებიანი გჯუფი უკრავს უხმოდ, პედალი მიიღება მარცხენა ხელის თითის დაჭერით), რომელიც ძლივს ისმის, პერიოდულად სულ ქრება ლითონისა თუ ხის სასულე საკრავთა შეყვირებების გამო.

ყანჩელის სიმფონიაში ჩანს აკვორი ორკესტრის გამოყენების ისტორიულად ჩამოყალიბებულ კანონებთან: შენარჩუნებულია ორკესტრის ჩვეულებრივი შემადგენლობა და მისი გჯუფების დაყოფა. კომპოზიტორი ხშირად უსვამს ხაზს თავისი სიმფონიების ორკესტრის კლასიკურ ნიშან-თვისებებს. საორკესტრო ორგანიზმის განახლება წარმოებს იმ შინაგანი გარდაქმნების საფუძველზე, რომელიც ჰკარნახობს მას ნაწარმოების დეა.

გია ყანჩელი შემოქმედებითი ძალების აყვავების პეტიოდიში. „ყოველი ჭეშმარიტი მწერალი (ისევე როგორც სწავლელი) — კვლავ ეუბრუნდება ეინგნაუმს — აღმოაჩენს ხოლმე რაღაც ახალს, მანამდე უცნობს — რაც ყველზე მნიშვნელოვანია, რადგან მიგვანიშნებს აზროვნების ახალ ხელოდებზე“. ეს სიტყვები ეგება შენანიშნავ ქართველ მელოგებს. ამაზე მეტყველებს გ. ყანჩელის ნაწარმოებთა სიმფონიური კონცეფციების სიღრმე და მუსიკალური ენის თვითმყოფადობა.

7 ც. კოპოტეაი, დასახ. წიგნი, გვ. 182.
 8 ჰოსტალიტის ტერმინი ეფექტები გამოყენებულია აგრეთვე მესამე სიმფონიისათვის ეტრმე ამჟამათებელი კანონის — პორბონტალის ვერტკალში გადაყვანის დროსაც, ყოველი ბგერის თამბმდგეული ჰედლობათა წარმოქმნის მელილოურ-პარმონიულ ლიტკოპლუქსი, რომელიც ეყრდნობა ხალხური ტირალდობ მოტივლ ფრანსს.

კანტი და ფიხტი გოეთეს „ფაუსტში“

გურამ თევზაძე

რწმუნ იოჰან გოტლიბ ფიხტიმ (1762-1814) თავისი პირველი ნაშრომით „ყოველი გამოცხადების კრიტიკა“ 1792 წ. — გერმანული კულტურის მესვეურთა ყურადღება მიიქცია, გოეთე დიდი ხანია დიდების მწვერვალზე იდგა. ფიხტი მასში ადამიანის განთავისუფლებასათვის მებრძოლის ნათესაურ სულს ხედავდა და ორი წლის შემდეგ, 1794 წ. გამოსული თავისი ძირითადი ნაშრომი — „სრული მეცნიერების მოძღვრების საფუძველი“ — ასეთი სიტყვებით გაუგზავნა: „ფილოსოფია თქვენ მოგმართავთ, და სამართლიანადაც, თქვენ გრძნობა მისი სასინჯი ქვაა“.1 ამ დროს ფიხტეს იმის იმედიც ჰქონდა, რომ ის და გოეთე საერთო ნაშრომს გამოსცემდნენ. ეს საქმე შიღერთან ერთად იგვეგმუოდა, მაგრამ მას განხორციელება არ ეწერა. ფიხტი ცნობილი კანტიანელი კ. ლ. რაინჰოლდის კათედრაზე იენის უნივერსიტეტში ამ წელს მიიწვიეს. მისმა პირველივე ლექციებმა დიდი მღელვარება გამოიწვია. სტუდენტები ალტაცებულნი იყვნენ. კონსერვატორები აღშფოთებული. დაიწერა საჩივრები. ფიხტეს გაუხსენეს, რომ საფრანგეთის რევოლუციის დასაცავად წინა წელს ანონიმური ნარკვევები გამოაქვეყნა. 1794 წ. 24 ივნისს ფიხტი გოეთეს „როგორც მფარველს და მეგობარს“ დახმარებას სთხოვს. ამჯერად კონსერვატორები დამარცხდნენ.

ფიხტესა და გოეთეს შორის საერთო იყო პიროვნების როგორც შემოქმედის, ე. ი. როგორც თავისუფალის გაგება. ფიხტესათვის ეს ნიშნავდა სუბიექტის არსებით დამოუკიდებლობას ყოველგვარი გარეშე ინსტანციისაგან, სულ ერთია. იქნებოდა ეს ღმერთი თუ მატერია. ადამიანი თავისუფალია როგორც ზნეობრივი ინტელექტუალური არსება. იგი თავისუფალია სამყაროშიც და საზოგადოებაშიც. თავისუფალი იმ აზრით, რომ ყველაფერი რასთანაც მას შეიძლება მიმართება ჰქონდეს, მის მიერვე უნდა იყოს დაშვებული როგორც მნიშვნელობის მქონე. ცხადია, ეს არაა თვითნებური დაშვება, მაგრამ მაინც ადამიანის დაშვებაა. მისი გადაწყვეტილებაა რაიმე არსებულად და მნიშვნელობის მქონედ მიიჩნიოს. ჩვენთვის ნებისმიერი ვითარების არსებობის საბოლოო საყრდენი ჩვენი ცნობიერების ამგვარ გადაწყვეტილებაშია. ამას რაინჰოლდის შემდეგ ცნობიერების დებულებას უწოდებენ და იგი იდეალიზმის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს წარმოადგენს.

გოეთეს და ფიხტეს შეხედულებები ამ პერიოდში მნიშვნელოვნად ემთხვეოდნენ საფრანგეთის რევოლუციის გაგებაში. ორივე ახალი, პროგრესული ეპოქის დასაწყისს ხედავდა მასში. ფიხტი თავის ფილო-

სოფიას საფრანგეთის რევოლუციის თორიულ შესატყვისად თვლიდა. ამ აზრს შემდეგ შეიწინააღმდეგებოდა, მის კვალად ჰ. შაინე ამ მიმართებას მთელს გერმანულ კლასიკურ იდეალიზმზე გაავრცელებს, რასაც მარქსი უცვლელად მიიღებს. „ჩემი სისტემა თავისუფლების პირველი სისტემაა — ნერდა ფიხტე ერთ-ერთ ფრანგს — როგორც იმ ნაციაში ადამიანი გარეგანი პირობებისაგან განათავისუფლდა, ასევე ჩემმა სისტემამ ნივთი თავისთავადისაგან განათავისუფლდა იგი“. ფიხტე მეტსაც სწერს, და ამ შემთხვევაში ესაა მთავარი; „ჩემი სისტემა უმისოდ როდია შექმნილი, ... როცა მე ამ რევოლუციაზე ვწერდი, მაშინ თითქმის ჯილდოდ, მომავიქრდა ამ სისტემის პირველი მონახუები“.²

გერმანიის სულიერი კულტურის ავანგარდის საფრანგეთის რევოლუციასთან კავშირის იდეა ფართოდ გავრცელდა. ფრ. შლეგელი თავის „ათენიომში“, რომელიც გერმანიაში „რომანტიკული სკოლის დამფუძნებელი დოკუმენტია“, ეპოქის უმნიშვნელოვანეს ტენდენციებად აცხადებდა საფრანგეთის რევოლუციას. გოეთეს „ვილჰელმ მაისტერსს“ და ფიხტეს „მეცნიერების“ სწავლებას³. აქვე, უკანასკნელ წერილში, ფრ. შლეგელი გოეთეს და ფიხტეს გერმანული რომანტიკოსების ბელადებად მიიჩნევდა. „გოეთე და ფიხტე, ესა უმარტრებისა და ყველაზე მოხერხებული ფორმულა ყველა იმ სტიმულისათვის, რომელიც „ათენიომთანა“ დაკავშირებული და ყველა იმ გაუგებრობისათვისაც, რომელთა საბაბიც „ათენიომი“ გახდა“.⁴ ეს დაიწერა 1798 წ., როცა ფიხტე ულანდსა და პოპულარულ იყო. იგი დარწმუნებული იყო თავის ძალაში. კოლეგების და განსაკუთრებით სტუდენტების სრული მხარდაჭერის იმედი ფიხტე გამოიწვევდა იქცეოდა როგორც საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტების, ისე ოფიციალური რელიგიის მიმართ.

ფიხტეს ფილოსოფია, რომელიც ეთიკურ იდეალიზმად იწოდებოდა და პრაქტიკული გონების პრიმატის პატივსულო პრინციპს თანმიმდევრულად ანხორციელებდა, ვერ ურიგდებოდა ოფიციალური რელიგიის მოძღვრებას ღმერთის თაობაზე. როგორც სამყაროს არარაობიდან შემქმნელად, სამყაროს პირველ მუერვეზე, რომელსაც ყველაფერი გათავალისწინებული აქვს და თვითნებურად მართავს სამყაროს.

ფიხტეს პირველი ნაშრომი, რომელმაც კანტის დიდი მონივნება დაიმსახურა, უარყოფდა ტრანსცენდენტურ, ე. ი. სამყაროსაგან განსხვავებულ ღმერთს სწორედ ადამიანის თავისუფლების და შემოქმედობითობის დასაფუძნებლად. ადამიანი, ფიხტეს აზრით, მაშინ არის თავისუფალი, როცა მან იცის, რომ თავისუფალია და მოქმედებს იმ მორალური კანონების შესაბამისად, რომელთაც ნებაყოფლობით ემორჩილება. იმიტომ ემორჩილება, რომ მაინცა: თავისუფალი არსებობისათვის ისინი აუცილებელია. ეს ნიშნავს მორალური სამყაროს აუცილებლობისადმი დამო-

რჩალებას ხაზგასასმელია, რომ ეს არაა ცხოვრობდ თეორიული მოქმედება, ანდა მხოლოდ განაზრგებანი ეთიკური კანონების თანახმად. ესაა მოქმედება მიმართული გრძნობად სამყაროზე მის გარდასაქმნელად და იდეალურთან დასახლოებლად. 1794 წ. — ეს წელი ფიხტეს სისტემის შექმნის წელია — იგი წერდა „მოქმედება და კვლავ მოქმედება, ესაა ის, რისთვისაც ჩვენ ამ ქვეყნად ვარსებობთ. დაე, გვიხაროდეს ვრცელი ველის დანახვა, რომელიც ჩვენი დასამუშავებელია. დაე, გვიხაროდეს. რომ ძალისა ვგრძნობთ ჩვენი და ჩვენი ამოცანა უსასრულოა“.⁵

იმ პერიოდში ფრანგი ფილოსოფოსის ლამეტრის გავლენით, ადამიანის როგორც მანქანის გაგება ფართოდ იყო გავრცელებული. უპირობოდ იღებდა საფრანგეთის რევოლუციას, ფიხტე სასტიკი წინააღმდეგი იყო ამ რევოლუციასთან დაკავშირებული ყოველი თეორიის, რომელიც ადამიანის თავისუფლებას უარყოფდა. პირველსავე ნაშრომში. ფიხტე უარყოფს არა მარტო იმას. რომ ადამიანი მექანიკური მანქანაა, როგორც ამას ლამეტრი ამტკიცებდა, არამედ იმის ცდასაც, რომ იგი „მორალურ მანქანად“ იქნეს წარმოადგენილი.⁶ ამგვარი გაგების საფრთხე არსებობდა თუ კანტის თეორიას სათანადოდ ვერ ჩანვადებდნენ. ადამიანი არა მორალური მანქანა არ უნდა იყოს. ამტკიცებდა ფიხტე. თუ აღამიანს უნისაწარმავს მინერული ღმერთისაგან მორალური პრინციპები, ისე, რომ მათ დადგენაში და განხორციელებაში ადამიანის მორალური ნება არაა მთავარი და გადამწყვეტი, მაშინ იგი არც თავისუფალია და არც მორალური.

1798 წ. „ფილოსოფიურ ჟურნალში“, რომელიც ფიხტეს ფილოსოფიის პოპულარიზაციას ეწეოდა, დაიბეჭდა ფიხტეს მიმდევრის ა. ფორბერგის წერილი — „რელიგიის ცნების განვითარება“, რომელიც ათეისტური აზრები იყო გამოთქმული. ფიხტე სიფრთხილისათვის იქვე ამბობდა თავის ნარკვევს: „სამყაროს დეტალებზე მანათლებლობა ჩვენი რწმენის საფუძვლის შესახებ“. ფიხტე აცხადებს, რომ უქვეყნად მიაჩნია ღმერთი ანუ სამყაროს მორალური წესრიგი, „რომელიც ყოველ გონიერ ინდივიდულუმს თავისი ადგილი აქვს“ მიჩნეული. თავად ჩვენი სამყარო კი არაფერია თუ არა „ჩვენი ვალდებულების გაგრძობადებული მასალა“. მის აზრით, ქმშმარტივი ათეისტობა და უღმერთობა იმაში მდგომარეობს, რომ „ადამიანი ბრძნობს თავისი მოქმედების შედეგებზე და სინდისის ხმას მანამდე არ სურს დაემორჩილოს, სანამ შედეგს გაითავალისწინებდა“.⁷

სწორიხილედ არ უშველა. აშკარა იყო, რომ ღმერთის ამგვარი გაგება არ შესაბამებოდა ოფიციალურს. ფიხტეს კვლავ გაუხსენეს საფრანგეთის რევოლუციის სასარგებლო აუცილებელი. დაიწყო ე. წ. კამათი ათეიზმის თაობაზე. ამგვარად შეტევა უფრო კარგად იყო მომზადებული. გამოქვეყნდა კანტის



წერილი, სადაც კენიგსბერგელი ბრძენი უარს ამბობდა იმაზე, რომ ფიხტეს ფილოსოფია მისი მოძღვრების განვითარებად ყოფილიყო მიჩნეული. ეს იმ დროს, როცა ფიხტეს ხაზს უსვამდა, რომ მის ფილოსოფიაში არაფერია ისეთი, რაც კანტის მოძღვრებაში იყო იგულისხმებოდა. ფიხტე ფიქრობდა, რომ მოხუცი კანტი ნააქებეს მის წინააღმდეგ გამოქვეყნდა აგრეთვე. წერილი „სტუდენტის მიმის“ მიერ ხელმოწერილი, რომელშიც აღმოვაჩინებთ იყო გამოთქმული იმის თაობაზე, რომ ქრისტიანულ უნივერსიტეტში ფიხტეს ათეისტურ ფილოსოფიას ასწავლიან.⁸

ფიხტეს თავდაცვას იმედინად იხედავს. აქვეყნებს „აველიციას საზოგადოებისადმი ათეიზმში პრადემის სანაწინააღმდეგოდ“, რომელსაც ირონიულ ეპიგრავს ურთავს მთავრობისადმი: „გოსოვიც, ეს ნაწრომი მანამ წაიკითხოთ სანამ აკრძალავდეთ“, „მთავრობის მანამო კოლეგიის მიერ ჩემთვის ათეიზმის დაწარლება გაუგონარი და საშინელია“, — აცხადებს ფიხტე. საზოგადოებაში აქა-იქ უყვე გასმის უმკაცროდონ ხმები და „მე ჩემი ეპოქის ღირსებისათვის შეუძლებელი ვიცი, რომ თავისუფალ მოაზროვნეთაგან არავინ გამოვიდეს ჩემს დასაცავად“. „უღმერთობის ბრალდებისას გაჭურვება ყველაზე დიდი უღმერთობაა“. ღმერთის რწმენა ფიხტესათვის ადამიანის ის სპეციფიკაა, რომელიც მას ცხოველისაგან განასხვავებს. ფიხტე არ უარყოფს იმას, რომ ღმერთი „საგვარად შუას წარმოდგენილი, ვიდრე ღმერთის ბიბლიაში დახატული წვერიანი მოხუცია. ფიხტესათვის „რელიგია და მორალურება აბსოლუტურად ერთი და იგივეა. ორივე მორალურობის წლებოდა: ერთი რწმენით, მეორე — საქმით. რელიგია მორალურობის გარეშე ცრურწმენაა, რომელიც უკეთურთ ყალბი იმედით ატყუებს და მათ ყოველი გაუმჯობესების უნარად თვლის“.⁹

ამ ბრძოლაში ფიხტეს ძალიან გაუჭირდა. მას პრინციპული უკანდახევაც მოუხდა, მაგ., უარი თქვა საფრანგეთის რევოლუციისათვის მხარდაჭერაზე. იგი თითქოს გამარჯვებული გამოვიდა ამ ბრძოლიდან, როგორც ამაში საკუთარ თავს და მსმენელებს არწმუნებდა-მოგვიანებით ლექციებში — „ნეტარი ცხოვრების შესახებ“ (1906 წ.) — მაგრამ მის კამათი ფაქტურად გარდატეხის პუნქტი იყო მის ცხოვრებაში. მას მოუხდა იენის უნივერსიტეტიდან წასვლა, რაც მთავარია. მას ეკარგება რწმენა ფილოსოფიის ძლიერებაში და ფაქტურად რევოლუციონერიდან შემეფიქრებელ პროცესორად იქცევა. ამის შემდეგ ფიხტე ასცილდა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის განვითარების შარავსას. მას ფიხტესადე მოძღვრების საფუძველზე მონაგზი და შემდეგ ჰეგელი დაადა. იენიდან წასული ფიხტე ბერლინში თანდათან უახლოვდება მთავრობას, ხდება ბერლინის უნივერსიტეტის (დაახლ. ვ. ჰუმბოლდტმა 1809 წ. 18 აგვისტოს) პირველი არჩევითი რექტორი. ფიხტეს სამაგალიტო პატრიოტიზმი ნაპოლეონის მიერ ბერლინის ოკუპაციის დროს, ასევე მისი აქტიური მონაწილეობა განმანათლებლურ ფიხტე ბრძოლაში მის სახელს ნაციონალური გამირის დიდებით მოსახს. ასეთია სქემატურად, ფიხ-

ტეს სახე, როგორც იგი სხვადასხვა დროს შეიძლება დადგინათ თანამედროვეებს. ამჯერად ჩვენ განვიხილავთ ფიხტეს შეფასება გოეთეს მიერ და „ფაუსტში“, როგორც დაშინდელი გერმანიის კულტურის განვითარების მატრიანში, მისი ასახვა.

ეს საკითხი ახალი არაა და თითქოს არც საკამათოა. 1954 წ. ჰ. ცელტნერმა თავის მონოგრაფიაში — „შელინგა“, აღნიშნა, რომ გერმანული იდეალიზმი თანამედროვეობის მიერ არ იყო სწორად გაგებული, მისი ნამდვილი შინაარსის მაგიერ ხშირად მისი კარიკატურული სახე ვიკცვლდებოდა. „შედეგ გოეთემ ამგვარად ამოიღო მიხანში ფიხტეს მოძღვრება და განსაკუთრებით ბაკალავრის სახით, „ფაუსტის“ 11 ნაწილში ფიხტეანელის კარიკატურა შექმნა“¹⁰. ამის მეტი არაფერია ნათქვამი. ცელტნერი, ალბათ, საკითხს საესტეში ნაღობად თვლიდა. მართლაც ფილოსოფიის ისტორიკოსისათვის საკმარისია „ფაუსტის“ შესაბამისი აქტის დავიკცვრებით ნაკითხვა. რომ მან ბაკალავრში ფიხტეს ან ფიხტეანელის კარიკატურა დაინახოს. ამას თითქოს, გოეთილოგთა უმრავლესობაც აღიარებდა. 1962 წ. „ფაუსტის“ ქართული თარგმანის რედაქტორები (დ. ლაშქარაძე და ო. ჯინორია, მთარგმნელი დ. ონიანური) აღნიშნავენ, რომ „ვალპურგის ღამის ზმანებაში“ ფიხტე გამოყვანილია „იდეალისტის“ სახით. ასევე ბაკალავრის სახეშიც, სადაც გოეთემ „გადაკრა ფიხტესა და შელინგს, რომლებიც უარყოფდნენ ემპირიული ცდის მნიშვნელობას და აღიარებდნენ ქვეცნობიერ ინტუიტიურ აზროვნებას“. ასევე საკითხი გაგებული „ფაუსტის“ 1971 წ. გერმანული გამოცემის კომენტარებში: „იდეალისტის“ ფიხტე, ხოლო ბაკალავრში ფიხტე და შოპენჰაუერი იგულისხმება. აქვე მითითებულია, რომ გოეთე ეკარგებთან საუბარში არ ეთანხმებოდა ბაკალავრის ამგვარ ინტერპრეტაციას.“¹¹ ასეთივე გაგება „ფაუსტის“ უახლეს რუსულ გამოცემაშიც.¹²

გოეთილოგთა მნიშვნელოვან ნაწილს არ სურს ამ ადგილის გაგებაში გოეთეს მითითებას გადაუხვიოს. გოეთე კი კატეგორიულად უარყოფდა ბაკალავრის სახის არა თუ ფიხტესთან, არამედ, საერთოდ. გერმანული იდეალიზმთან დაკავშირების შესაძლებლობას. ამ გზას ადგია ისეთი ავტორიტეტული გოეთილოგი, როგორცა ტრუნცი. იგი ფიქრობს, რომ აქ იგულისხმება საერთოდ ახალაზროვნის პრეტენზიულობა, რომელიც გამოვლინდა განმანათლებლურ ბრძოლაში და მომდევნო წლებში.¹³

ამდენად საკითხი კვლავ ღიად რჩება. ამ წერილის მიზანია პირველი ბანაკის არგუმენტებს ორიოდ საბოლოო მიყვებატორი, რომელთა გაუთვალისწინებლადაც „ფაუსტის“ შესაბამისი ნაწილის ზოგი აზრი გაუგებარი რჩება, რაც რუსულ და ქართულ თარგმანებსაც დაატყო. მე მხედველობაში მაქვს კანტისა და ფიხტეს დამოკიდებულება XVIII ს. ბოლო წლებში და ფიხტეს ფიხტე გარშემო ატეხილი კამათი ათეიზმის თაობაზე. სამუშაო შიპოთეზის სახით „ფაუსტის“ შესაბამისი აქტში ბაკალავრის ადგილას ფიხტეს ჩავსვამთ, ხოლო მეფისტოფელის ადგილას — კანტს.

როდესაც ეკერმანი 1829 წ. 16 დეკემბერს გოეთეს შეეკითხა: „ბაკალავრი იდეალური ფილოსოფოსების გარკვეული წრე ხომ არ იგულისხმებაო“, გოეთეს შე- იძლება ითქვას, საუჭროდ კატეგორიული არათი უპასუხა. იგი იმაზეც კი არ იყო თანახმა, რომ კაცს ამის დაშვების უფლება ჰქონდა. ესაა „პერსონიფიციერბელი პრეტენზილობა“, უპასუხა ხანა, რომელიც „განსაკუთრებით ახალგაზრდობას ახასიათებს. ჩვენ ჩვენი განმსათავისუფლებელი ბრძოლის მომდევნო წლებში ამის თვალსაჩინო საბუთი მივიღეთ. ახალგაზრდობის ასევე ფიქრებს, რომ სამყარო საკუთრივ მისით იწყება და რომ ყოველივე მხოლოდ მისი გულისათვის არსებობს. გარდა ამისა, აღმოსავლეთში მართლაც არსებობდა კაცი, რომელიც ყოველ დილას თავის ქვეშევრდომებს შემოიკრებდა და სამუშაოზე მანამ არ გაუშვებდა, სანამ, მისი მოთხოვნით მზე არ ამოვიდოდა. მაგრამ იგი იმდენად ჭკვიანი იყო, რომ ბრძანებას მანამ არ წამოითქვამდა, სანამ მზე თავად არ იქნებოდა მზად ამოსასვლელად“.¹⁴

შესაძლებელია, ხელოვანმა შექმნას სახე ისტორიული პროტოტიპის გარეშე, მაგრამ თუ ისტორიული სინამდვილე გვაძლევს ამ სახის გარკვეული ახსნის შესაძლებლობას, მასზე, ცხადია, უარია არ უნდა ითქვას. მით უმეტეს, თუ გარკვეული შტრიხები პირდაპირ სინამდვილიდან ამოღებული ჩანს და მისი სხვაგვარი ახსნა შეუძლებელია ძალდატანების გარეშე. ბაკალავრი კარიკატურაა, მაგრამ ოსტატის მიერ შესრულებულ კარიკატურაში შეუცდომლად იცნობა ხოლმე შესაბამისი პიროვნება. ამისათვის, ბუნებრივია, ამ პიროვნებას უნდა ვიცნობდეთ. ბაკალავრის გასაგებად საჭიროა მოიძებნოს საკუთარ სიზარალეში საცხებით დარწმუნებული ლექტორი, რომელიც სტუდენტებთან სრული თანხმობით მოქმედებს, მაგრამ უპირისპირდება ტრადიციას და ოფიციალურ ვითარებას. ასეთი ლექტორი ფიხტე იყო. საიდუმლო არც ისაა, რომ მან იენასა და ვაიმარში გავრცელებული იყო ფიხტის ფილოსოფიის ისეთი გაგება, რომელიც ბაკალავრის აზრებს მოგვაგონებს. თანაც ამგვარი გაგება გოეთეს უახლოეს მოგობრის, შილერის მხარდაჭერით სარგებლობდა. როდესაც ფიხტეს „მეცნიერების მოძღვრება“, სადაც მტკიცდება, რომ ყოველივე არსებული „მე-ს“ პროდუქციაა, რომ სავანე უდრის ცნებას საგნის შესახებ, გამოქვეყნდა, შილერმა იხუმრა: „საინტერესოა, როგორ ითმენსო ამას ექლბატონი ფიხტე. ეს გამოთქმა ძალზე გაცრცელდა და განამტკიცა ის ზედამართული შეხედულება, რომ ფიხტის მოძღვრებაში „მე-ს“ ქვეშ ემპირიული სუბიექტი იგულისხმება. 1794 წ. 28 ოქტომბერს შილერი წერდა გოეთეს: ფიხტეს თანახმად „ყოველი რეალობა მხოლოდ მეშია. სამყარო მისთვის უბრალო ბურთია, რომელსაც „მე“ გადაადგავს და შემდეგ რეფლექსით ხელახლა იჭერს. ამრიგად, მან ლვათაბას ისეთი სახე მისცა, როგორსაც ამ ცოტა ხნის წინათ ველოდი“.¹⁵

როგორც ჩანს, გოეთეს და შილერს ჰქონდათ საუბარი იმაზე, რომ ფიხტე ათეისტურ დასკვნებამდე მივიდოდა. 1795 წ. 27 ივნისს შილერმა თავად ფიხტეს გაუგზავნა შენიშვნები ნაშრომზე — „ქვეშარბიტების

წმინდა ინტერესის გამოცოცხლების და ამაღლების შესახებ“. ფიხტე გულნატკენი პასუხობს მისთვის მათავეყნებულ პოეტს, რომ მას ნაშრომის იდეა სრულიადც ვერ გაუგია და უაზრობებს მიანერს ავტორს.¹⁶ შილერთან დაძაბული ურთიერთობა, რიგორც ჩანს, გაგრძელდა და ათეიზმის თაობაზე კამათიც იჩინა თავი. 1799 წ. ფიხტე შესჩინა შილერის მეგობარ კ. ლ. რაინჰოლდს: „ჩემს საქმეში შეღინჯი (რომელიც არ ეკუთვნოდა იმით, ვინც მხარდაჭერას მიმრდებოდა) კეთილშობილურად მოიქცა, შილერი სამარცხვინოდ“.¹⁷

ფიხტე საკუთარ შევიწროებას აღიქვამდა, როგორც საერთოდ თავისუფალ მოაზროვნეთა წინააღმდეგობისთვის. როცა თანამოაზროვნეებთან ისეთი აქტიური დახმარება ვერ მიიღო როგორსაც მოელოდა, საფრანგეთში აპირებდა წასვლას.¹⁸ თანაც ნატკობდა: ნეტავ ფრანგებმა რეფლექსივად გერმანიაშიც გაავრცელონ.¹⁹ სიფრთხილსაც არ ეცინებოდა: როცა ბაკალავრი, რომ ცნობილი ფილოსოფოსი ფ. შ. იაკობი მის შესახებ წერილის გამოქვეყნებას აპირებდა და მის მოძღვრებას ათეისტურად თვლიდა, საერთო მეგობარს წერილი მისწერა, რომელშიც თხოვდა, რომ მართალია, იაკობს აქვს ამგვარი მტკიცების გარკვეული საფუძველი, მაგრამ ნუ გამოაქვეყნებს, რადგან ცუდად დაიგებოდა.²⁰

ფიხტეს მთავარი მდევნელია სახელმწიფო მინისტრი ქრ. გ. ფიოტიტი, გოეთეს მეგობარი. ამ პერიოდში აშკარა ფიხტეს უკმაყოფილება გამოეთქვა და შილერი. ერთ-ერთი წერილში იგი მათ, პირდაპირ, დესპოტიზმის და უსამართლობის მომხრეებად თვლის.²¹

გოეთესათვის ფიხტე ამ დროს იყო სახელმწიფოს სიმშვიდისათვის შეუფერებელი ფილოსოფოსი, სტუდენტებისა და კოლეგების თავყანისცემით გათამაზებული პროფესორი, რომელიც იმუქრებოდა, რომ იენიდან მისი წასვლით უნივერსიტეტი დაიხრებოდა, რადგან გაკვეთილდნენ სტუდენტებიცა და გამოჩენილი პროფესორებიც.²² ფიხტე წავიდა, მაგრამ არავინ გააყოლია, თუმცა იენაში მისი დატოვების თხოვნას ადგილზე მყოფმა თითქმის ყველა სტუდენტმა (288 კაცმა) მოაწერა ხელი.²³

გოეთეს აზრით ფიხტემ კანტის ფილოსოფიის ძირითადი დებულებები უკიდურესობამდე განავითარა. გოეთემ და შილერმა ისედაც დაგვიანებით ცნეს კანტის მოძღვრება და მის ასე რადიკალურ გარდაქმნასთან შერიგება გაუჭირდათ. ფიხტე მათთვის ისაა, ვინც „აზროვნებაზე აზროვნებს“ და ამდენად არაკონერულ საქმეს ეწევა. გოეთესათვის, ცხადია, ცნობილი გახდა, რომ მას შემდეგ, რაც 1799 წ. 7 აგვისტოს ლია წერილით კანტმა უარი თქვა იმაზე, რომ ფიხტე მისი კანონიერი მემკვიდრეა, ფიხტემ რამდენიმეჯერ უპატივცემულოდ მოიხსენია მასწავლებელი. მან შელინგს მისწერა, რომ კანტი ახლა ღრმად მოხუცია და არ შეუძლია საცხებით ახალი საკულტურა გაეგოსო.²⁴ ამავე წელს შილერს არწმუნებდა: „კანტის ფილოსოფია თუ მას ისე არ გავიგებთ როგორც ეს ჩვენ გვესმის, ტოტალური უაზრობაა“... კანტმა დღეს „თავის ფილოსოფია არ იცის და არც ესმის“.²⁵



ზოგი ნამდვილი ფაქტის მოშველიებით, ზოგჯერ ტყუილთა, მოწინააღმდეგეებმა შესძლეს ფიხტესათვის სახელის გატეხა. რაინპოლდის მოწაფე განათლებული იურისტი ანსელ ფოერბახი ამ დროს ფიხტეს „ამორალურ ადამიანს“ უწოდებს. ორი წლის შემდეგ გაერკვა ვითარებაში და უკან წაიღო თავისი ბრალდება.²⁶ ამავე 1799 წ. პაული პროფესორი, კანტიანელი ტიფტურნიკი ლაპარაკობს ფიხტეს „უზრდელ პრეტენზიებზე“²⁷ და სხვ.

მოკლედ, ამ პერიოდში გერმანული ინტელიგენციის ფართო წრეებში გაერცვლებული იყო ფიხტეს შესახებ წარმოდგენა, როგორც თავდაჯერებულ, სტუდენტების სრული მხარდაჭერის მქონე მეცნიერზე. რომელიც სხვებს არაფრად აგდებს, უძველად მხოლოდ თავისი მოძღვრება მაჩინია,²⁸ მოუწოდებს სამყაროს გარდაქმნისაკენ და წარმატებაშიც დარწმუნებულია. სწორედ ასეთია ბაკალავრი გოეთეს „ფაუსტში“.

ასეთი სახე გამოდგებოდა გერმანიაში 1812 წ. ომის შემდგომი სტუდენტური მოძრაობის გამო შექმნილი სიტუაციის დასაბასათებლად, რაზეცად, როგორც ვნახეთ, გოეთე თავად მიუთითებდა. მიუხედავად ამისა, ბაკალავრის კონკრეტული თვისებების პირველწყაროდ მაინც ფიხტე და მის გარშემო 1799 წ. შექმნილი სიტუაცია უნდა ჩაითვალოს. სხვა შესაძლებელი კანდიდატი „ბაკალავრობაზე“, ერთი უსტადიტი, შეიძლება იყოს იენელი პროფესორი, კანტიანელი ი. გ. ფრიხი. იგი უნივერსიტეტიდან დაითხოვეს სწორედ სტუდენტებთან კავშირისათვის. ვარტბურგის 1818 წ. 18 ოქტომბრის ზეიმში მონაწილეობის გამო. ვარტბურგში გერმანული სტუდენტები შეიკრიბნენ 1517 წ. 31 ოქტომბრის ლუთერის ცნობილი თეზისების და 1814 წ. 18 ოქტომბერს ლაიპციგთან მომხდარი ხალხთა ომის მასაგონებლად. მიზანი გერმანიის გაერთიანება იყო. გოეთე ძალზე უარყოფითად აფასებდა ამ მოძრაობას. სტუდენტებს მიმხრობილ პროფესორებს მოურიდებლად ვირებს უწოდებდა. ფრიხის იენიდან დათხოვნაც უიმისოდ, ალბათ, არ მოხდებოდა. მაგრამ ფრიხი მაინც არ გამოდგებოდა ბაკალავრის პროტოტიპად. მისი ფილოსოფია სულ სხვა ტიპისაა. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ ფრიხი ემპირისტი იყო და თავისთვის ნიუტონის არსებობას აღიარებდა. მას სურდა კანტის საფუძველზე ახალი ემპირისტული ანთროპოლოგია აეგო.²⁹ სასიათთაყ სახეებით განსხვავებული იყო გოეთეს პერსონაჟისაგან.

შევეცადოთ ბაკალავრის და მეფისტოფელის დიალოგში გავერკვეთ ჩვენი დაშვებიდან გამომდინარე: ბაკალავრი ფიხტეა, ხოლო მეფისტოფელი „ფაუსტის“ ამ დღეობა ზოგჯერ ისეთ რაიმეს უებნება ბაკალავრს, რაც მხოლოდ კანტს შეეძლო ეთქვა ფიხტესათვის, როგორც უმაღლური მოწაფისათვის. აქ მეფისტოფელი ბაკალავრის მაქსიმიზმის ფონზე ტრადიციის დამცველი გამოდის. იგი კეთილცოცხა და გულწრფელიც. ძალზე განსხვავებულია იმ მეფისტოფელისაგან, რომელიც ბაკალავრს სტუდენტების დროს ესაუბრა. ორივენი იგონებენ პირველ შეხვედრას, მაგრამ რაღაც სხვა სინამდვილესაც გულისხმობენ, ურთმლისოდაც მათი საუბარი გაუგებარია. ეს სხვა სინ-

ამდვილე სწორედ კანტისა და ფიხტეს დამოკიდებულებაა.

„ფაუსტის“ II ნაწილის II აქტში ბაკალავრი შემოიჭრება საყვედურებით, რომ მასწავლებლები ასწავლიდნენ იმას, „რისიც თავადვე არ სჯერათათ“, რომ მას მასწავლებელი მარჯვედ ეჩვენებოდა, როცა ჯერ კიდევ მოუწმიფებელი იყო, რომ იგი წინ წავიდა, განთავისუფლდა „აკადემიური“ ასაკიდან, მასწავლებელი კი იგივე დარჩა.³⁰ მეფისტოფელის პასუხი: „მე მიხარია, რომ ზარით მოგიხმეთ“ (hergeläutet) რაც ფაქტურ ნინამავალ პროცესს (ზარის დატყვევებას) შეესაბამება, გულისხმობს მეორე არსსაც: „მე მიხარია, რომ თქვენ სახელი გაითქვით“, რასაც ეთანხმება მომდევნო სტრიქონის შინაარსიც. „მე თქვენ მაშინ მცირე შეფასება როდი მოგეცით“³¹ სასივთაოა, როდის იყო ეს „მაშინ“? პირველი შეხვედრის დროს ხომ მეფისტოფელი უწყალოდ დასცინის მოწაფეს. II ნაწილის II აქტში მეფისტოფელის სიტყვები წარმოადგენენ 1792 წ. გახსენებას, როცა სასესიო უცნობი და ეკონომიურად დიდ გასაჭირში მყოფი ფიხტეს ნაშრომი კანტის მოწონდა და მისი ენერგიული დახმარებით ერთბაშად მოხვდა გერმანიის უმნიშვნელოვანეს ფილოსოფოსთა რიგებში. ეს სწორედ კანტმა გამოიწინა, მეფისტოფელის სიტყვებით რომ ვთქვათ. ჭებრში მომავალი პეკუა. მომდევნო სტრიქონებზე ფიხტესა და კანტის მიმართობის თავისებურის ასახვაა.

აქ ნახმარია სიტყვა „ახსოლუტი“, რომელსაც კანტი თავის თეორიულ ფილოსოფიაში ძალზე ერიდებოდა. როგორც ტრუფლე აღნიშნავს, ეს სიტყვა იდეალისტურ ფილოსოფიაზე მიანიშნებს, რომელიც 20-იანი წლების დასაწყისში დაეუფლა ახალგაზრდობას, გამოცდებებსა და ემპირიის უმნიშვნელოდ რომ მიიჩნევდა.³² ბაკალავრი მიუთითებს, რომ მას ახალგაზრდობის იმედი აქვს, რომელსაც ძველი მოძღვარი გზას უზნევდნენ, არ ეუზნებოდნენ ჭეშმარიტებას. საზგასმით უნდა ითქვას, რომ ისეთი იდეალისტი ფილოსოფოსი, რომელიც ბაკალავრივით დაინტერესდა მტკიცებას, რომ „სამყარო არ არსებობდა სინამ მე არ შექმნიდი“³³, არ იყო პოპულარული 20-იან წლებში. ამ დროს განუყოფელი ბატონობა პეკელის იდეალიზმს ეკუთვნოდა, რომელსაც ამგვარ რაიმეს კარიკატურაშიც ვერ დავაზარლებთ.

ბაკალავრის სიტყვები იმის თაობაზე, რომ ახალი დრო დადგა, რომ ორზობიანი სიტყვები არაა საჭირო, საჭიროა მოქმედება, რომ „დღეს ველარჰინ ბედის ახალგაზრდობის მოტყუებას“, ასახავს XVIII ს. ბოლოს იენში ფიხტესა და სტუდენტების დამოკიდებულებას. იგი, როგორც მზა სახე, შეიძლება მოერგოს XIX ს. 20-იანი წლების მოძრაობასაც. მაგრამ ამ დროს არ შეიძლება წარმოშობილიყო. ამის სასარგებლოდ კიდევ ერთი, და ვფიქრობ, გადამწყვეტი საბუთი არსებობს. ანუ ამ დიალოგში ნახსენები მრავალი მივარის და მზის სახის წყარო.

„ფაუსტის“ კომენტატორები, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ დიალოგს იმ ნაწილს, სადაც მეფისტოფელი არწმუნებს ბაკალავრს, რომ ახალგაზრდობას დრო უნდა მოსამა-



გრებლად. ისინი შემდეგ თავად მიხედვიან ყველაფერს, მაგრამ არ უნდა იფიქრონ, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ მათი გონების მონაპოვარია და რომ „მოძღვარი სულელი იყო“.³⁴ სწავლასაც თავისი დრო აქვს და მასწავლებლობასაც, განაგრძობს მეფისტოფელი, თავად თქვენ, გეტყობათ, მზად ხართ მასწავლებლობისათვის, რადგან „მრავალი მთვარის და მზეთა რიგის შემდეგ, თქვენ დიხაჯ მდიდარ გამოცდილებას შეიძლებოდა. თქვენს აზრი მხოლოდ კონტრესტიდან გაუგებარია. იგი არც სამყაროს შემქმნელი აბსოლუტური მეს შესახებ დებულების გასაკვირვებლად საჭირო. აღბათ ამის ბრალია, რომ ჩემთვის ცნობილი ყველა თარგმანში ეს ადგილი გაუგებარი რჩება. მთარგმნელნი ან გამოტოვებენ ამ სახეს, როგორც ამას პასტიერნაკი აეთვებს,³⁶ ან სავსებით უბრალო შინაარსით გადმოგვცემენ. სადაც სავსებით იკარგება ის მოულოდნელობა და გაკვირება, რომელსაც ეს ადგილი დედანში იწვევს. ს. სოკოლოვის პროზაულ თარგმანში ვკითხულობთ: „მზისა და მთვარის რამდენიმე შემობრუნება საკმარისი იყო თქვენთვის. ყველაფერში გამოცდილება რომ შეგქცინათ“.³⁷ აქ დედნის რამდენიმე მზე და რამდენიმე მთვარე შეცვლილია მზისა და მთვარის რამდენიმე შემობრუნებით. როგორც ჩანს, მთარგმნელი ან სიტყვების აზრს სხვაგვარად გაუგებრად თვლიდა. ასევე იქცევა ქართველი მთარგმნელი: „მზისა ამდენი შემობრუნება, ვფიქრობ, შეგქცნდათ გამოცდილებას“³⁸ ეუბნება მეფისტოფელი ბაკალავრს. მაგრამ ბაკალავრი ხომ სავსებით ახალგაზრდაა, მზისა და შემობრუნებათა რიცხვზე შეიძლება ყოფილიყო ლაპარაკი? კომენტატორებშიც მხოლოდ იმაზე მიუთითებენ, რომ ბაკალავრი არ აფასებს გამოცდილებას, ემპირიას, რაც ამ ადგილის გარეშეც აშკარა იყო. კიდევ უფრო დაშორებულია ტექსტს ნ. ხოლოდკოსკის თარგმანი.³⁹

იქნებ ეს სახე — „მრავალი მთვარის და მზეთა რიგი“ უაზროა და არაფერზე არ მიუთითებს? გოეთეს აგან ეს ძნელი დასაშვებია. იგი აქ, როგორც მას ჩვევია, ისტორიულ ფაქტზე მიუთითებს. აღნიშნული სიტყვები, რომელთაც მეფისტოფელი-კანტი ირონიულად ეუბნება ბაკალავრს, თითქოს რაღაცას მიუთითებს, რაღაცას გაახსენებს ბაკალავრ-ფიხტეს. ეს მართლაც ასეა. სიტყვები მრავალი მზის შესახებ თითქმის ციტატაა ფიხტეს ნაშრომიდან, რომელიც მან იმ საბედისწერო 1799 წ. დაწერა. მას ეწოდება — „ი. ვ. ფიხტეს აპულაცია საზოგადოებისადმი მთავრობის განაწესით მისთვის ათეისტური დებულებების დაბრალების თაობაზე“.⁴⁰

ამ ნაშრომში ფიხტე ვრცლად ლაპარაკობს ადამიანის მორალური, „მე-ს“ მარადიულობასა და სიძლიერეზე. იგი მოუწოდებს ადამიანებს დასძლიონ ემპირიული და შემთხვევითი საკუთარ თავში და ამაღლდნენ საკუთარი „წმინდა ზნეობრივი ხასიათის შეგნებ-

ამდე... მაშინ დაინახათ, ვინ ხართ თქვენ, გაიგებთ, რომ ეს დედამიწა მთელი მისი მშვენიერებით რომელიც ბავშვური გულბრწყინობით უწყვეტად მიგაჩნიათ, ასევე ეს მზე და თბი ათასი მზე, მთელი ეს უნივერსუმი, რომლის უბრალო გახსენებაზე ცახცახებს თქვენი გრძნობადი სული... „ყოველივე ეს არაფერია, თუ არა თქვენივე შინაგანი მარადიულობის უბრალო გამოხატობა“.⁴¹ ამ სამყაროსთან ერთად იღუპება მხოლოდ თქვენი გრძნობადი მე. „მაგრამ ეს ტანი არ არის მე“. ზნეობრივი მე უცვლელი რჩება „მრავალი ახალი მზის სისტემის განადგურების შემდეგ“.⁴² აქვეა მიითთება, რომ ეს სამყარო როგორც გრძნობადი მხოლოდ „მეტერი და ნაცარია“⁴³ რასაც თითქმის ზუსტად იმეორებს ბაკალავრი გამოცდილების შეუახებისას.⁴⁴ ფიხტეს ეს ნაშრომი 1799 წ. ორჯერ გამოიცა და გოეთეს არ შეიძლება იგი არ სცოდნოდა. რადგან ფიხტეს ბრალდებასთან დაკავშირებული მასალები მას ოფიციალურადაც ეგზავნებოდა, როგორც მინისტრს.⁴⁵

ფიხტესა და გოეთეს შორის ურთიერთობა მალე მოწესრიგდა ფიხტეს იენიდან წასვლის შემდეგ. უკვე 1800 წ. 2 დეკემბერს ფიხტე შილერს მეგობრულ წერილს სწერს და პიირდება, რომ „მეცნიერების მოძღვრების“ ახალი დასაბუთების გეგმას ხელნაწერშივე გააცნობდა მას და გოეთეს.⁴⁶

ფიხტე, როგორც ზემოთ აღინიშნა, ბერლინში ოფიციალური ფილოსოფოსი ხდება. სამაგალითოა მისი პატრიოტიზმი. გარდაცვალების შემდეგაც მას დიდი პატივისცემით იხსენიებენ. მაგრამ 1799 წ. ათეიზმის თაობაზე კამათის დროს გოეთეს წარმოსახვაში შექმნილი ფიხტეს მოძღვრების კარიკატურა, როგორც ჩანს, მყარი გამოდგა და გოეთემ იგი ბაკალავრის სახით ჩართო „ფაუსტში“, როგორც მაშინდელი გერმანიის სულიერი ცხოვრების ერთ-ერთი ასპექტის გამომახტველი.

შენიშვნები:

1 ი. ფიხტე, წერილები. მ. ბუჩის გამოცემა. ლაიფციგი 1961 წ. გვ. 89 (გერ.).
 2 ფილოსოფია და პუბლიცისტიკა. ე. ლანგეს გამოცემა. ვაიმარი. 1978 წ. გვ. 45 (გერმ.).
 3 ათეიზმი, ტ. 1. ლაიფციგი, 1798. გვ. 5 (გერმ.).
 4 იქვე. გვ. 239.
 5 ფიხტეს შრომები. ტ. VI. ბერლინი 1971 წ. გვ. 346 (გერმ.).
 6 ფიხტეს შრომები. ტ. V. ბერლინი 1971 წ. გვ. 118 (გერმ.).
 7 იქვე. გვ. 185.
 8 იქვე. გვ. 34.

- 9 იქვე, გვ. 199.
 10 ბ. ცელტნერი, შელინგი. შტუტგარტი, 1954, გვ. 5. (გერმ.).
 11 გოეთე, ფაუსტი. ბერლინი-ვაიმარი. 1971, გვ. 709.
 12 გოეთე „ფაუსტი“. ბ. პასტერნაკის თარგმანი. ბ. 1979, გვ. 485.
 13 გოეთეს ფაუსტი. ე. ტრუნცის კომენტარებით. პამპურგი. 1968, გვ. 554. (გერმ.).
 14 ი. ბ. კერმანი, საუბრები გოეთესთან. ბერლინი, 1962, გვ. 436, (გერმ.).
 15 მ. პაიდევერი, შელინგის გამოკვლევა ადამიანის თავისუფლების ასის შესახებ. ტუბინგენი, 1971 წ. გვ. 228 (გერმ.).
 16 ი. გ. ფიბტი, წერილები, გვ. 128.
 17 იქვე, გვ. 194.
 18 იქვე, გვ. 192.
 19 იქვე, გვ. 188.
 20 იქვე, გვ. 197.
 21 იქვე, გვ. 187.
 22 იქვე, გვ. 208.
 23 იქვე, გვ. 195.
 24 იქვე, გვ. 201.
 25 იქვე, გვ. 203.
 26 ფილოსოფია და ჰუმანიზმი, გვ. 196.
 27 კანტი, ნაშრომათა კრებული, ტ. XIII, ბერლინი-ლიფციგ, 1922, გვ. 511.
 28 კარლინი შელინგმა ეპიკურაძე გააფრთხილა ფიბტეს თავდაჯერებულობაზე. შეტევა ისე ორგანიზებული ჩანდა, რომ ი. ბ. შადს (რომელიც შემდეგ ნაყოფიერად მოღვაწეობდა რუსეთში და ს. დიდაშვილზეც მოახდინა გავლენა) ყოველგვან შეთქმულებას შედეგად მიიჩნა. იხ. მისი წიგნი — „რელიგიისთან ფიბტეს სისტემის ანთოლოგიური პარამონია“ ვრდურტი 1802 წ. გვ. 22 (გერმ.).
 29 ე. კასირერი, შემეცნების პრობლემა ახალი დროის ფილოსოფიასა და მეცნიერებაში. ტ. III, ბერლინი, 1923 წ. გვ. 477 (გერმ.).
 30 გოეთეს ფაუსტი ე. ტრუნცის კომენტარებით. გვ. 206.
 31 იქვე, გვ. 206.
 32 იქვე, გვ. 554.
 33 იქვე, გვ. 208.
 34 იქვე, გვ. 207.
 35 იქვე.
 36 Гете И. В., Фауст, стр. 267:
 «У Вас есть опыт, так что Вам пора,
 По моему совету в професора».
 37 «Несколько солнечных и лунных оборотов было достаточно для приобритения вами опытности во всем». Гете И. В., Фауст, М., 1903, с. 193.
 38 გოეთე, ფაუსტი, თბილისი, 1962, II ნაწ., II მოქმ.
 39 Гете И. В., Фауст, Пер., Н. Холодковского, ч. II, М.-Л., 1936, стр. 96.
 40 «Прошло немного месяцев и лет, —
 И опытом изведали вы свет».
 41 ფიბტეს შრომები, ტ. V, გვ. 192-238.
 42 იქვე, გვ. 236.
 43 იქვე, გვ. 237.
 44 იქვე, გვ. 236.
 45 გოეთეს ფაუსტი... გვ. 207.
 46 რეალობიდან სახის ასე ზუსტი ვადალება გამონაკლისი არაა „ფაუსტში“. მაგალითად, „ვალპურგის ღამეში“ ჩვენ ვხედავთ პროტოფანტაზმისტის (სიტყვასიტყვით ნიშნავს საყოფიერ სულთამბილვეს), რომელიც ეშმაკისა და პოეტების დამლევაზე ოცნებობს. ამაზე მეფისტოფელი შენიშნავს: როცა წურბელა მოიღვინს მის საყდომზე, მაშინ განიკურნება იგი მოჩვენებებიდან და სულსა განუტყვევებს. ეს ადგილი გაუგებარი დარჩება, კომენტატორებს რომ არ დაეღვინათ, რომ იქ აქვთ სიმბოლო გოეთესა და შილერის მტერი განმანათლებელი ფ. ნიკოლი, რომელიც 1797 წ. ბერლინის აკადემიის სხდომაზე აღნიშნა, რომ მას მოჩვენებიანი, სტანჯადუნენ, სანამ ექიმმა საყოფიერ წურბელა არ დაასვა. იხ. გოეთეს ფაუსტი... გვ. 529.
 47 ი. გ. ფიბტი, წერილები, გვ. 238.

რუსთაშვილის თეატრი ქართული სასცენო ხელოვნების ტრადიციებისა და მაღალი დონის ერთ-ერთი უმძლავრესი გამომახტველია. ამ მიზლი დროს განიორციელებული არაერთი ბრწყინვალე დადგმით არა მარტო ყურადღების ცენტრში მოექცა, არამედ მან დიდად შეუწყო ხელი თეატრისადმი ქართველი საზოგადოების ინტერესის გამოოცხლებას, ხოლო შექსპირის ტრაგედიის დადგმით მსოფლიოს საუკეთესო დასთა შორის იქნა აღიარებული. დღეს ერთხელ კიდევ ნათელი გახდა, რომ ქართული თეატრის აღმავლობა ხშირად შექსპირის დრამატურგისთან იყო დაკავშირებული. ეს ბუნებრივია, ვინაიდან, როგორც ამბობენ, შექსპირი თეატრის შესაძლებლობების „სასინჯი ქვაა“. იგი იმიტომაც ერთ-ერთი ყველაზე ძნელად დასადგმელ დრამატურგი, რომ განსაკუთრებული რანგის მსახიობებს მოითხოვს, რომ აღიარებული ვეჭვით სარტყისორო აზროვნების დონეზე, მაგარმა რაც უფრო დიდად მიზანი, მით უფრო სასახელია მისი მიღწევა. ამ მხრივ რუსთაველის თეატრმა არაერთხელის ისახელა თავი.

ამ წარმატებებს ჰქონდა თავისი სპექტაკური, თვით ქართული სულის თავისებურებიდან გამომდინარე მიზნებშიც. რასაკვირველია, შექსპირი — მუდმივი თანამედროვე —

პამპური — უ. ჩხიძე



ჰამლეტიდან რიჩარდამდე

თამარ ნუცუბიძე

ყოველი ერისა და ყოველი თაობის ცხოვრებაში ახალ ელერადობასა და მნიშვნელობას იძენს. ის განცდები, რომელთაც იწვევს ამბავი იდეალური მიჯნურებისა — „რომეო და ჯულიეტა“, მამაკაცური თავმოყვარეობისა და რწმენის ტაძრის დაშლის ტრაგედია — „ოტელო“, პოლიტიკური ავანტიურის უსაზღვრო თარეში — „რიჩარდ III“ და სხვ. ტრაგედიები, სხვადასხვა სახით ახლოებული და გასაგებია ყოველი ეპოქისათვის. არაერთმა თაობამ „ჰამლეტის“ საშუალებით ადეკვატურად გამოხატა თავისი მდგომარეობა და თავისი ხედვები. მაგრამ ალბათ არ იქნება შეცდომა თუ ვიტყვი, რომ რუსთაველის რენესანსული იდეალებით გამომავალი ერისათვის არა მხოლოდ განსაკუთრებულად ახლოებული, არამედ ერთგვარად „ნაცნობიცაა“ შექსპირის დრამატურგიული სამყაროს იშვიათი ჰუმანიზმით აღბეჭდილი გმირული, რაინდული და რომანტიკული პათოსი და ტიტანური ენებათაღლევა.

ყოველი ერი და ყოველი ეპოქა თავისი ისტორიული გზის გამოცდილებათა პრიზმში გარდატეხს შექსპირს. ქართულ ხასიათში, ამ ხასიათის საფუძვლის დამდებ და განმსაზღვრელ საწყისთა შორის ბევრი რამ არის ისეთი, რაც ხელს უწყობს შექსპირის დიდ წარმატებას. შექსპირთან ზიარება ეს თითქმის შორეული, შემოვლილი გზებით მიახლოებაა თვით ქართული მსოფლგანცდის სათავეებთან და მის რთულ განფენასთან ისტორიისა და კულტუ-

რის ყველა სფეროში. „ვეფხისტყაოსნის“ — ამ მულდმივად მოქმედი ქართული ფენომენის ზნეობრივი კოდექსის შუქზე განსაკუთრებულ სიმძაფრეს იძენს ოტელოს ტრაგედიაც, ჰამლეტის ყოფნა-არყოფნის დილემაც და სხვა

ოტელო — ა. ხორავა



დიდი ტრაგედიების გმირთა იდეალური სრულყოფილებისა თუ მორალური დაცემის აზრი. არაა შემთხვევითი, რომ შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანები ქართული პოეტური ენის უყვადვი მატარებელია. აი ერთი მაგალითი ჰამლეტთან. „დიდი ბუნება მხოლოდ ტანით არ არის დიდი, მაღალ ტაძარში მაღალია სულიც კეთილბაძე“. აქ ყველაფერია — პათოსის ძალა, პოეტური სრულყოფილება, მუსიკალობა. შექსპირის დრამები მხოლოდ ამბავი და აზრები კი არ არის, არამედ დიდი პოეზიაცაა, რომელიც ამა თუ იმ სცენური ინტერპრეტაციისათვის შეიძლება მძლავრ იარაღად იქცეს.

თუ რუსთაველის თეატრის ახალი ეპოქის ისტორიას გადავხედავთ თავის — კოტე მარჯანიშვილის პირველი დადგმებიდან დღევანდლობამდე, აშკარად შევიძინებთ არა მხოლოდ შეუწუნებელ ინტერესს შექსპირის დრამებისადმი, არამედ მათი ხორცშესხმის ევოლუციასაც დროისა და ვითარების შესაბამისად.

რუსთაველის თეატრის შექსპირიანის ისტორიაში სამი საეტაპო დადგმა შეიძლება გამოვყოთ: პირველი ტრიუმფი კ. მარჯანიშვილის „ჰამლეტს“ უყავშირდება, მეორე მნიშვნელოვანი გამარჯვება ავ. ხორავეს მიერ განსახიერებელი ოტელოა, ხოლო მესამე და დღევანდელი ახალი ეტაპი „რიჩარდ III“-ის დადგმით აღინიშნა. ეს არის სამი ძალიან დიდი, განსაკუთრებული გამარჯვება ამ თეატრის წარმატებათა გზაზე; არა მხოლოდ სამი გამორჩეული ნიშანსეტიკი, არამედ სამი თვისებრივად განსაკუთრებული შემოქმედებით მიღგონა შექსპირის სამყაროს შესაცნობად. მათ მხოლოდ ერთი რამ აერთიანებდა: შექსპირული დრამატურგიის ახლებურად აქვრებისაკენ სწრაფვა, თუმცა ეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ორიგინალური და განუმეორებელია.

ეს სამივე შეხვედრა შექსპირთან სამუდამოდ ჩაიწერა ქართული თეატრის მატრიანეში. ლეგენდად დარჩა უმ. ჩხეიძისა და ავ. ხორავეს შექსპირული როლები. უთუოდ ასევე მოიგონებენ ჩხიკაძის რიჩარდს, რომელმაც თანაბრად შეძრა თბილისისა და ლონდონის მკურთხელები. ამას ხელს ვერ შეუშლის ის, რომ ზოგს შეიძლება საკამათოდ ეჩვენოს „რიჩარდ III“-ის ასეთი დადგმა. მაგრამ ეს ბუნებრივია, ვინაიდან კლასიკის და მეტადრე შექსპირის დადგმები, მაშინაც კი, როცა ისინი წარმატებას აღწევენ, ზნორად აზრთა სხვაობას იწვევენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რეჟისორი სითამამეს იჩენს, არ მიყვება მკაცრად პიესის ტექსტს და ისე იაზრებს მას, რომ სცენური ვარიანტი არ ემთხვევა მასუბრების ჩვეულ წარმოდგენას შექსპირული პიესებისა და საერთოდ ტრაგედიის შესახებ. სწორედ ასეთ დადგმათა რიგს განეკუთვნება

„ჰამლეტის“ მარჯანიშვილისეული და „რიჩარდ III“-ის სტურუს დადგმები. ვფიქრობთ, მასუბრების ჩვეული მართლდინი კიდევ უფრო თამამად არის დარღვეული სტურუს ნამუშევარში. პიტერ ბრუჯი ამ დადგმის „თავისუფალმა სტილმა“ მიიხიზლა.

შეიძლება ითქვას, რომ არსებობს დრამატურგიული კლასიკის ტრადიციული და არატრადიციული დადგმები. მაგრამ თავისთავად სიახლის მეტნაკლებობა როდესაც განაპირობებს დადგმის წარმატებას. მთავარია რამდენად სრულყოფილად არის გამოყენებული ესა თუ ის გზა კლასიკის დრამატურგის ჩანაფიქრის ხორცშესხმისათვის.

მარჯანიშვილის „ჰამლეტის“ შემდეგ შექსპირის პიესების დადგმები ქართულ სცენაზე („ოტელო“, „ჰამლეტი“, „მეფე ლირა“ — რუსთაველის თეატრში, „რიჩარდ III“, „პირველის მორჯულება“, „რომეო და ჯულიეტა“ მარჯანიშვილის თეატრში და სხვ.) მიუხედავად მათი მეტ-ნაკლები წარმატებისა, არსებობდა ტრადიციული გააზრებით ხასიათდებოდა. ამ ფონზე კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს რ. სტურუს მიერ დადგმული „რიჩარდ III“-ის გადაწყვეტის სიახლე.

რუსთაველის თეატრის სცენაზე შექსპირის სრულიად ახლებური და „თამამი“ გააზრების სათავესთან კოტე მარჯანიშვილი დგას. „ჰამლეტის“ დადგმის ნოვატორობას ბევრი შეცბუნებით შეხვდა. ვასული საუყუნის თეატრალურ ტრადიციებზე აღზრდილი მასუბრები მოულოდნელად „ჰამლეტის“ ისეთი რეჟისურის მოწმე გახდა, რომელიც მთლიანად არღვევდა ჩვეულ წარმოდგენას ამ ტრაგედიის შესახებ. მარჯანიშვილი „უბოდიშოდ მოეპყრო ყინარს, ფორმას, ტრადიციებს“ (თამარ ვახვაზიშვილი).

„შე სადაური ჰამლეტი ვარ?“ — ასეთი კითხვა დაუსვა უმანგი ჩხეიძემ მარჯანიშვილს. ჩაუვკვირდით ამ კითხვას უმ. ჩხეიძეს ამ გმირის ტრადიციული შესრულება ჰქონდა მხედველობაში და ამიტომ ვერ წარმოედგინა თავისი თავი დანის უფლისწულად. იმდროინათვის ჰამლეტს ჩვეულებრივ იაზრებდნენ ჰარბად ემოციურ, მეღანქოლოურ არისტოკრატად. ამ „არისტოკრატულ“ დახვეწილობას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ სარა ბერნარის რეპერტუარში ჰამლეტის როლიც შევიდა.

მარჯანიშვილის ყველაზე დიდი სიახლე ის იყო, რომ მან პრინციპულად უპარყო ჰამლეტის სახის დამკვიდრებული გააზრება. მის დადგმაში დანის მეღანქოლოური უფლისწული დაუახლოვდა თანამედროვე ქართველ ინტელიგენტს, რომელიც ორი ეპოქის მიჯნაზე ჰამლეტივით სამომქმედო გზათა როტულა არჩევანის წინაშე იდგა. ასეთ ვითარებაში

განსაკუთრებული აზრით გაისმა სცენიდან: „ყოფნა-არყოფნა...“

მარჯანიშვილმა და ჩხეიძემ გვიჩვენეს არა უფლისწული და შორეული ეპოქა, არამედ რთულ ისტორიულ სიტუაციაში მყოფი პიროვნების ხვედრი. უშ. ჩხეიძის „ბელ კანტო“ საშინელი ტრაგიზმით იყო აღმკვიდრი. შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ თემურ ჩხეიძის მიერ ახლახანს შექმნილ ვიდეოფილმში „ჯაყოს ხიზნები“ 20-იანი წლების ქართველი ინტელიგენტის — თიომურაზ ხევისთავის როლის შემსრულებელი ნ. მგალობლიშვილი თავისი ანთებული თვალებით და თამაშის მანერით უშ. ჩხეიძის პამლეტის ასოციაციას იწვევს. ორივე შემთხვევაში რთული დილემის წინაშე მყოფ ადამიანთა ხვედრის მოწმენი ვხვდებით. პამლეტეც და თეიმურაზიც მკვეთრად ხედავენ როგორ „ირღვევა დროთა კავშირი“. ორივე შეურაცხყოფილია, ორივეს ნათლად აქვს შეცნობილი შექმნილი ვითარების სირთულე, ორივე ხედავს ყოველივეს და ორივე გაუთავებლად მსჯელობს ამის შესახებ, მაგრამ საქმე არა სჩანს. არც ერთს არ შესწევს ძალა შეებრძოლოს მათ მიერ შეცნობილ „მოზღვავებულ უბედურებას“.

რიჩარდი — რ. ჩხეიძემ



რასაკირველია, მარჯანიშვილისეულ ახლო-ბურ ჯანაფიქრს, ირ. გამრეკელის „მოდერნიზმის ტული“ დეკორაციებს ფონზე თანამედროვე სული შთაბერა ქართულ სცენაზე მეტროპოლიტან შემოქროლმა გენიამ — უშანგი ჩხეიძემ. მისი ხმის ჩანაწერებით ფირზე ნათლად იგრძნობა, რომ მსახიობი თითქმის კი არ მეტყველებს, არამედ ტრაგიკულ არიებს მერის. საინტერესოა, რომ ჯონ გილვუდიც ასეთივე მანერით ასრულებს დანის უფლისწულის მონოლოგებს. სხვათა შორის, ეს „მუსიკალური“ შესრულების მანერა ქართულ სცენაზე შემდეგ აღარ განმეორებულა, თუ არ ჩავთვლით ისევ მარჯანიშვილის „ურიელ აკოსტას“ აღდგენილ დადგმას.

X საუკუნის თეატრის ისტორიაში კ. მარჯანიშვილმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა წარმატებით დაარღვია დრამატურგიის კლასიკის, კერძოდ, შექსპირის დადგმათა ის ტრადიციული მიდგომა, რომელსაც პიტერ ჰოლი „სამუხუმო სილს“ უწოდებს. „პამლეტის“ მარჯანიშვილისეულ დადგმაში იყო მრავალი „სადავო“ მომენტი, კერძოდ, პიესის ტექსტს რეჟისორი ერთობ თავისუფლად მოეცა... ამის გამო იმ დროს ბევრს კამათობდნენ, ბევრს მსჯელობდნენ. ეს აზრთა ცილობა მთლიანად დაფარა მხურვალე ოვაციებმა. ამ ანთებულ ცეცხლში დაიფერფლა უშანგი ჩხეიძე... წავიდა მარჯანიშვილი — მაგრამ რუსთაველის თეატრის ისტორიაში დარჩა დაუციწყარი ლეგენდა და სანიმუშო პრეცედენტი თანამედროვე თეატრის მხატვრული საშუალებებით შექსპირული შექერვალების დამპყრობთა შესახებ.

რუსთაველის თეატრის შექსპირიანას ისტორიის მეორე მნიშვნელოვანი ეტაპი იმ პერიოდში გზნებამ შეამზადა, რომლის სწავლასთან სანდრო ამბეტელი დგას. ორი ათეული წლის მანძილზე აკაცი ხორავას ოტელი არა მხოლოდ რუსთაველის, არამედ საერთოდ ქართული თეატრის ავტორიტეტისა და პრესტიჟის დამცველი ერთ-ერთი მთავარი ქმნილება იყო. მართალია, წმინდა რეჟისორული თვალსაზრისით „ოტელოს“ დადგმა რაიმე განსაკუთრებული ნოვატორიზმით არ გამოირჩეოდა, მაგრამ აქ სიახლე და წარმატების პირობა ის იყო, რომ ხორავამ წინ წამოსწია ევენციული მავრის არა ტემპერამენტი, არამედ მისი სულის კეთილშობილება. ამასთანავე შეუნარჩუნა ოტელოს ხასიათს ის „მამაკაცური ძალა“, რაც ნემიროვიჩ-დანიჩენკომ ხორავას ოტელოს დიდ ღირსებად მიიჩნია. სხვებისგან განსხვავებით, ხორავამ ითამაშა არა შვიი ურჩხულის ექვიანობის ტრაგედია, არამედ გვიჩვენა სიყვარულისა და ადამიანებისადმი რწმენის დამსხვრევის თავზარდამცემი საშინელება. მის შესრულებაში ძნელია გაარჩიო რაა უფ-

რო შთაბეჭდილი — ხმის ტემბრის ძალა თუ სკულპტურული პლასტიკა. არაა გამორიცხული ვიფიქროთ, რომ ზორაგას ოტელი იყო ვახტანგ კახეთუანის „ოტელს“ შთაგონების წყაროც. არც იგი ბევრია ქართული თეატრის ისტორიაში ისეთი სამსახიობო შესრულება, როცა რენესანსული სტილის სკულპტურული მოძრაობანი, ყოველი ექსტე და მიმიკა ეგზომ გამომსახველი ყოფილიყო, და როცა პლასტიკა თითქმის ტექსტის ტოლუას მნიშვნელობას იტენს, მისი სტატეკური დგომაც კი ოტელის ხასიათის ძალისა და რაინდულობის გამოვლენას ემსახურებოდა.

როგორც „ჰამლეტსა“ და „ოტელსში“, ასევე ქართულ სცენაზე დადგმული შექსპირის სხვა დრამებში რეჟისორული ხელწერილისა და სამსახიობო ხელოვნების დონისა და ნარაფერონების მიუხედავად, ყოველთვის შენარჩუნებული იყო შექსპირული პათოსი, რომელიც ეგზომ მძლავრად იგრძნობა მაჩაბლისეულ თარგმანებში. ამ ტრადიციისგან განსხვავებით რობერტ სტურუამ უარყო შექსპირის ტრაგედიის ზეაწეული ტონალობა. ამ ტონალობის „პედალიზაციის“ („დადაბლების“) საკურობამ განაპირობა მაჩაბლისეულ თარგმანზე უარის თქმა და პეისის ახალი, ნაკლებ პათეტიკური და უფრო „თანამედროვე“ და „პროზაული“ თარგმანის გამოყენება. და მართლაც, პათოსის, მუხუნვარების ნაცვლად მასურბეული ერთგვარი კომედიური იერის მქონე, ასე ვთქვათ, დამოწებული, გროტესკული სანახაობის მოწევი გახდა, ანუ იმისა, რასაც ლონდონის „ტიმისმა“ „ექსპრესიონისტული ფარისა“ უწოდა. რ. სტურუამ გადაუხვია არა მხოლოდ ტრაგედიის მთავარი გმირის, არამედ თვით ვანრის გააზრებასაც; — ტრაგედია თითქოს არატრადიციული საშუალებებით იქნა წარმოდგენილი.

ყოველი შედარება პირობითია, მაგრამ სტურუასეული დადგმის ყანრული ხასიათი თავისებურად გამოვლინდება თუ ერთმანეთის შევადარებთ ერთი მხრივ ვ. გომიამვილის და მეორე მხრივ რ. ჩხიკვაძის რიჩარდს. გომიამვილის რიჩარდი რომანტიკოსთა ბოროტი სულის ნიშნებითა აღბეჭდილია: იგი საზარელოცა — გარეგნობითაც და შინაგანდაც — და თან ამალეებულია, პათეტიკურია, თითქოს „არამიწერიკოცა“ და თავისებურად დიადიც რომანტიკული დემონიზმის სრული თარეშით. მას თავისი გარეგნობით რალაც საერთო ჰქონდა ვრუბელის დემონთან.

რ. სტურუამ რიჩარდის სახის სრული „დემონიზაციის“ მოახდინა. მან რიჩარდს — პოლიტიკური ავანტიურისმის ამ მძლავრ გამოხატულებას — მოხსნა გმირობისა და ამალეულობის შარავანდელი. რეჟისორმა თავის დადგამაში ის აზრი გაატარა, რომ არის

ეპოქები და სიტუაციები, როცა სიდიადე მოკლებულია ყოველგვარ გმირული შეფერილობას და მხოლოდ უარყოფითი ფორმით ვლინდება. სხვადასხვა თეატრალური ხერხით (კოსტიუმი, მუსიკა და სხვ.) რ. სტურუამ გააფართოვა დროისა და მანძილის თეატრალურის რისით შექსპირის ტრაგედიამ ჩაქსოვილ ზნობრივ კომპრომისთა, პოლიტიკურ კარეგის რისთა მიერ უქიდურესი სულიერი დაცემის შედეგად მიღწეულ წარმატებათა შინაარსი.

ამ დადგამაში რ. სტურუა გვიჩვენებს, რომ ეპოქებში, სადაც ეიარგება მკაცრი ზნობრივი კრიტიკიუმები და შეფლება სიმბალე, „სალი აზრის“ და ბოროტებათან შერიგებისა და შეგუების პოლიტიკა, იბადებინა არა გვირგვინი, არამედ ან რეგვენი პოლიტიკოსები (მეფე ელდარდი) ან რიჩარდისეური არამზადები. სხვა საშუალებათა შორის ამ იდეის ხორცმუსხმას ხელს უწყობს ის „ზინა იუმორი“, რომელითაც გაქედნითია რიჩარდის ამალეებისა და დაცემის ტრაგიკული ფარსი.

ყოველი რეჟისორული „ხელწერა“ შესაბამის მსახიობს მოითხოვს. როგორც მარჯანი-შვილს გაუმართლა უშ. ჩხივიძის ჰამლეტმა, ასევე სწორი იყო სტურუას არჩევანი, როდესაც მან რამაზ ჩხიკვაძეში რიჩარდის როლის „ბრეტისებურად“ დერომანტიზებული სტილით შემსრულებელი მსახიობი დაინახა. ეს არჩევანი „მიხაკების წვიმით“ დაგვირგვინდა. შექსპირის ტრაგედიის დადგმის ამ დიდ წარმატებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ განმეორდა დიდი რეჟისორისა და დიდი მსახიობის კიდევ ერთი შემოქმედებითი შეხვედრა, რომლის შედეგად დრამატურგიული კლასიკა ახალი თვლით იქნა დანახული.

თეატრის დანიშნულება ყოველთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დიად ბოროტებებს აღძრავს, სწორედ ისაა, რომ გამოიწვიოს ემოციები, მაგრამ, ამასთანავე, შეეხოს არა მხოლოდ სულს, არამედ გონებასაც, დაგვაფიქროს და უფრო საღი და კრიტიკული თვლით დაგვანახოს სინამდვილე. რუსთაველის თეატრი თავისი საუკეთესო დადგმებით ამ გზაზე დგას... დგას, როგორც უკვე ითქვა, „მსოფლიოს საუკეთესო თეატრალურ დასებთან“ ერთად. დიდებული შეხვედრაა სახელოვან იუმბილესთან — თეატრის ასი წლისთავთან.

ზოგი რამ აბსტრაქტულ ხელოვნებაზე

გიორგი ხუციშვილი

ჩვენს საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის დასავლურ ხელოვნების ანალიზი სრულიად აშკარად გვიჩვენებს, რომ აბსტრაქციონიზმი დასავლეთეუროპული ხელოვნების განვითარების ლოგიკური შედეგი იყო.

იმპერიალიზმმა გზა გაუხსნა სუბიექტივიზმს სახეით ხელოვნებაში და არ იყო შემთხვევითი, რომ კლოდ მონე, იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, შემოქმედებითი გზის მიწურულს უშუალოდ მიუახლოვდა აბსტრაქტული ხელოვნების საზღვარს, თუმცა აბსტრაქციონიზმის საბოლოო ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ იყო დარჩენილი რამდენიმე ათეული წელი.

უდავოა, იმპრესიონიზმი პოეტურ რეალიზმს წარმოადგენდა, და, ამდენად, ობიექტური რეალიზმის თავი-

სებური ასახვის ერთგული იყო. მაგრამ ეს მეთოდი, მისი ცალმხრივობის გამო, მალე გადაიქცა მხატვრული ძიების შემზოველად. ამით აიხსნება მიმდინარეობათა სწრაფი ცვლა იმპრესიონიზმის შემდგომდროინდელ დასავლურ ხელოვნებაში: სუბიექტივიზმის გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯი მომდევნო ნაბიჯების გადადგმას მოითხოვდა. სწორედ უკიდურესი სუბიექტივიზაციის პროცესმა მიიყვანა დასავლური ხელოვნება აბსტრაქტულ ხელოვნების ჩამოყალიბებამდე.

ესა სწორად ის საჭირობოტო პრობლემა, რომელსაც, სამართად პირობითათ, სტილის პრობლემა ჰქვია. ხილოვანის ყოველ ნაწარმოებს თავისი სტილი ვაჩინა, სხვანაირად არც შეიძლება: ყოველ შეთქმას აქვს თავისი სტილი. როცა ამა თუ იმ სტილის უტყხად აღბეჭდვას იკიდებობთ, სასიკვდილო ვანჩენი ამოიგაქვს საკუთარი თავისათვის. თუ ვახსოვთ, ჰეკინის ოპერის შემდეგ, მისი სტიტყე, ფორმოსელი ჩინური ოპერის დასი ესტუმრა ლონდონს. ჰეკინელია დასი მაშინ ჯერ კიდევ არ მოსწყვეტილა მკობავ თესვიებს რა ყოველ საომოს ხელდას — აღობიხებულა სციენაზე თავისი ხილოვანის უტყხად ნიშნებს; ხილო ტავიანელი მსახიობები, მხოლოდ მახსოვრობის მეშვეობით აღადგენდნენ იგავს — უტყხებულყოფდნენ ზოგიერთ დეტალს, ხაზს უსკამდნენ უფეტურ აღვლებს. მინცდამინც არ ზრუნავდნენ აზრის შენარჩუნებაზე — და ამიტომაც, არ ხდებო-

* თარგმანი ი. მამახლისა და ი. ჭავჭავაძის.



და აღდგენა ძველისა. მეტად უცნაური, ეგზოტიკური სტილიც ვერ მალავდა აშკარა სხვაობას ცოცხალ და მკვდარ ხელოვნებას შორის.

ამდვილი პეკინური ოპერა, თავისი გარეგანი ფორმები უცვლელად რომ გადმოჰქონდა თანამედროვეობაში, თეატრალური ხელოვნების მაგალითად გამოდგებოდა, და ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ დარწმუნებულინი ვიყავით მის მარადიულობაში — იმდენად იდეალურად იყო გაყვანილი“. თუმცა, დღეს აღარც ეს შესანიშნავი რელიეფია არსებობს.

თანამედროვე პეკინის ოპერაში იმპერატორებისა და უფლისწულების ადგილი მემამულეებმა და ჯარისკაცებმა დაიკავეს, იგივე ზოპარობად დახვეწილი ოსტატობა ახლა სრულიად სხვა პირობებზე იხარჯება.

პროფესიული თეატრი ყოველ საღამოს სხვადასხვა ხალხს ენატრება მსურველებთა სარბაზში და ადამიანური ქვეყის ენაზე ელაპარაკება. სპექტაკლი იდგმება და, როგორც წესი, მეორდება — რაც შეიძლება უფრო ზუსტად და ზედმიწევნით, მაგრამ იმ დღიდან, როცა დადგამს დასრულებულად ჩაივლიან, სპექტაკლში რაღაც უხილავი კვდება.

სტრატეგიაში იმაზეც გვიხდება ზრუნვა, ჩვენი სპექტაკლი დანახარგების ანაღატურებამდე რომ არ ჩამოვიდეს სიცილიდან და მხოლოდ და მხოლოდ გამოცდილებით ვაღწეოთ ხოლმე მის სიოცხლისუნარიანობას; არ ყოფილა დადგმა, ზეთ წელზე მეტი რომ გაეძლოს რეპერტუარში, თანაც, ძველებმა არა მხოლოდ ვარჯიშობა, ჩამოყვობა თუ გრიობი, სპექტაკლის ყოველი შემადგენელი ნაწილის — გარკვეული ემოციების გამოხატული როლის ნახაზისა, მოძრაობისა, ყესტისა თუ მეტყველების მელოდიის ფასიც განუწყვეტელი მერყავის უხილავ საფორმე ბიჯაზე, ცხოვრება ერთ ადგილზე არ დგას, მისი დინება მსახიობებსაც ასვამს დაღს და მსურველებსაც; სხვა პიესები, ხელოვნების სხვა დარგები, კინო, ტელევიზია და ასევე ყოველდღიური მოვლენებიც გვაძიებდნენ ხელახლა ვადაყვებოთ ისტორია და შესწორებანი შევიტანოთ დღევანდელ ჰუმანიტარებებში. მოდებდნენ სასულიერო ვილავა მუშტს რომ დაჯრავს მაგიდაზე და იტყვის: „ჩემქმების დრო დღევანეა“; ამ ფაქტს ძალაუფლებურად ყველამ უნდა გაუწიოს ანგარიში. ცოცხალი თეატრი, რომელიც შეეცდება უკუღმებლყის ისეთი ტრივიალური მოვლენა, როგორც მოდა, უეპქველად დასწეულდება. ნებისმიერი თეატრალური ფორმა, ერთხელ გაჩენილი, ბოლოს და ბოლოს, კვდება; ნებისმიერი თეატრალური ფორმა ხელახლა გაზარებას საჭიროებს და მისი ახლებური წაქიხნვა, აუცილებლად, თავისი დროის ვაგონით იქნება დაღდასმული. ამ თვალსაზრისით, თეატრში ყველაფერი შეფარდებითია. და მინც, ჰუმანიტარული თეატრი მოდლებს სახლი არ აობს; თეატრში არსებობს უცვლელი პრინციპები, არსებობს ელემენტები, თითქმის ყველა დრამატულ წარმოდგენაში რომ იხილება. როცა ვცდილობთ მარადიულ ჰუმანიტარებანი განუფორმით სწრაფწარმავალ ვარჯებებს, საბედისწერო ჩიხში ვექცევით; ეს სხვა არავფერია, თუ არა დახვეწილი სწობიში, რაც, რაღა თქმა უნდა, დამლუპველია. მაგალითად, ყველა თანახმაა, რომ დეკორაციები, კოსტიუმები თუ მუსიკა, პერიოდულად უნდა განახლდეს

ხოლმე, რამეთუ, ყოველივე ეს დამდგმობა ჩინურ ხალხს და მხატვრის კანონიერი საკუთრებაა. სწორედ რაცა საქმე გმობის შინაგან ცხოვრებასა და საქციელს ეხება, აქ უკვე აღბრა ვართ ძველებურად თვითდაკრებულნი და თუკი ეს ელემენტები პიესაში სწორადაა ასახული, მზად ვართ უცვლელად დეტოვით მათი გამოხატვის ხერხებიც.

ამავე პირობების უკაშირდება ოპერის დადგმის დროს წარმოქმნილი კონფლიქტი რეჟისორსა და მუსიკოსებს შორის, როცა ორი სრულიად განსხვავებული თეატრალური ფორმა — დრამატული და მუსიკალური — ერთ მოლიანობად განიხილება. მუსიკოსის მეშვეობით აღამიანი მაქსიმალურად უახლოვდება უხილავს. პარტიტურა უხილავის გამოსახულება, ხმის კი ის ინსტრუმენტები გამოსცემენ, თითქმის არასოდეს რომ არ განიცდიან ცვლელბას, ხოლო შემსრულებლის პაიად თავისებურებებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; შეიძლება გამხდარმა კლარნეტისმა უფრო ძლიერი ხმა გამოსცეს, ვიდრე მსუქანმა. მუსიკის შემქმნელი და თავად მუსიკა განკუთვებულია აიდან ერთმანეთისგან. ანოტრამაც, მუსიკალური ქსოვილი ყოველთვის ერთნაირად იქმნება და მისი შექმნის პროცესი არ საჭიროებს არც ვადანსჯვასა და არც ვადანსჯვას. დრამატული სახის შემქმნელი კი ცოცხალი აღამიანია, სხვა კანონებს ემორჩილება. შემოქმედი და ქმნილება განუყოფელი არიან. მხოლოდ შიშველი მსახიობი შეიძლება ვადანსჯავს საკრავს ვარკვეული თვალსაზრით, ვთქვათ, ზოგანის, ისიც, თუ უზადო კლასიკური სხელი აქვს და არც ღობი აუშნობს, არც დგარბეობა ფეხები. ბალეტის მოცეკვაობა ხანდახან უახლოვდება ამ იდეალს, აბრტომაც მისი მოძრაობები არც პირადულბობათა დაღდასმული და არც ცხოვრებისეული მოვლენებით დამახინჯებული. მაგრამ, როგორც კი დრამატული მსახიობი ეამოყვება და როლის პირველი სიტყვებს წარბოსთქვას, თვით ამოხატვისა და ყოვერების იმ მოლოპულ ნიადაგზე შიდიება ხოლმე, რომელიც მსურველისთვისაც ხელმისაწვდომია. რამდენადაც მუსიკოსის პროფესიული ცხოვრება სხვა პირობებში მიდინება, მისთვის ძნელი გასაგებია, დღეს რატომ აღბრავს აცინებს, ანდა დღეს რატომ აღბრავს ანეკვიფრებს ის ტრადიციული სიკვებობი, თავის დროზე ვერღის სასაცილოდ რომ ეჩვენებოდა, პუჩინის კი განსაკვირებლად. სერიოზული ოპერა შესანიშნავი მაგალითია ამსურდამდე მისული მკვდარი თეატრისა. ოპერა იქცა უმნიშვნელო დეტალისათვის ფიქრ ბრძოლის საზარელ კომპარად. სოურრალისტური ანეკვიფრების ბუდედ, სადაც ყველაფერი ერთი აზრითაა განმსწავლული: არავფერი არ შეიცვალოს. ოპერაში სასტიკადაა არბმალული რაიმე ცვლელბა, თუმცა კი ყველაფერი შესაცვლელია.

მაგრამ, რისხვისაგან ისევ უნდა შევიკავოთ თავი, რადგან თუ პირობებსა ვავამარტივებთ და ჩვენსა და ცოცხალ თეატრს შორის ძირითად დაზოკულბად ტრადიციის მივიწვევით, სიმართლე ყველა ხელნაწი ვავცისხლებთ. მკვდარი ელემენტი ყველგან გვხვდება; ჩვენს დღევანდელ კულტურაშიც; წარსულთან მემკვიდრეობით მწოდებულ მხატვრულ დარბეულბებშიც, ეკონომიკის სტრუქტურაშიც; მსახიობთა ცხოვრებაშიც, კრი-



კეთისა საქმიანობაშიც. ყოველივე ამას თუ განვიხილავთ, დავინახებთ, რომ არც უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, საპროსპორი მოსახრებაც ასევე შეიცავს სიმართლეს, რადგანაც მკვდარ თეატრშიც სწორია მტანჯეული, დასუთავებელი, ზოგჯერ მართლაც ისტაბურთი, მაგრამ ხანმოკლე გაეღვივებანი ნამდვილი სიცოცხლისა.

ნიუ-იორკში, მავალითად, ყველაზე უფრო მკვდარი ელემენტი, უდავოდ, ეკონომიკაა. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ყველაფერი რაც იქ იქმნება, ცუდია. მაგრამ თეატრი, სადაც ეკონომიური მოსახრებების გამო, სამ კვირაზე მეტს ვერ უთმობენ სპექტაკლის დადგმას, ძირშივე დასახიზრებულთა. მართალია, ყველაფერს დრო არ წყევტს: სამ კვირაშიც შეიძლება საოცარი შედეგის მიღწევა; არის შემთხვევები, როცა ის, რასაც თეატრმა აღქმისასა თუ იცნავს ვეცხებით, ენერჯის წარმოდგენილი აფეთქების წყაროდ იტყება ხოლმე და მაშინ, ერთ აღმოჩენას შიგნით მოსდევს, რაც წარმატებათა ჯაჭვურ რეაქციას იწვევს. მაგრამ ეს იშვიათობაა; საღი აზრი გვეკრახობს, რომ რეპერტიციის საფუძველზე ურყეფობადაც მოქმედება. ექსპერიმენტული გამოცდები, რისკი — შეუძლებელი. რეკისორმა ან საქმიანეული უხდა გამოიტახოს, ანდა თავისი მსახიობებთანად აიკრის გულდაწაბდი. რა თქმა უნდა, დროის უაზროდ გაფლანგვაც შეიძლება; შეიძლება თვეებით იჯდე, იკა-მათი, ილღვო, თავი იტყუო და მაინც უშედეგოდ. რუსეთში მინახავს შექსპირის დადგმები, რომლებიც, მიუხედავად ირი წლის მუშაობისა და არკივების ქექვისა, აზაფერი სჯობდნენ სახელაზებლოდ შექმნილი დასის მიერ სამ კვირაში დადგმულ სპექტაკლებს. შეგვედროივარ მსახიობს, რომელიც უნდა წლის განმავლობაში აზნადება ჰამლეტის როლს და მაინც ვერ მოახერხა თავისი ოცნების ასრულება, რადგან მისი რეკისორი მუშაობის დასრულებამდე გარდაიცვალა. მეორე მხრივ, ტანისდასუსტის სისტემით დადგმული რუსული ბიესები მრავალი წლის განმავლობაში ინარჩუნებენ შესრულების ისეთ დონეს, რომელზედაც ჩვენ მხოლოდ ოცნება შეგვიძლია. „ბერლინერ ანსამბლი“ ყაითათიანად იყენებს დროს; თუ საქირია გახდა, შეიძლება აქ მთელი წელი იმუშაონ ახალი სპექტაკლის დასადგენლად; ამ თეატრმა რამდენიმე წელიწადში შექმნა მთელი რიგი სპექტაკლებსა, რომელთაგანაც თითოეული თავისებურად აღსანიშნავია და სრულად გათავუნეს დასის შესაძლებლობებს. საქმისათა მართიკი ენით რომ თქვათ, „ბერლინერ ანსამბლი“ უფრო სარგებანი წარმოება, ვიდრე ჩვეულებრივი კომერციული თეატრი, სადაც ნაუტყბადევი შეკოწიწებული წარმოდგენები ასე იშვიათად სარგებლობენ წარმატებით. ყოველ წელიწადს, ბროდვეიზე თუ ლინკოლნი, უამრავი მჭირადიღებულთა სპექტაკლი იდგმება, სულ ერთი-ორი კვირით; იშვიათად თუ მოხდება სასწაული და მართლა რაღაც საინტერესო გამოივრება ხოლმე, და მისც მრავალმა წარმატებლობამ ვერც შექმნილი შეიძლება შეაჩვიო და ვერც რწმენა, როდესმე, როგორმე, ყველაფერი რომ მოგვარდებდა. ბროდვეიზე ბილეთის ფასი განუწყვეტლოდ იზრდებდა. მართალია, იზრდება ხარჯებიც, მაგრამ, რაც არ უნდა უღნაურად მოგვეჩვენოს, სეზონის ყოველ ახალ

„მოვლენას“ გაცილებით მეტი შემოსავალი მოქმედებულ რწმინდობრდეს. თეატრში თითქოს ნაყლები ხალხს დადის, საღარის შემოსავალი კი მატულობს. ბოლოს, ალბათ ის დღეც დადგება, როცა რომელიმე უცანსეწერილი მილიონერი მიელ საცხოვრებელს ჩამოვა, რათა მართკომ უყუროს წარმოდგენას. ისე გაბოღის, რომ ერთისთვის წამგებანი საქმე, მეორისთვის მეტად მომგებანიია. მართალია, ყველა ჩივის, მაგრამ ბევრს არ აწყობს ამგვარი სიტყვის ვიცილა.

მათთვის, ვინც ხელოვნებით ცხოვრობს, ეს სისტემა დამღუბველია. ბროდვეი ჭუნგლი კი არა, მექანზინია, რომელიც უამრავი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ანგროლისაგან შედგება. მაგრამ ყოველი კი წაწერილი დამახინგებელია, დეფორმირებულია, რათა უკეთ მოერგოს სხვა წაწილებს და შეუფერხებლად შესართულოს თავისი ფუნქცია. ესაა მსოფლიოში ერთადერთი თეატრი, სადაც ნებისმიერ მსახიობს — ვეულისსმობ მხატვრასაც, კომპოზიტორსაც და სცენის გამწათებლსაც — ავგულტ სჭირდება პირადი ინტერესების დასაცავად. ეს მელოდრამატულად უფერს, და მსიხნ, ბროდვეის თეატრის ყველა მუშაკი განუწყვეტლოდ საფრთხეშია; მისი სამუშაო, რეპერტაკი, ცხოვრების ყიდა — ყოველდღე ბეუეუ ჰკიდია. თეორიულად, ამგვარი დაძაბულობა მშის ატმოსფეროს უნდა ქმნიდეს, და მართლა ასე რომ იყოს, ამ სისტემის დამანგრეველი ხასიათი თვალნათელი გახდებოდა. სინამდვილეში კი, ზემოთ ხსენებულ დაძაბულობა სრულად სხვა, კარგად ცნობილ ბროდვეის ატმოსფეროს ქმნის, რომელიც ჰარბი ემოციურობით, მოჩვენებითი მელოდრულობითა და ხაზგასმული მხიარულებით ხასიათდება. „ყვეაილების სახლის“ პირველ რეპერტაკიუკ კომპოზიტორი ჰაიროლდ არლერი გულზე ლილილოდაბნეული მოვიდა, შამპანურითა და საჩუქრებით ხელდაშეწებულთა. სანამ სპექტაკლის მოწაწილებს ასაჩუქრებდა და ჰკოცნიდა, ტრუმან კაპოტემ, ლობრეტოს აცრორმა, სეგლბიანად გადმოაჩურჩულა: „კდღეს სიყვარულის დღეა, მსაჯულები ხვალ გამოჩნდებიანო“, გაშართლდა კიდევ მისი ნათქვამი. პერლ ბელიმ იქამდე გადმოცა სასამართლოს გადაწყვეტილება, 50 000 დოლარის გადახდას რომ მავალდებულეზდა, სანამ მაყურებელი ნახავდა სპექტაკლს. უტხოვლისთვის (მოსაკონგებლად მსგავსი სიტუაცია სასაცილო და ამაუფლებულია — სიტყვა „თეატრალური ბიზნესი“ ყველაფერს ხსნის და ამართლებს — მაგრამ თუ მოვლენებს თავის სახელს დავარქმევთ, უნდა ვიღაიროთ, რომ ეს ხაზგასმული, ყალიბი ძმბბბბბბბ უშუალოდ შედეგად ემოციური სიყურისა. ესეთ გარემოში არ შეიძლება მშვიდად და თავისუფლად გრწონოდ თავს და, ამიტომაც, ვერაფრად შედეგს, იყოს გულახდილი. მე აბლა ამდგელი, გულწრფელი სიახლოვე მაქვს მხედველობაში, ხანგაძლივი თანამშრომლობისა და ერთმანეთის სრული ნდობის შედეგად რომ ჩნდება; ბროდვეიზე იოლად გაპოტებენ უხუცი თვითგამოაშკარავენას, მაგრამ ამგვარ პატივებს აზაფერი აქვს საერთო იმ ადამიანთა უშუალობასა და გულისსმიერებასთან, ერთ საქმეს რომ აკეთებენ და ერთმანეთის ნდობაც შეუძლიათ. ამერიკელებს სწორედ ეს გულისსმიერება, ეს ურთიერთობატანა ყურთი ინგლისელებისა, რასაც სტილს უწოდებენ და სასწაულად მიანი-



ათ. როცა ნიუ-იორკში გეტყვიან — ამა თუ იმ მსახიობს სტილი გაჩანიაო, ჩვეულებრივ, ეს „სტილი“ ევროპიელ მსახიობს მიმამაგველის მიზაქვს ნიშნავს. ამერიკულ თეატრში სერიოზულად მსჯელობენ სტილზე, როგორც მანერაზე, რომლის შეთვისებაცა და განმეორებაც შესაძლებელია, და ის მსახიობები, რომლებიც კლასიკურ პიესებში უთამაშონათ და პირობითე კრიტიკოსების შეგონებითა შედეგად დაუჭრებიათ — „ჩვენი სტილი“ გვაქვსო, ნების ყუნწში ძებრიან, რათა არ შეირყეს იმის რწმენა, სტილი იმეიათობა და აქტიორული პროფესიის მხოლოდ რჩეული წარმომადგენლების მონაპოვარი რომაა. მიუხედავად ამისა, ამერიკის თავისუფლად შეუძლია თავისი შესანიშნავი თეატრი ჰქონდეს. საამისოდ ყველა პირობა გაჩანია: ძალე, გამებდობაც, იუმორიც, ფულიცა და სიძნელეთა შეფასების უნარიც.

ერთ დღისა, თანამედროვე ხელოვნების მუხუშეში ვიდექი და დლორიანი ბილეთებით შემოსულ დამთავლიერებლებს ვაკვირდებოდი. თითქმის ყოველ მათგანს რაღაც განსაკუთრებული გამომეტყველება და ცოცხალი სახე ჰქონდა — სახე კარგი მაყურებლისა, თუკი შეიძლება ასეთი უბრალო საზომი მიუყენო მაყურებელსა, რომლისთვისაც სიმარეებით დადგამდი სპექტაკლს. პოეტნიკურად ნიუ-იორკელი მაყურებელი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ, საუბედროოდ, იშვიათად დიდ თეატრში.

იშვიათად კი იმიტომ დადის, ბილეთი ძალიან ძვირი რომ ღირს. თუმცა, ამასაც არად დაგიდედა, მრავალგზის რომ არ ვაწილებულიყვი. შემოხვედი არ ქცეულა ნიუ-იორკი ყველაზე უფრო მკაცრი და დაუნდობელი კრიტიკოსების ქალაქად. სწორედ მაყურებელმა, წილიდან წლამდე, თანდათანობით, ჩვეულებრივად ადამიანი, რომელიც სრულებითაც არაა შეცდომებისაგან დაზღვეული, ძვირადღირებულ ექსპერტად აქცია, რადგანაც, იმ კოლექციონერის მსგავსად, ძვირფასი ნახაბის ყიდვას რომ აპირებს, შეეშინა მარტო ვაგეწა რისკი — თეატრალურ მაყურებელსაც დასჭირდა თავისი დიუენი, ხელოვნების პროფესიული შემფასებელი. წრე ჩაიკეტა; როცა ქომავი არა მარტო მსახიობისთვისაა აუცილებელი, არამედ მაყურებლისთვისაც, ცნობისმოყვარე, გონიერი და დამოუკიდებელი ხალხის დიდი ნაწილი ინტერესს ჰკარავს თეატრისადმი. ყოველივე ეს მხოლოდ ნიუ-იორკისათვის როდია დამახასიათებელი. მსგავსი რამ განვიცადე, როცა ჯონ არდენის პიესა „სერჟანტ მასგრევის ცეკვა“ დადგოთ პარიზში, ატენეს თეატრში. მაშინ ჩვენგან ქვა ქვაზე არ დატოვეს, გულანდლვად თითქმის ყველა რეცენზენტი და თამაშიც ფაქტურად ცარიელ დარბაზში გვიხდებოდა. მაგრამ, დარწმუნებულნი ვიყავით, მაინც რომ მოინახებოდა ქალაქში ჩვენი სპექტაკლის ნახვის მსურველი მაყურებელი და სამი უფასო წარმოდგენა გავმართეთ. სპექტაკლის მუქთად ნახვის ცდენება იმდენად დიდი აღმოჩნდა, ეს უფასო წარმოდგენები ბოლოებარ პრემიერებდად გადაიქცა. მაყურებელს ბრძოლით უნდადებოდა დარბაზში შემოსვლა, პოლიციამ ფიქში რკინის თეჯირიც კი ჩადგა; ხოლო სპექტაკლები მართლაც რომ ბრწყინვალედ მიდიდა, რადგანაც დარბაზის მხარდაჭერით გამხველებული მსახიობები თავს არ ზოგადნენ; დარბაზიც ტაბით ინგროდა. თუკი წინა სა-

ღამოს თეატრი გაყინულ საცხებურს ჰგავდა, ისინი რომ მატებისაგან გრავიანდა და ზრიალებდა. სპექტაკლში რომ დამთარდა, სინათლე ავანთეთ: ძირითადად კარგად ჩაცმულ, საღამოს კოსტიუმებსა და პალსტუხებში გამოწყობილ ახალგაზრდობას მოყვარა თავი. სცენაზე თეატრის დირექტორი ფრანსუაზა სპირა გამოვიდა, და თეატრის დირექტორსა და დარბაზს შორის დაახლოებით ასეთი საუბარი გაიმართა:

— თუ დარბაზში ვინმე, ვისაც ბილეთის ყიდვა არ შეუძლია?

მხოლოდ ერთმა კაცმა ასწია ხელი.

— დანარჩენები რატომღა ელოდი უფასო წარმოდგენას?

— გაზეთებში ცუდი რეცენზიები იბეჭდება.

— გჯერათ ვაგზეთებში?

„არაო“ — ერთხმად შესძახა დარბაზმა.

— აბა, რაშია საქმე?

პასუხი ამჯერადაც ერთსულოვანი იყო: დიდი რისკია, მოგებზრდა ამდენი ვაშპოლებით — ერთსა და იმავე გაიხანონენ ყოველი მხრიდან. აი, ასე იქმნება ავბედითი წრე. მკვდარი თეატრი შეუპოვრად ითხრის სამარს.

ამ პრობლემას სხვა კუთხითაც შეიძლება მივუდგეთ: თუკი კარგი თეატრის არსებობას კარგი მაყურებელი თანაპირობებს, მაშინ ნებისმიერ აუდიტორიას ისეთი ეფატი ჰქონია, როგორსაც იმსახურებს. თუმცა მაყურებლისთვის ალბათ ძნელი მოსასმენი იქნებოდა, მასაც რომ ავისრია გარკვეული ვალდებულებანი, როგორც მაყურებელს. რაში გამომხატება ეს ვალდებულება პრაქტიკულად? იმერტმა ნუ ქნის, მაყურებელი თეატრში მოვალეობის გამო რომ წაიციდს. თეატრში მოხვედრილი, გელარ აიძულებს თავს გახვს უყუთესი, ვიდრე სინამდვილეშია. გარკვეული თვალსაზრისით, მაყურებელს საერთოდ არაფრის გაცემბა არ შეუძლია და მაინც, ეს მტკიცება უწინააღმდეგობას შეიცავს, რომელსაც აუცილებლად წინა მიეტყვის ყურადღება, რამდენადაც ყველაფერი ისევ და ისევ მაყურებელზეა დამოკიდებული.

როდესაც შექსპირის სამეფო თეატრმა ევროპაში საგასტროლოდ „მეფე ლიარ“ წაიღო, სპექტაკლის წარმართება დიდი დღე მატებოდა, საუკეთესო წარმოდგენა კი, სადაც ბუღდაეშტსა და მოსკოვს შორის გათამაშდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, ასეთ ვალდებს თუ მოახდენდა მსახიობებზე ის აუდიტორია, რომლის დიდ ნაწილს ინგლისური წესიერად არც ესმოდა. მაყურებელი სამი ნიშან-თვისებით აღუქრვილი მოდიოდა თეატრში: საყუთიკი პიესის სუფარბული, უტეხილ მსახიობებთან ურთიერთობის წყურვილითა და ომისმემდგომი ევროპის ცხოვრებისეული გამოცდლებით, რაც პიესის ტრაგიკულ თემატიკას უფრო ვსაძებს ხდოდა მათთვის. მაყურებელი თავის ინტერესს სიჩუმითა და ყურადღებით გამოხატავდა, რაც, რასაკვირველია, მსახიობებზეც მოქმედებდა — თითქმის მათი შრომა რაღაც არჩევულებრივი სინათლით იყო გაცესკროვებული. ამის შედეგად, პიესის ყველაზე ბუნდობლივად აღგებულებ განათადა, გამოჩნდა აზრის მიეული სიდიადე, სცენიდან ქეშმარტი ინგლისური მეტყველება ისმოდა, რომელსაც დარბაზში მსხროლთაგან ცოტა ვინმე თუ შეაფასებდა, მაგრამ ვრამ-



ნობით კი ყველა გრძობდა. ამის შემდეგ დასი ამერიკის ეწვია. მსახიობები აღლებულნი და ატაცებულნი იყვნენ, ერთი სული ჰქონდათ; როდის აჩვენებდნენ ინგლისურად მოლაპარაკე მასურებელსაც ყოველგვარ იმას, რასაც ევროპაში დაედგინა. მე ინგლისში მიმიწერა დაბრუნება და დასი რამდენიმე კვირის შემდეგ შევეუბრთდი ფილადელფიაში. ჩემდა გასაოცრად და სანწყუნად, მსახიობებს ბევრი აღარაფერი შეჩვენებდათ ძველი ბრწყინვალეობისა. ჭერ მინდობდა მესაყვედროდა, მაგრამ მათი გამტყუნება და დანაშაულებაც, მხოლოდ და მხოლოდ, უსამართლობა იქნებოდა ჩემგან: მსახიობები არც ახლა ზოგადდნენ თავს, უბრალოდ, ისინი კი არა, მაყურებელთაც ურთიერთობა შეცვლილიყო. ფილადელფიელ მაყურებელს ინგლისური, რა თქმა უნდა, მშვენივრად ესმოდა, მაგრამ უმჯავსულობის ჰრესა არ აინტერესებდა; თეატრში იმიტომ მოსულყვენ, რატომაც ყველაზე ხშირად დადის ხალხი: სხვას რომ არ გამოაყლდეს, ცოლს რომ გაუსწოროს ხასიათი და ა. შ. ეკვიცი არ მგაპარება, ამგვარი აუდიტორიის დაინტერესებაც რომ შეიძლება „მეფე ლორი“, ოლინდ საამისოდ სხვაგზა უნდა გამოინახოს. სპექტაკლის ასეკტივში, რომელმაც ევროპაში გაამართლა, ახლა აზრი დაკარგა. როცა გხვდებით, როგორ ამოქნარებდნენ დარბაზში, თავს დანაშაუდვად ვგრძნობდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რალაცა რომ დეაკელით მაყურებელს, ის არ მივეცი, რასაც ჩვენგან მოითხოვდა. ამეფე ლორი“ თავიდანვე ფილადელფიელთათვის რომ დამეგბა, უეჭველად ყველაფერს სხვაგვარად გაეკეთებდა, ბივისი აქცენტაც შევეცდომი და კლერაბობასაც, მაგრამ დასრულებულ სპექტაკლში რაიმეც შეეცლა, თანაც გატარაოლებს დროს, ჩემს ძალ-ღონეს აღემატებოდა. მიუხედავად ამისა, მსახიობები ქვეყნობიერად მინც ეხმინებოდნენ შექმნილ მდგომარეობას. ისინი ხალხს უსყამდნენ ყველაფერს, რასაც მაყურებლის ჩათრევა შეეძლო, მაქსიმალურად ამწვავებდნენ მძაფრ სიტუაციებს, უხვად ატრეფდნენ მელოდრამატულ გრძნობებს, უფრო ხმამაღლა და უხეშად მეტყველებდნენ და, რალა თქმა უნდა, აფუჩებებდნენ ტექსტის იმ რთულ ადგილებს, ასე რომ მაქსონდა არაინგლისელ მაყურებელს და რომელთა ღირსეულად შეესახება — ბედის დაცინვა, აბა რა არის! — მხოლოდ ამენის მცოდნეთ შეეცოთი. ყველა სიყვითლან ერთად, გასტროლოების დასასრულს, რამდენიმე წარმოდგენა გაეკმართეთ ნიუ-იორკის ლინკოლნ-ცენტრში, უშველებელ დარბაზში, სადაც ცუდი აყვსტრევა და თითქმის შეუძლებელია მაყურებელთა კონტაქტის დამყარება. ამ უხარამზარ დარბაზში ჩვენი გამოსვლა ეკონომიური მოსაზრებებით იყო განპირობებული, რაც შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორ იქმნება მიზეზ-შედეგობრივი ჩაკეტოლ წრე და როგორ აქცევის მსახიობს უხეშ ხელისონდ უხეირო მაყურებელი ან უხეირო დარბაზი, ანდა ორივე ერთდროულად. შექმნილმა მდგომარეობამ მსახიობებს ისეე მოუხო არჩევნის უფლება: ლამის დარბაზში ვარდებოდნენ, მივილი ხშით ვაპყვიროდნენ და, რასაკვირველია, უგალებელყოფდნენ ყველაფერს, რაც სხვა დროს მხატვრულ ღირებულებას ანიჭებდა მათ თამაშს. ამგვარი საუბრთხ ნებისმიერი გასტროლოების დროს ემტრება მსახიობს: როგორც წესი, მას თამაში უხ-

დება სულ სხვა პირობებში, ვიდრე დადგმისას იყო. გასაუბრად თვალისწინებული, ამიტომაც კონტაქტის დამყარება ახალ აუდიტორიასთან, ჩვეულებრივ, ობლის საქმეა ხოლმე. ძველად, მიხეტიალე მსახიობები ყოველ ახალ გარემოს უსადაგებდნენ თავიანთ წარმოდგენას, ღღევა-ნადე დახვეწულ დადგმებს კი ამგვარი მოქნილობა არ გააჩნიათ. აი, რატომ არ წავიღეთ საგასტროლოდ ჩვენი სპექტაკლი — ჰევენინგი „US“-ი, შექსპირის სამეფო თეატრის მსახიობთა საერთო ძალბათ რომ შეიქმნა დევენინგის ომის თემას შეეხებოდა. ამ სპექტაკლის ნებისმიერი დეტალი ლონდინელი მაყურებლის იმ წრისათვის იყო გათვალისწინებული, რომელიც 1966 წელს „ოლიფრის“ თეატრში დადიოდა. ეს ექსპერიმენტული წარმოდგენა იმით გამოირჩეოდა სხვებისაგან, დრამატურგის მიერ შეთხზულ და დაწერილ ტექსტს რომ ამ ეყრდნობდა, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამ სპექტაკლის ძირითადი არსის და ვაგარიზების მაყურებელთან უშუალო კონტაქტი წარმოადგენდა. ჩვენ რომ ვარეკელში ტექსტი გვეკონია, რა თქმა უნდა, სხვაგანაც ვითამაშებდით, მაგრამ ტექსტის ვარეშე ეს სექტანცი მართლაც ჰევენინგი იყო და ამიტომაც, სეზონის ბოლომდეც ვერ გავყვა პირვანდელი სახე, თუმცა ლონდონის თეატრალური სეზონის სულ რალცა ხუთ თვეს გრძელდება. ამ სპექტაკლის მხოლოდ ერთი მომოდგენა, შეიძლება, მართლა შედეგრი ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ შეეცდით და სპექტაკლი რუკრეტურაში ჩავთეთ. რეპერტუარი მეორდება, განმეორება კი მხოლოდ იმისა შეიძლება, რაც ცვალებადობას არ ექვემდებარება. ინგლისური ცენზურა მსახიობს უჭრძალავს თამაშის დროს ტექსტის შეცვლას და იმპროვიზაციას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სპექტაკლის სიკვლილი სწორედ იმან განაპირობა, არაფრის შეეცლა რომ არ შეგვედო: დლოთ დედ ქრებოდა უშუალო კონტაქტი მაყურებელთან და ინტერესი თემისადმი, ხოლო შესაბამისად, იერარფლებოდა მსახიობთა გზნებაც.

ერთხელ, უნივერსიტეტში, სტუდენტბთან საუბრისას, შევეცადე თვალნათლვ მეჩვენებრა, რამდენდად მსახიობის თამაშის ხარისხი დამოკიდებული მაყურებლის ყურადღებაზე. სტუდენტებს ვთხოვე, ერთ-ერთი მთავარი სცენაზე ამოხსულიყო. მოხალისეს პიტერ ვივისი „ძიბინაზე“ ამოღებული მონოლოგი მივეცი; რომელიც ოსტენციმის გაზის კამერაში ნანახი ვეამების აღწერას წარმოადგენდა. სანამ მოხალისე ტექსტს თავისთვის კითხულობდა, დარბაზი ხიხითებდა და ქალიგობდა, როგორც, ჩვეულებრივ, ხდება ხოლმე, როცა ვინმე მაყურებელთაგანი სულელურ მდგომარეობაში იგდებს თავს. მაგრამ მოხალისე იმდენად იყო შესწრუნებული და შერძრული წაკითხული, ყურადღებასაც არ აქცევდა დარბაზის უაზრო რეაქციებს, ასევე ბუნებრივს მავებს სტუდენტთაში. თინდათან მისი სერიოზულობა და დაძაბულობა მაყურებელსაც გადაეღო და დარბაზი ჩაწყნარდა. მაშინ, ჩემი თხოვნით, მოხალისე ხმამაღლა დაიწყო კითხვა. პირველივე სიტყვებმა თვალნათელი ვახდეს აზრის საშინელებაცადას გამოამხილიც, მოხალისე ნეიტრალის სულში რომ ჰპოვეს. ამის მიხედვით არც დარბაზს ვასკრებოდა და იმწამსე თვავდე ტექსტის ტერაობაში აღმინდა მთლიანად — აღარც სალექციო ოთა-



ხი არსებობდა მისთვის და აღარც სცენაზე გამოსული მოხალისე — ოსვეციემის სამინელებამ სხვა ყველაფერი დაინდოდა. მისხალისე კვლავ განავრცობდა კითხვას მქ-ძრწუნებულა და დაძაბულ სიუჟეტში და, რაც მთავარია, თავად მისი კითხვის მანერა, პოფეხიული თვალსა-ზრისითაც უზალო იყო, არც კარგი ეთქმოდა და არც ცუდი, არც ოსტატური, არც უსუსური — უზალოდ, უზალო იყო, რადგან მოხალისე მკითხველი არც საკუთარ თავს უწყვეტ კონტროლს და არც სწორ ინტონაც-იას დაგიღედათ. გრანობდა, დარბაზს მოსმენა რომ სურდა და ისიც მზოლოდ ამისათვის იღეწოდა: მის წა-რმოღვენაში ვაჩინოო სახეები გამოხატვის ფორმასაც კარნახობდნენ და, უნებურად, საჭირო ეღერადობასა და სიმღერეს ანეუებდნენ მის ხმას.

მერე სკულეღნტი ამოვიყანე სცენაზე და ვზო-ვე, ეს მისოროგი წაეკითხა „მუნის მეხუთედან“, სადაც დაზოცილ ცრანგთა და ინგლისელთა სახელებია ჩამოთ-ვლილი. დიწყო თუ არა კითხვა, მამინე თვალსაჩინო ვახდა ყველა ის შეცდომა და სიყალბე, რაც მოყვარუ-ლი მსახიობისთვისაა დამახასიათებელი. შექსპირის წიგ-ნის დახახვაც საყმარისი აღმოჩნდა, რათა ლექსის კითხ-ვასთან დაემატირებულ მრავალ პირობით რეფექსს წა-მოეყო თავი. სტუდენტის ხმა არაბუნებრივად უღერდა, რადგან ყოველნარიად ცდილობდა, კეთილშობილება და მნიშვნელობა მიეცა მისთვის, ყოველ სიტყვას დიდი მო-წონებით გამოთქვამდა, უზალო მახილებს სკამად, ესას მთვის იძორილებდა, დაძაბული და შეცბუნებული იღვა სცენაზე და აძიტომაც, დარბაზიც უყურადღე-ბოდ უსმენდა. როდესაც კითხვას მორჩა, დამწრეთ გვი-ბოდ, ეჯინკორტთან დახოცილია ჩამოთვლია რატომ მო-ახდინა თქვენზე ვაცილებით ნაკლები შობაქედილება, ვიდრე ოსვეციემის მსხვერპლთა აღწერა-მეთეი. ამ კითხვამ ვაცხოველებული კამით გამოიწვია:

- ეჯინკორტი წარსულია.
- ოსვეციემიც წარსული არ არის!
- ოსვეციემის თუთმებეც წელი გვაშორებს მხოლოდ.
- აბა, რა დრო უნდა ვაიღებს?
- როდის იქცევა გვამი ისტორიული გვამად?
- რამდენ წელიწადში იძენს მკვლელობა რომანტი-ული ელფერს?

ოტო კიდევ ვეკამათო და მერე ერთი ექსპერიმენ-ტის ჩატარება შევთავაზე. იმავე მოყვარულ მსახიობს ხელახლა უნდა წაეკითხა მონოლოგი და ყოველი სახე-ლის შემდგმ, მკირე ხნით შეყოვნებულიყო; ხოლო მსმე-ნელებს, ამ დროს, თავისთვის უნდა ვეგახეხებინათ, რა შობაქედილება მოახდინა მათზე ოსვეციემმა და ეჯინ-კორტმა, ცდილიყენენ დეაქტრებინათ, თითოეული ამ სახელთავანი ცოცხალი ადამიანი რომ იყო ოდესღაც, იმდენად დეაქტრებინათ, წარმოადგენც შესძლიოდათ, თითქოს ეჯინკორტის ხოცვა-კლბეა მათ თვალწინ მომ-ხდარიყოს. მოყვარულმა მსახიობმა თავიდან დაიწყო კი-თხვა და მამეწელებიც დიდი მონომომებით ასრულებდნენ დეაღლებას. პირველი სახელის წაითხვისთანავე სრუ-ლობა, დაძაბულობა სიუჟეტ დანისდგურა. ეს დაძაბულო-ბა მსახიობსაც ვადეიდო, იგრძნო მამეწელებთან ემო-ციური კავშირის დამყარება და საკუთარ თავს უკვე ყუ-რადღებას აღარ აქცევდა, მთელი მისი გულისყური ფე-

რკელზე დაწერილი ტექსტისადმი იყო მიმართული. და-რბაზის ყურადღება, თითქოს მეგზურობას უწყვეტდნენ; ინტონაცია ბუნებრივი გაუხდა, სწორი რიტმიც გამოჩ-ნდა, რამაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო გააძლიერა მსმე-ნელთა ინტერესი და უწყვეტ, ომზრები კავშირი და-ბლდა სცენასა და დარბაზს შორის. როდესაც კითხვა და-მთავრდა, არაფრის ახსნა აღარ დამქირებნია, მამეწელებ-მა საკუთარ თავზე იწენვის ყველაფერი და ისიც იგრ-ძნეს, რადგენ სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს ხინთა-

ეს ცდაც, ყველა ცდის მსგავსად, საკმაოდ ხელოვნური გახლდა: მაყურებელი, ამ შემთხვევაში, უხელოდ აღტიტორ როლს ასრულებდა და ამით დიდი დაძაბრება გაუწვია გამოუცდელ მსახიობს. ჩვეულებრივ, გამოცდი-ლი მსახიობი, ამგვარი მონაკვეთის კითხვისას, თვითონ, სხვის დაუხმარებლად მოიპოვებს ხოლმე მაყურებლის ყურადღების იმ დროს, რაც მისი თამაშის ბუნებრიო-ბის ტოლფარდია. ზოგჯერ მას ძალუძს მთლიანად დაი-პყროს დარბაზი და მამინ, ვირტუოზი მატდორის მსგა-ვსად, თავისი ნებასურვილისამებრ ექცევა მაყურებელს. თუმცა, ესეც მხოლოდ მსახიობზე არაა დამოკიდებული. მაგალითად, მეცა და მსახიობებზეც ბევრჯერ დავრწმუ-ნებულვართ, რომ „ვიზიტიც“ და „მარატი — სადიც“ უფრო ცოცხალ გამოხმებურებას ამერიკაში პოულობენ, ვიდრე ინგლისში. ინგლისელებს არ შეუძლიათ უვილიტი აღიქვან როგორც სინამდვილე, როგორც მოთხრობა ადა-მინათა ყოველ ბაჭრა დაეგუფებნის დაბუღებულ ბო-როტ ძალეებზე. როცა ჩვენ ამ პიესას ინგლისის მიყრუე-ბულ პროფინციებში, თითქმის ცარიელ დარბაზებში ვთა-მამზობდი, ის თითო-ორილა მაყურებელიც ამას ვთი-ხობოდა: „ტყუილია, ცხოვრებამი ასე არ ხდებაო! სმე-ქტელი მოსწონდათ არ ამ მოსწონდათ, მაგარამ ანიეკ-მდენე კი, როგორც ზღაპარს. „მარატი—სადი“ ლონდონში წარმატებით ასრულებოდა, როგორც თეატრალური სა-ნახატება და არ როგორც პიესა რეველუციური, ომასა და სიგაეზე. აზრობრივად ურთიერთსაპირისპირო სიტყ-ვეებს, „ლიტერატურულს“ და „თეატრალურს“, მრავა-ლი მნიშვნელობა გაჩანათ. მაგარამ როდესაც ინგლისის თეატრებში ამ სიტყვებს ქების მნიშვნელობით წარმოთ-ქვამენ, ეს თავისთავად იმ თემისადმი წაყრუებასაც ნი-შნავს, რომელიც მოსეუბნებს უარგებდა. ამერიკელი მა-ყურებლის რეაქცია ორივე პიესის მიმართ უფრო უზუ-ლი იყო. მათ არც ადამიანის სხარებზე უყურდათ, არც სისასტიკე და არც სიგაე; დრამის სიუჟეტი იპყრობდათ და იტაცებდათ და როცა „ვიზიტს“ უყურებდნენ, აღრცე-კი უყურებდნენ თხრობის არაეფულებრივ, ექსპრე-სიონისტულ მანერას. ამერიკელები იმაზე მსჯელობდნენ, რაზეც პიესაში იყო ლაპარაკი. კახანის, ულიამისის, მი-ლერის საოცარმა წარმატებებმა და ასევე ელტას „ეიკ-რინია ვულფმა“ მოამზადა ის აუდიტორია, რომელსაც ელა შესწევდა თავდაც ჩართულიყო პიესის ვიწრო სა-ზრუნავსა და მსადრელობა; ამ სპექტაკულუმა ყოველი წა-რბ-დავანა მსადრელოვან მოეუნდა აქცია, რადგან მაყუ-რებლის გულისმბეგრება უწყვეტ კავშირს ამყარებდა სცენასა და დარბაზს შორის.

ინგლისურიდან თარგმანა ზაზა პილამამ.

ლაზუკრი ნაღუკრი სიმღერა „ჰელესა“

იოსებ მეგრელიძე

მკითხველს ვთავაზობთ ერთ ლაზურ ხალხურ ნაღურ სიმღერას, რომელსაც „ჰელესა“ ეწოდება.

აჭარა-გურიაში „ელესა“ იმღერება ორპირად (გადატანილ). იწყებს ერთი ჯგუფი და გადააქვს მეორეს. ბოლოს ისმის შემახება: აჭარაში — „ოა-და-ჰელესიო-და-ჰე!“, გურიაში — „იო-ეა, იო-ეა!“ ან „ელესაა, ჰო, ჰო, ჰოოო!“¹

ჯ. ნოღადელი წერია, როცა წერს: „ელესა“ ყანური სიმღერა არ არის, მაგრამ ყანის „ნადლიც“ შეიძლება შესრულდესო.

გურიაში „ელესას“ შესახებდენ ხოლმე ნაპირთან მიახლოებისას, დასაჩქარებლად. აგრეთვე, ქორწილის შემდეგ, ცისკრისას, იტყოდენ „ელესა ვუქნათ სუფრას!“ ამ სიმღერით სუფრა გაქონდათ ვარეთ, ერთხანს კიდევ მოიღებდნენ და ნადიმი მთავრდებოდა. მას ავ. წულაძე „სუფრის ელესას“ უწოდებს („ეთნოგრაფიული გურია“, თბ., 1971, გვ. 35). ეს სწორია იმდენად, რამდენადაც სუფრის აწვევასთან (სახლიდან ვარეთ გამოტანა) არის დაკავშირებული.

ძირითადად კი „ელესა“ სიმძიმის, გურია-აჭარაში საწინახლის ან ხის დიდი მორბების, ლოდების გადატან-გადართვის სიმღერაა. ლაზებიც მას მღერიან როგორც ზღვიდან წყლის, ბარგის თუ თევზით სავსე ბადის გამოთრევისას, ასევე, ხმელეთზე ტვირთის გადატანის დროს, მღერიან ქორწილშიც.

სახელწოდება „ელესა“ გურიაში საკუთარი სახელის ელენე-ს შემოკლებულ ფორმასთან ელესთან დაუკავშირებით. თქმულებით — ერთი მრისხანე ქალბატონის ელეს ყმებს ტყიდან საწინახელი უნდა გამოეთრიათ. იგი ფერდში რომ არ დაგორებოდათ, ელეს მოურავი ყმა-გლეხებს წარამარა აფრთხილებდა: „ელესა, ელესა“-ო. გურიაში ამბობენ, რომ აქედან წარმოიქმნა სახელწოდება „ელესა“.

რა თქმა უნდა, ეს არის ხალხური და არა მეცნიერული ეტიმოლოგია. ამ პრინციპით „ელესა“ უძველესი ღვთაების „ელა-ს“ სახელსაც შეიძლება დაუკავშირდეს. იმა-საც ვაივინებთ: „ელესა“ პირველად ღვთაებაში (სოფელია ლანჩხუთის რაიონში) იმღერესო. მაგრამ ესეც არა-მეცნიერული მსჯელობაა. ამ სიმღერის სახელი ჯერ კიდევ საკვლევია.

ჯ. ნოღადელი წერს: „ელესაში“, ისე, როგორც ნაღურში, ოთხი ხმა მონაწილეობს. მაგრამ „ელესას“ შემხობა არ სჭირდება. მასში მონაწილე ხმების სახელწოდება ასე უნდა ჩამოეყავილიყო: მთქმელი, გამახებელი, გამყიანი და ბანი“. ამ სიმღერაში მთქმელი, გამყიანი და ბანიც ერთმანეთისაგან ტერციით არიან და-შორებული. ასე, მაგ., ბანზე ტერციით მაღალია მთქმელი, მთქმელზე ტერციით მაღალია გამახებელი, გამახებელზე ტერციით მაღალია გამყიანი“.²

შორისდებული „ელესა“ მისამღერად თუ შემახილად გურულ ყანურ სიმღერაშიც შეიძლება შეგვხედეს ისევე, როგორც ეს ლაზურ თირა-მოლა (ელესა)-შიც ვხვდებით: „ჰეამოლი, იასა, პისსა, ჰო!... ჰელესა, იაღლესა“³.

¹ იო ძეგლი, ცალკე იმღერა ჩანს. იხ. ი. მეგრელიძე, ლაზური (ჯანური) სიმღერის ღვთაება. — კრებ., „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“, ტ. III, თბ., 1977, გვ. 9.

² ჯ. ნოღადელი, ნარკვევები და ჩანაწერები, წ. 1, ბათუმი, 1971.

³ იხ. კრებ., „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“, ტ. III, გვ. 8, 9.

აქაც „ელესა“ — შეძახილებს ნაბიჯის გადადგმასა და თოხის მოქნევას უფარდებენ ისევე, როგორც მძიმე ტვირთის დაძვარის, აწევის თუ გათრევის დროს. ტვირთის დაძვრა უშთავრესად ხელკეტებით ხდება და მუშები ტვირთს იმ მხრიდან უდგებიან, საითაც იგი (ხე, ქვა) ვერ დაგორდება. ერთია განმკარგულებელი, სიმღერაში დამწეები, ანუ კორიფე, რომელსაც გუნდი ეხმარება. ამიტომაც, რომ მას გ. შარაშენიძე და ს. ქლენტი უწოდებენ მძიმე ტვირთის „გადატანის ან აწევის... რიტმულ სიმღერას“, რომელსაც ნაბიჯს მწყობრად აყოლებენ⁴ (იხ. მათი გურული ლექსიკონები).

ფორიაში „ელესა“ ზოგჯერ „ელესია-მელესია“ ფორმითაც გვხვდება. ერთ-ერთ სასიმღერო ლექსს მისამღერად ახლავს სიტყვები:

„ელესია მელესია,
გოგოები დამესია!...“

„ელესას“ შეძახების წინ ზოგჯერ, მდგომარეობის მიხედვით, ისმის სიტყვები „აეწიოთ!“ „წაეწიოთ!“ „გადაეწიოთ!“, „დავძრათ!“. ამის შემდეგ მიაყოლებენ მისამღერებს: „ელესა, ელესა!“ ან „ოი ელესა“, „ოი ელესა“, ანდა „ბებუბო, ელესა“ და სხვა.

გურულ სიმღერა „ელესაში“, სხვათა შორის, უფრო ვრცელსიტყვებიანი ლექსებიც გამოიყენება.

მოგვაქვს ტექსტთა უფრო გავრცელებული ვარიანტები:

ერთმხრივი

ელესა და აბა, ბებუბო, ელესა ჰე!
ელესა და ხესთან ცაცებო, ელესა ჰე,
ელესა და ერთად ვაყებო, ელესა ჰე,
ელესა და გასწით ბებრებო, ელესა ჰე,
ელესა და მაგრაღ ჭეღლებო, ელესა ჰე,
ელესა და ფრთხილად ბებუბო,
ელესა ჰე!..

ორმხრივი

ელესა და ეხა,
სულ მოვივლი ტყესა,
მოკვირ ცაცების ხესა,
უტოტოს და გარმხლასა,
ვათლი ნაწნაზელსა,
ფართოსა და სქელსა,
შინ მივიტან დღესა,
ელესა და ეხა!..

ლაზური „ჰელესას“ შრომის პროცესში ასეთ სახეს იღებს:

კ ო რ ი შ ა (დ ა მ წ ე ა ბ ი)

ბ უ ნ დ ი

ჰელეესხაა!
ჰეიაშოლიოი!..
ჰრსხაა!
იალეესხაა!
იაახხააა!..
პოოო!..

ზ. თანდილავე შენიშნავს:

„ლაზური „ჰელესას“-ს პირიანდელი სახე „უსიტყვაოა“. მთელი მისი მუსიკალური ფრაზა, რომელიც რეგრესს წარმოადგენს, „უშინაარსო“ სიტყვებისაგან შედგება, ისე როგორც „ჰეიაშო“, და ერთ-ერთ არქაულ სიმღერად გამოიყურება: ჰელესა, იალესა, ჰეიაშო-ლი, იასა, ჰისსა, ჰო!“

ავტორი საფუძვლიანად დასძენს:

„ჰელესას“ ძირითადია, ხოლო „ჰეიაშოლი“ სიმღერა „ჰეიაშოს“ მუსიკალური ელემენტია და იგი „ჰელესას“ ტექსტში, როგორც ჩანს, მეორეულია, შეხიზნულია. დანარჩენი შესახილები კი (იალესა, იასა, ჰისსა, ჰო) „ჰელესას“ სახეანაცვლი ფორმებია.⁵

„ელესას“ ტექსტის პირველი ჩანაწერი ეკუთვნის ცნობილ დიპლომატსა და მოგზაურს გიორგი ავალიშვილს, რომელსაც იგი მოუსმენია 1819 წელს თურქეთში. „ელესა“ უმღერიათ კონსტანტინეპოლში გემის ლუზის ზღვიდან ამოღების დროს.

ჩანაწერი შესწავლა პროფ. მიხ. ჩიქოვანმა, მიმოიხილა სათანადო ლიტერატურა და მიუთითა, რომ „ელესა“ იმღერება საქართველოში (გურია-აჭარა-ლაზეთი), თურქეთსა და საბერძნეთში, რუმინეთსა და მოლდავეთშიც⁶.

დაისვა „ელესას“ წარმოშობის საკითხი, რომელსაც სწავლობდნენ დ. არაყიშვილი, კარლ ბიუხერი, ა. წულაძე, ვლ. ახობაძე, ივ. შალიკაძე, წ. შალიაძე, გ. ჩხეიძე, ა. ახვლედიანი, ა. იმნაიშვილი, ს. ქლენტი, ამ სტრიქონების ავტორი და სხვები. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ „ელესა“ არაა შეტანილი!

ვინაიდან ამ ლექსის გურულ და აჭარულ ვარიანტებში ვხვდებით სიტყვებს „კირიო“ (ბერძნ. კირიოს — ღმერთი) და „ჩოფოლას“, ზოგიერთმა გამოთქვა მოსაზრება ამ სიმღერის ბერძნულ წარმოშობაზე. ზოგმა ქართულ ხის კულტს დაუკავშირა, ზოგმაც — ქართულ ღვთაება კვირიას და სხვა. სემეილისტების უმეტესობა თვლის, რომ „ელესა“ ქართულ გარემოში დაიბადა. რაც შეეხება ბერძნულ სიტყვას „კირიო“, დასაშვებია, რომ იგი ნასესხებია. თურქულ ჩანაწერებში ნაშთი შეძახილები „ეი ომოლი, ეი ომოლი“ კი ლაზურიდან მოდის. ამას ამტკიცებს ფოლკლორისტი ზურაბ თანდილავე, რომელიც წერს:

⁴ ალ. ლონტი, ქართულ კლოთქმათა სიტყვის კონა, I, თბ., 1974, გვ. 213.

⁵ ზ. თანდილავე, ლაზური ხალხური პოეზია, ბათუმი, 1972, გვ. 80.
⁶ ვ.ხ. „საბუთო აჭარა“, 1968 წ. 27. უფრო ვრცელად — მისივე „ქართ. ხალხური სიტყვიერების ისტორია“, I, თბ., 1975, გვ. 454-464.

ბერძენებმა, თურქებმა, მოლდაველებმა და რუმინელებმა „ელესა“ ლაზებისაგან, ლაზი მეზღვაურებისაგან შეითვისეს.⁷

ანარიშვასაწვეია ისტორიკოს მამედ კახანჯის მიითეთება: მშობლიური ლაზური ენის გარდა, ვიცი თურქული და ბერძნული ენებიც; „ჰელესსა“ მხოლოდ ლაზების მეზობლობაში გვეხდება და არა სავითოდო... ლაზური „ჰელესსა“ ჩვენ ჩაიწერეთ ლაზ ხასან ჰელიმის ძე ჰელიმისაგან (1907—1976 წ.) თბილისში, 1975 წ. 23 დეკემბერს.

ამავე სიმღერის ახალი ტექსტიც გაჩენილა და მას სწორედ აგრე ეწოდება; „აღანი ჰელესსა“ — „ახალი ჰელესა“. მისი პირველი სტროფია:

„არ ქოქოქიანთ ბიჟიფე,
ძიქვა, შიოხა, უძირითე,
ლაზური ბირაფა დოფთვათ,
ჰელესხა, იაღესხა,
ჰეიამოლი, იახხა, იხხა, ჰეი...
ჩქან ხელერი დღა მიღუნან,

ხელი მოკიდოთ ერთმანეთს,
ძიქვა, ჩიხა, უძირითი.
ვთქვათ ლაზური სიმღერები
ჰელესხა, იაღესხა,
ჰეიამოლი, იხა, იხა, ჰეი!
ბედნიერი დღეები გვაქვს.

მუთუშ დარდი ვარ მიღუნან,
ფაღ-წალი ხორიწანან,
ჰელესხა, იაღესხა,
ჰეიამოლი, იახხა, ჰეი..

არ გვაწუხებს არაფერი,
ყველგან ცეკვა-სიმღერა გვაქვს,
ჰელესხა, იაღესხა,
მოლი, იახა, იხა ჰეი!..*

და ა. შ.

ახლა კი მკითხველს ვთავაზობთ ხ. ჰელიმის სიმღერის როგორც სიტყვიერ, ისე მუსიკალურ ტექსტს:

ჰ ე ლ ე ს ს ა

ჰელესხა დო იაღესხა,
აღნე ოზორიშ ნუსხა,
ფურ თუფერი ნოღამიხა,
ჰელესხა, იაღესხა,
ჰეიამოლი, იახხა,
იახხა, მოი!..
ჰეიამოლი, თირა-თირა,

ჰ ე ლ ე ს ს ა

ჰელესხა და იაღესხა,
ახალი ხახლის რძალო,
ორი თვის პატარძალო,
ჰელესხა, იაღესხა,
ჰეიამოლი, იახხა,
იახხა, მოი!..
ჰეიამოლი, თირა-თირა,

კულანფეფე დგინან სირა —
ქიმი ბოზო, ქიმი შირა.

გოგონები დგინან რიგად,
ზოგი კალიშვილი, ზოგი ქვრივი.

მ ი ს ს მ ლ რ ი

ჩქუნი ღუჭუჭეს ნოდერი,
თუთას თვის ივენ სერი
ბოზო, გოგოსუფ ქემერი...
ჰელესხა და იაღესხა,
არ დომიწვაცი შიხა,
ივარეთი ჩქუნი ნუსხა!..

მ ი ს ს მ ლ რ ი

ჩვენს მინდორში ნადი(ა)
მთავარს შუქში იქნება დამე,
გოგონა, მოგჭერა კამარი!..
ჰელესხა და იაღესხა,
ერთი გეტქვა ჩემთვის ჩუმად,
თუ იქნები ჩვენი რძალი!..

* „ლაზური ხალხური პოეზია“, ბათუმი, 1972, გვ. 79-108.

ჰ ე ლ ე ს ს ა

მ ი ს ს მ ლ რ ი

სი მა გური დომიტაცი,
სოი ღარე ჩქიმი გუინახი,
გოგინჩვენს ჩქიმი ახი!..

მ ი ს ს მ ლ რ ი

შენ მე გული გამიტებე,
სად წაიღებ ჩემს ცოდვას,
დაცხის ჩემი ტანჯვა!..

* მ. ვანილიში, ა. თანდილავე, ლაზეთი, თბ., 1964, გვ. 167.

იუსან ავგუსტ სტრინდბერგი (1849—1912)

მახაზ რადიანი

უძველესი შვედური ნაწარმოებები მე-15-16 საუკუნეებს განეკუთვნება. ეს ის ნაწარმოებებია, რომლებიც გერმანიის რეფორმაციის დიდ გავლენას განიცდიდა. დიდი ადგილი ამ პერიოდში ეთმობა თვით შვეციის ისტორიიდან აღებულ ფაქტებს, ბიბლიაში აღწერილ მოვლენებს. მე-17 საუკუნეში შვედი მწერლებისათვის და დრამატურგებისათვის მაგალითს ჰოლანდიური სკოლა წარმოადგენდა; მე-18 საუკუნეში კი ფრანგული ლიტერატურა, შემდეგ შილერი, შექსპირი, ჰოლბერგი...

პოლიტიკურმა ძვრებმა 1809-10 წლებისა — ახალმა კონსტიტუციამ, მეფე გუსტავ ადოლფ IV-ის გადაადგომამ, სიტყვის თავისუფლებამ განსაკუთრებით, ლირიკასა და პროზაში ახალი სიცოცხლე შემოიტანა. შვედური ლიტერატურა ხომ დიდი ხნის განმავლობაში ფრანგული და ინგლისური ლიტერატურის გავლენას განიცდიდა. სწორედ ამავე პერიოდში ხდება შვედური

ლიტერატურის წარმომადგენელთა ორ ჯგუფად გაყოფა. პირველი ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგა ატერბომი (1790—1855) გერმანული რომანტიკოსების ტყვეობაში აღმოჩნდა. მეორე ჯგუფს მეთაურობდა ი. ტენგერი (1782—1846), რომელიც შვეციის ერთ-ერთ ყველაზე დიდ და ცნობილ პოეტად ითვლება. ისინი ანტიკურობისა და გერმანული კლასიკის გავლენას განიცდიდნენ, ხოლო, თავის მხრივ, ორივე მიმდინარეობა ეროვნული სულიკვეთებით იყო გამსჭვალული.

შემდეგ, ლიბერალიზმისა და რეალისტური ტენდენციების შეჭრასთან ერთად, შვედურ ლიტერატურასა და დრამატურგიაში ახალი ცხოვრება იწყება. ცნობილი დრამატურგი ი. ზიორენსონი (1790—1868) შექსპირის გავლენას განიცდიდა. ა. ბლანშე (1811—1868) კომედიების და ისტორიული დრამების ოსტატად გვევლინება. ა. აგრელი (1849—1923) იბსენის მოწაფე იყო.

მსახიობი და დრამატურგი ი. კრისტოფერი, ზღანშესა და ჰედბერგის მსგავსად, საკუთარი ნაწარმოებებით წარსლვა გერმანულ სცენაზე.

ავგუსტ სტრინდბერგის წინამორბედთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი შვედურ ლიტერატურაში ეკავა კარლ ლოვე ალმკვისტს (1793—1866), რომელიც თავიდან ფან-ფაკ რუსოს დიდი თავყვანს-მცემელი იყო. სულით ლიბერალი ალმკვისტი კარგა ხანს განიცდიდა უტოპიური სოციალიზმის გავლენას. შემდგომში მის ნაწარმოებებში აშკარად იგრძნობა რომანტიზმიდან რეალისტურ შემოქმედებაზე გადასვლა. ალმკვისტის მრავალმხრივი ბუნება კიდევ უფრო შთაბეჭდავი გახადა მისმა პროზამ, რომელშიც მთელ თავისი სიდიადით გამოჩნდა შვედი ხალხის ცხოვრება. ალმკვისტმა გამოაქვეყნა აგრეთვე ფილოსოფიური, სოციალურ-პოლიტიკური, ლიტერატურულ საპროგრამო წერილები, სადაც სხვა მნიშვნელოვან ლიტერატურულ მომენტებთან ერთად დიდი ადგილი დაუთმო მწერლისა და ხალხის ურთიერთობას.

ეს იყო ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა იუხან ავგუსტ სტრინდბერგის შემოქმედება. მისი თემა — ეს არის შვედი ხალხის ყოველდღიური ცხოვრება, მათი გულსიტყვილი.

„შვედებს შორის იგი ერთ-ერთი უდიდესთაგანი იყო“, — წერდა თავის მოგონებებში ცნობილი დანიელი მწერალი მარტინ ანდერსენ ნექსე.

იუხან ავგუსტ სტრინდბერგი დაიბადა 1849 წელს, სტოკჰოლმში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი უსაალას უნივერსიტეტში შედის. აქ იგი ვატცტებულია მედიცინით, სცენით, ლიტერატურით. თავს ცდის ფერწერასა და ქანდაკებაში, მუშაობს სკოლის მასწავლებლად. ჟურნალისტად... მაგრამ მხოლოდ სამეფო ბიბლიოთეკაში (1872—1882 წლებში) მუშაობამ ჩააყენა სტრინდბერგი „ცხოვრების კალაპოტში“; მისი ინტერესები უფრო მყარი და საფუძვლიანი გახდა, რამაც ახალგაზრდა ავგუსტს შესაძლებლობა მისცა სერიოზულად მოეკიდებინა ხელი ისტორიისათვის, დაახლოებოდა ლიტერატურასა და ხელოვნებას.

რადიკალურად განწყობილი მწერლები ავგუსტ სტრინდბერგის ხელმძღვანელობით აქტიურად ეხმარებიან იმ დროისათვის დამახასიათებელ თანამედროვეობის საკითხებს. ისინი თავს ჰ. იბსენის და გ. ბრანდესის მემკვიდრეებად მიიჩნევენ.

შვედურ ლიტერატურაში კრიტიკულმა რეალიზმმა თავის აპოგეას 80-იან წლებში, ავგუსტ სტრინდბერგის შემოქმედებაში მიაღწია. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ შვედური რეალიზმი გარკვეულ პერიოდში უფრო წინააღმდეგობრივი ხასიათისა იყო, ვიდრე დანიური რეალიზმი და განსაკუთრებით ნორვეგიული.

დრო გადის. სტრინდბერგის შემოქმედებაში თავს იჩენს გოეთეს და შილერის დრამატურგიისადმი „მიდრეკილება“, განსაკუთრებით კი შექსპირისადმი. თავის საკანდიდატო დისერტაციაში „ხაკონ იარლ“, ანუ იდეალიზმი და რეალიზმი (1871 წ.) სტრინდბერგმა წამოაყენა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნამდვილი პოეტური ხელოვნება უნდა ესადაგებოდეს სინამდვილას, რეალობას.

სტრინდბერგი თავის უშუალო მასწავლებლად მიიჩნევს გიორგ ბრანდესს. მან არა მარტო სტრინდბერგის შემოქმედებაზე იქონია გავლენა, არამედ სხვა ცნობილ მწერლებსა და მათ შემოქმედებებზეც. პენრიკ იბსენმა შექმნა თანამედროვე საზოგადოებრივ-კრიტიკული დრამა. სტრინდბერგმა კი იგი ახალი, იმ დროისათვის დამახასიათებელი ფაქტებით შეავსო: ადამიანის ფსიქიკის დამახინჯებული სახის პირდაპირი, უშუალო გამოაშკარავება, ადამიანთა ურთიერთობაში სოციალური ფაქტორების როლი და მნიშვნელობა. სტრინდბერგი სიმარტილის სიძიებელი პიროვნებაა, რომელსაც მთელი არსებით სურდა ადამიანის სამყაროს შესწავლა. ქალებთან ურთიერთობაში ხელმოცარვის გამო მას ხშირად ცილქმრული ოჯახური ყოფის ტრაგიკოს უწოდებენ. საერთო გაგებით სტრინდბერგი იყო მეტად მრავალმხრივი, მრავალფეროვანი, თავისი დროის პრობლემებით დატვირთული ადამიანი და შემოქმედი. „ეს სინამდვილეა, თქვენ უნდა შეგანუხონ, რათა საღათს ძილიდან გამოიღვიძოთ. მე განდევნილ ანგელოსს მიწოდებდი, რომელიც ათათასჯერ დაბრუნდება; მე განმათავისუფ-

ლებელს მიწოდებენ, და ეს ასეც არის, რადგან ადრე მოვევლინე ამ ქვეყანას; მე სატანა მქვია, რადგანაც მე თქვენ უფრო მიყვარხართ, ვიდრე საუკუთარი თავი. მე ლიუვირად ვიწოდები“ — ამბობს ავტორის მაკივრად ოლოფი, „ოსტატ ოლოფის“ მთავარი მოქმედი გმირი.

ავგუსტ სტრინდბერგი არ იყო მხოლოდ ის პიროვნება და შემოქმედი, რომელიც მხოლოდ ეძიებდა. იგი იყო ნამდვილი შემქმნელი, შემქმნელი დიდი და საშვილიშვილო საქმისა.

„სტრინდბერგი ნატურალისტიც იყო და რომანტიკოსიც. კათოლიკეც; რაციონალისტიც“; ახასიათებს მის შემოქმედებას ნესლე.

ავგუსტ სტრინდბერგი ქმნიდა დრამებს, ნოველებს. მოთხრობებს, რომანებს. მის კალამს ეკუთვნის მრავალი წერილი ლიტერატურის თეორიის საკითხებზე. მიუხედავად ასეთი ფართო შემოქმედებითი გაქანებისა, იგი, უპირველეს ყოვლისა, მიჩნეულია შვეციის უბირ-ერთ საუკეთესო დრამატურგად. მის კალამს ეკუთვნის სამოცი დრამა, რომლებიც დაახლოებით ერთ პერიოდში, საფრანგეთ-გერმანიის 1870-71 წლების ომის დროს, და პირველ მსოფლიო ომამდე შეიქმნა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ეკონომიკის თვალსაზრისით შვეცია ჩრდილოეთის ქვეყნებს შორის ყველაზე განვითარებული სახელმწიფო გახდა. ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციის პროცესი განმავრულებული შიდაპოლიტიკურ ვითარებაში და კლასობრივი ბრძოლის ფონზე მიმდინარეობდა.

ასეთ პირობებში, სტრინდბერგის დრამებისათვის ნიშანდობლივი იყო არა ტექნიკურ-ეკონომიკური წინსვლის განდიდება, არამედ ადამიანის და კაცობრიობის წინაშე არსებული საშოშრობის სურათის აშკარა და რეალური წარმოსახვა. იგი გრძნობდა ადამიანში არსებულ ურთიერთინააღმდეგობრივ და დაძაბულ ბუნებას. მის დრამებში გატარებული ეს დედაბური წითელი ზოლივით გასდევდა მთელ მის შემოქმედებას.

ა. სტრინდბერგმა დიდი ნორვეგიელი დრამატურგის ჰენრიკ იბსენის ბედი გაიზიარა: თავის სამშობლოში პიროვნება, რომელიც დღეს შვედური სალიტერატურო ენის განმაახლებლად არის აღიარებული, უარყოფილ იქნა; მწერალი დიდი ხნის განმავლობაში საფრანგეთში, შვეიცარიაში, გერმანიაში, დანიასთან ცხოვრობდა და იძულებული იყო საკუთარ თავზე გამოეცადა ცხოვრების უკუღმართობა.

ერთხელ, იგი ცოლქმრული ურთიერთობის ნოველების ციკლის შექმნისათვის პასუხისგებაშიც კი მისცეს. დიდი ხნის განმავლობაში სტრინდბერგი სიღუბს ირესა და გაჭირვებაში ცხოვრობდა.

ა. სტრინდბერგის შემოქმედება და, კერძოდ, მისი დრამები სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ისტორიულ მოტივებზე შექმნილი დრამები, მეორეს სატრფიალო, ცოლქმრულ ურთიერთობაზე აგებულზე, ოჯახური დრამები, ხოლო მესამე ჯგუფს ფანტასტიკურ ნიდაგზე აღმოცენებული დრამები. ა. სტრინდბერგს ნატურალისტური ტრადიციის და კამერული თეატრის შემქმნელად მიიჩნევენ შვეციაში. იგი სცენის ერთ-ერთ მკაცრ შემფასებლად და სპეციალისტად ითვლება.

უშნიშვნელო დასაწყისის შემდეგ, სტრინდბერგმა თავისი სამწერლო ასპარეზი, დრამატურგიის სარეფორმაციო სპექტაკლით „ოსტატი ოლოფი“ („მასტერ ოლოფი“, 1872 წ.) დაიწყო, რომლის დადგმასაც სცენაზე მთელი ათი წელი დასჭირდა. ამ დრამაში სამეფო კარი, ეკლესია, თავადები, უბრალო ხალხი, მოქალაქეები წარმოდგენილი არიან მთელი თავიანთი სინამდვილითა და მათთვის დამახასიათებელი ნიშნებით. ოლოფი, დრამის მთავარი მოქმედი გმირი, თავისი ზოგიერთი თვისებებით და ცხოვრებაზე შეხედულებებით ხშირად ემსგავსება ჰ. იბსენის ბრანტს. გუსტავ ვაზას სახით ა. სტრინდბერგმა შექმნა მონუმენტური იფიგურა. მართალია ამ დრამაში ავტორი განიცდის გოეთეს „გოცის“ და შექსპირის გავლენას, მაგრამ მას სრულებითაც არ ჰქონდა გადაწყვეტილი შეექმნა ისტორიული დრამა. მისი მთავარი მიზანი იყო შეექმნა დრამა, რომელიც დატვირთული იქნებოდა თანამედროვე პრობლემებით (დამოკიდებულება სახელმწიფოსთან, ეკლესიასთან, თავისუფლებასთან), ისტორიული პოზიციებიდან განხილავდა იგი და მოეცა შვედური რეფორმაციის ნათელი სურათი.

მისი მთავარი მისია იყო სამყარო დენახტა თავისი შეუთანხმებლობით, იქნებოდა ბინა მისი ორი სახე, ორი განზომილება. ამ პოზიციამ განსაკუთრებით იჩინა თავი ფრანგული ნატურალიზმისა და ათეისტური შეხედულებების მოტივებზე შექმნილ ფსიქოლოგიურ დრამებსა და პროზაულ ნაწარმოებებში — კერძოდ, მის რომანში „წითელი ოთახი“ („რიოდა რუმბი“, 1879 წ.).

მსოფლიო აღიარება ა. სტრინდბერგს, როგორც დრამატურგს, მოუტანა მის მი-



ერ შექმნილია ტრაგედიებმა „ამა“ — („ფადრენ“, 1887-88 წწ.) და „ქალიშვილი იულია“ („ფრიოკენ იულია“, 1888-89 წწ.).

თუ რამდენად ძლიერი იყო ამ დრამების მნიშვნელობა და შინაარსი ნათლად ჩანს იმ ბრძოლიდან, რომელსაც სამეფო კარი აწარმოებდა ა. სტრინდბერგის წინააღმდეგ. მისი მთავარი მიზანი იყო რქეუნიებისა ადამიანის ნამდვილი სახე რეალობასთან ჭიდილიში. ა. სტრინდბერგმა პირველ პლანზე წამოისწია იმდროინდელი ბიურგერული ადამიანისათვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური სტრუქტურა და ხასიათის თვისება. ამ ჟანრს მიეკუთვნება სწორედ „ნატურალიზტური ტრაგედია“ „ქალიშვილი იულია“, სადაც თითო ავტორის სიტყვები რომ მივიშველიოთ, გარდა სოციალური აღმავლობისა და დაცემისა, მაღალისა და დაბალის ურთიერთდამოკიდებულებისა, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობისა, ცდილობს მხედველობის არეში მოაქციოს ფსიქიკური მოტივების გამომწვევი მთელი რიგი გარემოებანი. მოტივის რეალისტური ხასიათით მაყურებელი სწვდება ადამიანის შინაგან ბუნებას. „ქალიშვილი იულია“ მიეკუთვნება მეზობლი სულისკვეთებით გამსჭვალულ დრამათა რიცხვს, რომლის დახმარებისთავე „თავისუფალმა სცენამ“ ნატურალიზტურ დრამას გაუხსნა გზა გერმანიასში.

როგორც ყველა თავის დრამაში, ა. სტრინდბერგი აქაც გვევლინება დეტალების ოსტატად, ადამიანის დონის და ინტელექტის განმსაზღვრელად. მისი მიზნებისა და მისწრაფებების შესაღწეველად. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ინტენსიურობა და ცხოვრების პირობების რეალური ასახვა.

ამასთან დაკავშირებით ერთადე ა. სტრინდბერგმა განაცხადა — „მე ვცხოვრობ ყველა იმ ადამიანის ცხოვრებით და სიცოცხლით, რომელსაც ვხატავ. მე ვხარობ კეთილ ხალხთან ერთად და განვიცდი ბოროტ ადამიანთან ურთიერთობას; ჩემს ბედნიერებას სხვის ბედნიერებასთან ერთად განვიცდი; ხშირად ვივნეყებ ჩემს პირად „მე“-ს და ხშირად ბავშვების, ქალების, მოხუცების ენაზე ვლაპარაკობ. მე ვარ მეფე და მათხოვარიც; მე ვარ მაღალი საზოგადოების კეთილი წარმომადგენელი, მე ვარ ტირანი და ყოვლად უმსგავსო პიროვნება, მე დაზავებული ხალხის მხარეზე ვარ, მე მძულს მჩაგვრელები. მე ყოველნაირ რელიგიას მივეუკუთვნებ; მე

ყველა დროში ვცხოვრობ და თვითონვე შევწყვიტე არსებობა. ეს არის ის ნუთქების მდგომარეობა, რომელიც ენით აუწერელ ბედნიერებას მანიჭებს და ალბათ თქვენც?“

პირად ცხოვრებაში წარუმატებლობამ და გაჭირვებამ ისედაც მეტად ემოციური მწერალი ფსიქიურ და მორალურ კრიზისამდე მიიყვანა, რომელიც მან ასე ოსტატურად და ხატონად აღწერა თავის წიგნში „ინფერნო“ (1897 წ.). ამ წიგნში თავს იჩენს ავტორის მისტიციზმი, ნიცშეს და თეოსოფიის გავლენა. ამ მომენტიდან იწყება ა. სტრინდბერგის შემოქმედების მეორე პერიოდი. მას აღარ სჯერა სამყაროს შემეცნების შესაძლებლობისა. მისთვის დღე და ღამე ერთ განზომილებად იქცევა. მზოლიდ უბრალო ხალხში და მუშათა კლასში ხედავს იგი საზოგადოების პროგრესულ ელემენტებს. სწორედ ხალხის ძალის დიდი შეფასება და შეგრძნება ახასიათებს მის შემდგომ ნაწარმოებებს.

ახალი ელემენტები, რომლებიც ზემოთ იყო ჩამოთვლილი, აშკარად იჩენს თავს მისი დრამების ტრილოგიაში „დამსკოსაკენ“ („ტელ დამსკუს“, I და II ნაწილი 1898 წ., III ნაწილი 1901 წ.), აგრეთვე მისტიკურ-რელიგიურ მოტივებზე შექმნილ დრამებსა და დრამატიზებულ სახალხო ბალადებში. „დანაშაულსა და დანაშაულში“ („ბროტ ოხ ბროტ“), რომელიც შექმნა 1899 წელს, ა. სტრინდბერგი მიგვანიშნებს, რომ უკანონო ბავშვი, რომელიც სიყვარულის შედეგი არ არის, სიძულვილს იწვევს არსებულ საზოგადოებაში. „ჩვენ ყველანი ცოდვილები ვართ!“

დღევანდელ ავტორს აღარ აინტერესებს რელიგიური ტენდეციები. პირველ პლანზე გამოდის ფსიქოლოგიური ფაქტორები და არსებული სამყაროს რეალისტური აღქმა, საზოგადოების სინამდვილის მახილებელი მომენტები.

ა. სტრინდბერგის შემოქმედების მეორე პერიოდს განეკუთვნება დრამატიზებულ-ბალადა „შუა ზაფხული“ („მიდზომერ“, 1901 წ.). ორნანდილიან „სიკვიდილის როკვაში“ („დელდსანენ“, 1901—1904 წწ.) კიდევ ერთხელ, ფაროდაა მოცემული კაცისა და ქალის ურთიერთობა, მთელი თავისი ნიუანსებით — სიყვარული და სიძულვილი ოჯახურ ურთიერთდამოკიდებულებაში. ამავე პერიოდს განეკუთვნება ა. სტრინდბერგის მიერ შექმნილი მნიშვნელოვანი დრამა „ოცნებათა თამაში“ („ეტ დრიოსსპელ“, 1902 წ.), რომელიც მსგავსად „დამსკოსაკენ“, ცდილობს ავტორის სიზმრის ლოგიკური ფორმები. ყველა-

ფერი შეიძლება მოხდეს, ყველაფერი შე-
საღებელია. ეს დრამა არის მოგონებე-
ბის, განცდების, იმპროვიზაციის, თავისუ-
ფალი აზროვნების ერთიანობა. მაგრამ
სიზმრის შეგნება ყველა და ყველაფერს
აღემატება—მისთვის არ არსებობს არანაი-
რი საიდუმლოება, კანონი, ეჭვი, არათან-
მიმდევრობა; იგი არაფერს არ ექვემდებარ-
ება. ხოლო თუ არამდენად მტიკინეულია
და ნაკლებად სასიხარულოა ადამიანში
ჩასულდგმულეული ესა თუ ის მომენტი,
თავს იჩენს სიზმარში. ძილი და სიზმარი
განმათავისუფლებელი მოვლენაა. ამ დრა-
მის კითხვისას იგრძნობა, რომ ა. სტრინდ-
